140
1974

ეროვნული ბიბლიოთეკა



# პიონერი

1
1974







# მოგვილოცნია ახალი წელი




სიმონ შამურიანი

დაგვშორდა ძველი,
ვალმოხდილი დაგვშორდა ძველი,
და, ჰა, ღიმილით შემობრძანდა
წელი ახალი.
ფეხზე ამდგარა კიდით კიდე
ქვეყანა ვრცელი,
„ოიდა ლილე...“ —
გუგუნებენ მთანი მაღალნი.

სალამი დღეებს —
ახალ დღეებს,
იმ ცისფერ წუთებს,
გულში რომ ლაღად გაბრწყინდება
ცინცხალი აზრი!..
სალამი ხუთებს
ყაყაჩოსფრად კაშკაშა ხუთებს!
შენ, პიონერო,
კარგად უწყი იმათი ფასი

შენ კარგად უწყი,
კარგად უწყი ფასი იმ შრომის, —
დიდი მყოფადის
ყველა კარს რომ შეხსნის საშენოდ;
ძილშიც ჩაგესმის ლაღადისი
მამულის — მშობლის:
— სწავლა და სწავლა,
რათა შექმნა,
რათა აშენო!

და შენი ხელი
წლეულს უფრო დააჩნდეს მთა-ბარს,
გიქებდეს გარჯას
მხვნელ-მთესველი,
მებაღე,
მეზვრე...
ველად ნიავიც იმღეროდეს
შენს ლამაზ ამბავს,
თავაწეული დახვიდოდე
სამშობლოს გზებზე!

მოგვილოცნია
იმედების, მშვიდობის, რწმენის
ახალი წელი —
შექმნილი ახალი წელი.










პიონერი
1
იანვარი
1974
საქართველოს ალკკ ცენტრალური
კომიტეტისა და ვ. ი. ლენინის სახელობის
[illegible]
რესპუბლიკური საბჭოს ყოველთვიური
სასურათო ჟურნალი
გამოდის 1926 წლიდან
საქ. კპ ცკ-ის
გამომცემლობა

# ლენინი შალიაპინის კონცერტზე

მოგონება

ს. ვინოგრადსკაია

მხატვარი რ. ცუცქირიძე

ცხრაას ოცი წლის ზაფხულის იმ დღეს შალიაპინის კონცერტი ექვს საათზე იწყებოდა. იგი დედაქალაქის ახალგაზრდა მუშების, საზოგადოებრივი და პარტიული ორგანიზაციებისათვის იმართებოდა.

დიდი თეატრის სვეტებს შორის ხალხის უწყვეტ ნაკადში ხანდაზმული ადამიანიც ბევრი იყო. ისინი აქ მოვიდნენ კრესტიანსკაია ზასტავადან, სიმონოვკიდან, ტიუფელევაია როშჩადან...

ორმოცდაათი ვერსი გამოიარეს ფეხით, რათა კონცერტი მოესმინათ. იმ მძიმე, შიმშილობისა და გმირობის წლებში თეატრის ყველაზე თავგამოდებული მაყურებელი მოსკოვის გარეუბანთა პროლეტარიატი გახლდათ.

დიდი თეატრის პარტერსა და მდიდრულად მორთულ ლოჟებს ავსებდნენ მაყურებლები, რომლებიც კარგად იცნობდნენ ერთურთს მოსკოვის რაიონებში პარტიული საქმიანობით, ფაბრიკა-ქარხნებში, რკინიგზის სახელოსნოებში მუშაობით. აქ ხვდებოდნენ ერთმანეთს ყოფილი იატაკქვეშელები, ემიგრანტები, 1905 და 1917 წლების ბრძოლების მონაწილენი.

პარტერი ხალხით გაივსო. უკვე ექვსი საათია, სადაცაა დაიწყება კონცერტი. ხმაური კი მაინც არ ნელდება, პირიქით, უფრო მატულობს. უცებ, მრავალიარუსიანი დარბაზის სხვადასხვა მხრიდან რაღაც შეძახილები გაისმა. ლოჟებში მყოფნი ერთმანეთს რაღაცას ეკითხებიან და ქვევით, ლოჟების მოაჯირს იქით, თვალებით ვიღაცას ეძებენ.

რომელიღაცამ თქვა: „თეატრში ლენინია!“ —და თავის გაქნევით, თვალების მოძრაობით ანიშნა: „აი, იქ!“

ქვევით, მეექვსე რიგში, პარტერის შუა გასასვლელის ახლოს, დავინახე ლენინი. იჯდა მშვიდად, სავარძლის საზურგეს მხრით მიყრდნობილი. ოდნავ თავგადახრილი მის გვერდით მჯდომს უსმენდა. იჯდა ისე, როგორც ჩვეულებრივი მაყურებელი, რომელიც აღუშფოთებლად, მოთმინებით უცდის ხოლმე კონცერტის დაწყებას. რარიგ განსხვავდებოდა ეს პოზა ჩემს მიერ წარმოდგენილი ლენინისაგან!

როგორც კი თვალი მოჰკრა ლენინს, ირგვლივ ხალხი ამოძრავდა.

ამასობაში დარბაზში შუქი ჩაქრა. მხოლოდ დირიჟორის ცარიელ პიუპიტრთან რატომღაც ისევ ენთო ნათურა. ზევიდან, ლოჟიდან, ჩანდა: ლენინი სულ უფრო ხრიდა თავს მეზობლისკენ და რაღაცას ელაპარაკებოდა.

— ვინ ახლავს? ვინ ზის, ნეტავ, ლენინის გვერდით?

— ეს ბელენკია. აი ის, ლენინს დაჭრის შემდეგ მცველად რომ დაჰყვება.

...როცა დიდი თეატრის მძიმე ფარდა შეირხა და ნელნელა გაიხსნა, თეატრში უკვე ყვიროდნენ:

— ლე-ე-ე-ნინ!

— ლე-ე-ე-ნინ!

შეძახილები თანდათან გახშირდა, გაძლიერდა. სულ ახალ-ახალი ხმა ერთვოდა მისალმებათა უჩვეულო გრიალს. უზარმაზარი, მოოქროული იარუსებითა და ალისფერი მოაჯირებით შემკობილი თეატრის მთელ დარბაზში მხოლოდ ერთი სიტყვა ქუხდა:

— ლე-ე-ე-ნინ! ლე-ე-ე-ნინ!

ლენინი კი არც იყურებოდა გარშემო. სულ უფრო რგავდა მხრებში თავს და რაღაცას დაჟინებით ეუბნებოდა ბელენკის.

ფარდა უკვე ბოლომდე გაიხსნა და გამოჩნდა უჩინარი ნათურებით თანაბრად განათებული სცენა. მარცხენა კულისებს შორის გასასვლელში, იქ, სადაც როიალი იდგა, შევნიშნე მაღალი შავი ფიგურა, რომელსაც თვალისმომჭრელად თეთრი გულისპირი და თეთრი სახე ჰქონდა.

სცენაზე შალიაპინი გამოდიოდა.

აი, მან უკანასკნელი კულისი გამოიარა, კიდევ ერთი ნაბიჯი და სცენაზე შემოდგამდა ფეხს. მაგრამ, მოულოდნელად, შალიაპინი უკუიქცა, თითქოს წინიდან ხელი ჰკრესო. ეს ხმების ტალღამ მიაღწია მომღერლამდე: „ლე-ე-ე-ნი-იინ!“

იმავე წამს პარტერის მეექვსე რიგის მეოთხე სავარძელი დაცარიელდა—ბელენკიმ დატოვა თავისი ადგილი. ლენინიც წამოდგა და თავდახრილი, მხრებაწურული გაჰყვა ბელენკის.

ისინი მიდიოდნენ პარტერის გამყოფი გასასვლელით, მაგრამ გარეთ კი არა, წინ. მათ ფიგურებს სცენიდან დაცემული შუქი ანათებდა. გასასვლელის აქეთ-იქითა რიგებში ყველა ზეზე წამოიჭრა. დარბაზში მისალმებათა ქარიშხალი დატრიალდა. ორი ადამიანი — უკან ლენინი, წინ მისი თანმხლები — ცდილობდა მალე დაეღწია თავი ამ ქარიშხლისათვის და სცენისაკენ მიეშურებოდა.

აი ბარიერთან მივიდნენ, მარჯვნივ გაუხვიეს და პირველი რიგის წინ განაგრძეს სვლა. მარჯვენა ლოჟებში

მყოფნი ჯერ ლენინის პროფილს ხედავდნენ, შემდეგ მთელ სახესაც. ლენინს დაეხარა დიდი თავი და, თითქოს ზურგიდან ქარი თუ ქარბუქი უბიძგებსო, აჩქარებით მიაბიჯებდა.

მაგრამ ეს არც ქარი იყო და არც ქარბუქი. ეს იყო გრიგალი, ნამდვილი ქარიშხალი მისალმებებისა, ტაშისა, ოვაციისა, აღფრთოვანებისა, სიყვარულისა...

გრძნობათა ეს ქარიშხალი არხევდა, აქანავებდა ორი ათასზე მეტ მაყურებელს.

ბელენკი ორკესტრში შესასვლელ კარს მიადგა, გააღო, ლენინი წინ გაატარა და თვითონაც ჩაჰყვა პატარა კიბეს, ლენინმა გაიარა ცარიელ პიუპიტრებს შორის. უკანასკნელად გაიელვა მისმა კეფამ და ლენინი გაუჩინარდა.

— წავიდა! სხვა ადგილას გადავიდა. ოვაციას დაემალა. ალბათ, ლოჟაში... — ამბობდა ყველა.

სცენაზე გამოჩნდა შალიაპინი. იგი მღეროდა ხალხისათვის, რომელმაც მოახდინა რევოლუცია. მღეროდა მეტი და მეტი გატაცებით. მღეროდა ყველაზე საყვარელ სიმღერებს.

დასასრულს შალიაპინმა „ქუჩა“ იმღერა. ჩვენს მეზობელ ლოჟაში მჯდარი ჭაღარა ულვაშიანი მუშა ამ სიმღერის მოსმენისას უეცრად აქვითინდა...



კონცერტი დამთავრდა. მაგრამ ხალხი მაინც არ იშლებოდა. შალიაპინს სცენიდან არ უშვებდნენ:

— „დუბინუშკა“! — დაიძახა ვიღაცამ დარბაზის ერთ კუთხეში და, თითქოს ნიშანი მისცესო, ყოველი მხრიდან მოისმა: — „დუბინუშკა“! გთხოვთ „დუბინუშკა“ გვიმღერო!

— ამხანაგო შალიაპინო! — გაისმა მოულოდნელად, — ქალი-პროლეტარი მოითხოვს „დუბინუშკას“!

თეატრი ახარხარდა, ახმაურდა, ტაში დასცხო:

— გვიმღერე „დუბინუშკა“! თევდორე, გთხოვთ!

შალიაპინი ავანსცენაზე გამოვიდა და, როცა ხალხი დაწყნარდა, დარბაზს მიმართა:

— რა გაეწყობა, ვიმღერებ, ოღონდ, — მან ზეაღმართა გახამებული სამაჯურიდან გამოშვერილი გრძელი თეთრი ხელი, — ერთი პირობით: მე დავიწყებ, თქვენ კი ამყევით, მთელი დარბაზი... — შალიაპინმა გრძელი თითები ოდნავ მოღუნა, ერთმანეთს მიატყუპა და, როგორც მეეტლე მოზიდავს ხოლმე აღვირს, ხელი მკერდისკენ ისე წაიღო, თითქოს თავისკენ მოქაჩაო ორიათასი კაცის ხმები.

— აგყვებით! ყაბულსა ვართ! — ერთხმად აზრიალდა თეატრი. — დავაგუგუნებთ! აგყვებით!

შალიაპინმა ოდნავ დაიხია, ლამაზი თავი უკან გადახარა, თვალები მილულა და წამოიწყო სიმღერა — მძლავრი, მშფოთვარე, გულშიჩამწვდომი.

პარტერშიაც და იარუსებზეც ყველა ფეხზე ადგა და აჰყვა მომღერალს:

**Эй, дубинушка, ухнем!**
**Эй, зеленая, сама пойдет!**

შალიაპინმა უკანასკნელი ნოტი ისე წვრილად, ისეთი მაღალი ხმით ჩაარაკრაკა, გეგონებოდათ, იგი კი არ შემწყდარა, ჰაერში ნელ-ნელა გადნაო.

მეორე დღეს „პრავდის“ რედაქციაში, სადაც იმხანად ვმუშაობდი, რედაქციის მდივანს მარია ილიას ასულს, ლენინის უმცროს დას, ვუამბე კონცერტის შესახებ, თუ როგორ დაემალა სადღაც ვლადიმერ ილიას ძე ოვაციას...

— არსადაც არ დამალულა! — სიტყვა გამაწყვეტინა მარია ილიას ასულმა და მოღუშვით დაუმატა: — წასულა, სულ წასულა, ისე, რომ შალიაპინისათვის არ მოუსმენია.

— კი მაგრამ, რატომ უნდა წასულიყო! ვლადიმერ ილიას ძეს ხომ ძალიან უყვარს მუსიკა!

— მართლაც ძალიან უყვარს მუსიკა! მას ხომ იშვიათად უწევს მუსიკის მოსმენა! რომ იცოდეთ, როგორ გაუძნელდა ამ კონცერტზე წასვლა, ერთი სხდომა სამი საათითაც კი გადადო. თვითონვე მიუთითა ის ადგილი, სადაც სურდა დაჯდომა. თვითონვე... — მარია ილიას ასულმა არ დაამთავრა სათქმელი, მხოლოდ ხელი ჩაიქნია. — არ მოასმენინეს...

და უეცრად, როცა უკვე მუშაობით ვიყავით გართულები, მარია ილიას ასული გაცხარდა:

— ილიჩი გაშმაგებული დაბრუნდა შინ. „ჩვენმა მაყურებელმა სრულებით არ იცის კონცერტზე თავის დაჭერა. — თქვა მან. — მიდიან შალიაპინის მოსასმენად და ოვაციას კი ლენინს უმართავენ! რაოდენ დიდი უპატივცემლობაა არტისტის მიმართ! ლუნაჩარსკიმ ხელი უნდა მოჰკიდოს მაყურებლის აღზრდას. ეს მით უფრო შეუწყნარებელია, რომ კონცერტზე იყვნენ ჩვენი ამხანაგები, პარტიულები, შეგნებული მუშები“.

თარგმნა ს. ბეჩოელმა.

# იცნობდეთ: ლია, ნინო, ირმა, მანანა...



დიდი სიხარულია მეთერთმეტე ბაღის აღსაზრდელებისათვის მათი ხელმძღვანელის მანანა ხუციშვილის გამოჩენა.

ნათელა ფაილოძე

ფოტო
დ. იაკობაშვილისა.

## ლურჯკაბიანი თოჯინა

პიონერთა ოთახში თითქმის მთელ კედელს ფარავს ვარსკვლავი, ქიმებს შორის წარწერილი ოქტომბრელთა წესები... ქვემოთ, ნორჩების უამრავ ნამუშევრებს შორის, ლურჯკაბიანი თოჯინა იღიმება... მოგესალმება და მკერდზე მიკრულ ოთხკუთხა ქაღალდს წაგაკითხებს: „ჩვენი სკოლის ოქტომბრელებს კურსდამთავრებულებისაგან".

...ამ სკოლის ოქტომბრელთა სიხარულს, გატაცებებს გიზიარებთ ალბომები, დღიურები თუ ჩანაწერები, რომლებიც წლების მიხედვით შეუკრებია ოქტომბრელებთან მუშაობის საბჭოს.

ყურადღებას იქცევს ოქტომბრელთა რესპუბლიკურ კვირეულში გამარჯვებისათვის მიღებული სიგელი: „პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახ-



ლე შინაარსიანი და ნაყოფიერი მუშაობისათვის აჯილდოებს რუსთავის მე-15 საშუალო სკოლის ოქტომბრელებთან მუშაობის საბჭოს''...

### რაკი ლია ამბობს...

დიდ შესვენებაზე ლია ხელმძღვანელი მესამეკლასელებთან არ მისულა. მოიწყინეს პატარებმა.

— შინიდან დიაფილმის აპარატი უნდა მომეტანა, დღეს ძია ალექსანდრესთან მივდივართ, ახალ ფილმებს ვუჩვენებთ, — დააშოშმინა მეოთხე გაკვეთილის შემდეგ გოგონები ოქტომბრელთა ჯგუფის ხელმძღვანელმა და ვაჟაფშაველას ქუჩისაკენ გაუძღვა.

ძია ალექსანდრე ვარსკვლავ ,,ჯეჯილის'' ხელმძღვანელის — დათო ყიფშიძის მეზობელია. სწორედ დათომ უთხრა ლია ხელმძღვანელს, ომგადახდილს მარტო ჩემი ვარსკვლავი კი არა, მთელი კლასი ვაწვიოთო.

თინა, მამუკა, ლაშა, ნანა, ირაკლი, ლელა და გია — დათო ყიფშიძის ვარსკვლავი მიუძღოდა ოქტომბრელებს.

მასპინძელი შეუძლოდ იყო, მაგრამ ისე გაიხარა პატარების მოსვლით, რომ წამოდგა კიდეც, სამხედრო ფორმაში გამოეწყო და ეზოში სტუმრებთან სამახსოვრო სურათი გადაიღო.

პატარები მისი ცამეტი ჯილდოს ისტორიითაც დაინტერესდნენ.

ალექსანდრე ტატიშვილმა სამხედრო-საავიაციო აკადემიის დამთავრების შემდეგ ორმოცი წელი იმსახურა საბჭოთა არმიაში და ბავშვებს ბევრი უამბო ჩვენი ხალხის უდრეკი ნებისყოფისა და სიმამაცის, სამშობლოსათვის თავგანწირვის შესახებ.

...ლია ბარნაბიშვილმა ოქტომბრელთა შემდეგი დღეებიც საინტერესოდ დაგეგმა. დილაადრიან აუწყა პატარებს, ხვალ მე-11 საბავშვო ბაღს ვესტუმრებითო. გაიხარეს ნორჩებმა, ჩვენ ხომ იმ საბავშვო ბაღიდან მოვედით სკოლაშიო.

— მეც იმ საბავშვო ბაღში ვიზრდებოდი, — უთხრა მათ ლია ხელმძღვანელმა.

მაჩაბლის ქუჩაზე მდებარე საბავშვო ბაღი ამ სკოლის პიონერული მოქმედების ზონაშია.

გაკვეთილების შემდეგ $\mathrm{III}^{\text{ბ}}$ კლასელებმა $\mathrm{III}^{\text{ა}}$ კლასის ოქტომბრელებიც შეიამხანაგეს და საბავშვო ბაღისკენ გასწიეს.

ვარსკვლავ ,,განთიადის'' ოქტომბრელებმა — რომენ ბუაჩიძემ, ბადრი წიქარიშვილმა, ზურაბ გამსახურდიამ, დათო გიგაურმა, ლალი კობერიძემ, დოდო გოგელაძემ და მარინე მძელურმა ბევრი რამ მოიტანეს საბავშვო ბაღში წასაღებად — ეს თოჯინებიო, ეს ნახატებიანი წიგნიო, ეს ქოთნის ყვავილიო...

მოსვლისთანავე მიხედეს საბავშვო ბაღის ეზო-კარმიდამოს, შემდეგ კი დეიდა დარეჯანმა და ლიამ ეზოში გაშენებული ვაზის ხეივანში გაატარეს ოქტომბრელთა მწკრივი. საკურდღლეც უჩვენეს — თეთრი და ნაცრისფერი ყურცქვიტების ემმაკობაზე აცინეს სტუმრები.

ოქტომბრელები საბავშვობაღელებს დაჰპირდნენ ბაჭიებს საკვებით ჩვენ მოვამარაგებთო. საჩუქრების გადაცემის შემდეგ ლიამ ოქტომბრელებსა და საბავშვობაღელებს დიაფილმები უჩვენა.

ლიას ოქტომბრელთა ჯგუფის ყველა ვარსკვლავისთვის აქვს გამონახული საინტერესო საქმე. ლალი მუზითიძის ვარსკვლავს ,,ნაპერწკალს'' სასწრაფო დახმარების ეკიპაჟის საქმიანობით აქეზებ. ლიას მოსწონს ნანა ზერეკიძის ვარსკვლავი ,,ცისარტყელა'' და ლია თინიკაშვილის ,,მერცხალი''...

რაზმეულის საბჭოს წევრია ლია ბარნაბიშვილი. იგი ოქტომბრელებთან მუშაობის საბჭოს უძღვება. $\mathrm{III}^{\text{ბ}}$ კლასელებთან კი ვალია მასწავლებლის თხოვნით მოვიდა. მას ასე სწამს: ოქტომბრელთა საბჭოს წევრებმა თვითონაც უნდა იმუშაონ რომელიმე კლასის ოქტომბრელებთან.

უფროსი პიონერხელმძღვანელის — ქეთინო კუჭუხიძის რჩევით წლეულს სკოლის ყველა ოქტომბრელთა კლასმა აიღო ვალდებულება.

პიონერებმა, რომელთაც საკავშირო მარშის ერთ-ერთი მარშრუტის — ,,ვარსკვლავის'' მიხედვით ევალებათ ოქტომბრელებთან მუშაობა, თვითონ მიიღეს მონაწილეობა ამ ვალდებულებათა შედგენაში, ამიტომ კარგად იციან, რა უნდა გაკეთდეს ოქტომბრელთა ჯგუფში, რა საქმე მიიპყრობს მათ ყურადღებას.

$\mathrm{III}^{\text{ბ}}$ კლასელთა ვალდებულებაში გათვალისწინებულია მოძრავი ბიბლიოთეკის შექმნა, პიონერთა საზეიმო დაპირების შესწავლა. საცხრამეტმაისოდ მთელი კლასი გახდება პიონერული რაზმი.

ოქტომბრელთა გეგმა საინტერესოა: კვირაში ერთხელ სკოლის მუზეუმში დიაფილმების ჩვენება, ლენინის ორდენოსან ალექსანდრე ტატიშვილთან ხშირი სტუმრობა, გორის რაიონის სოფელ თორტიზის რვაწლიანი სკოლის მესამეკლასელებთან მეგობრობა და ბევრი სხვა... აკი მისწერეს კიდეც თორტიზელებს: —ჩვენი რაზმეული თქვენი თანა-

მზადდება წარმოდგენა, გულდასმით ისმენენ თამაზ ხაჩიძე და ნანი ცერცვაძე მანანა ჯაველაშვილის დარიგებას.

აქამდე მხოლოდ კინოში ენახათ ოქტომბრელებს ომი, ამიტომ უსმენენ ასე ყურადღებით პოლკოვნიკ ტატიშვილს.



სოფლელის, საბჭოთა კავშირის გმირის თინა იოსებიძის სახელობისაა. ლია ხელმძღვანელმა გვიამბო, თუ რატომ ატარებს რაზმეული მის სახელს; გაგვაცნო გმირის ბიოგრაფია. როცა პიონერები გავხდებით, უკვე გვეცოდინება თინა იოსებიძის ცხოვრება.

გავიგეთ, რომ მამაცი ქალიშვილის ბარათები მის მშობლებთან ინახება. დაგვეხმარეთ და მოგვწერეთ, რას სწერდა იგი მახლობლებს ფრონტიდან".

ოქტომბრელები ლია ბარნაბიშვილმა დააიმედა:

— თორტიზელ ოქტომბრელებს სკოლის რაზმეულის საბჭოც დაეხმარება. ამ სკოლის პიონერებისაგან ადრეც ბევრი საგულისხმო შეტყობინება მიგვიღია, ამჯერადაც გვიპასუხებენ...

ოქტომბრელებმა კი იციან, რაკი ლია ხელმძღვანელი ამბობს, შესრულდება!

## ალამი — გამარჯვებულს

IIზ კლასელებისათვის მერვეკლასელი ნინო საბანაძე ყველაზე საყვარელი „მასწავლებელია".

მაია კეკელიამ ჩამოთვალა, თუ რა საინტერესო საქმეები გააკეთა მისმა ოქტომბრელთა ჯგუფმა ნინო ხელმძღვანელის დახმარებით: თოჯინების ზეიმი; ქოთნის ყვავილების გახარება; ჩხირკედელას კონკურსი; სპორტული ვარჯიშების შესწავლა; მოძრავი ბიბლიოთეკის შექმნა...

ნინო საბანაძე თავიდანვე მონდომებით მოეკიდა რაზმეულის საბჭოს დავალებას.

უფროს პიონერხელმძღვანელს მოეთათბირა, ჩანაფიქრი გაუმხილა და მეორე დღეს IIზ კლასელთა საკლასო ოთახში პატარების თვალწინ გაიკრა სტენდი. ხუთქიმიანი ვარსკვლავის ქვემოთ ერთ-ერთ ჯიბაკს აწერია: „სამუშაო გეგმისათვის". ოქტომბრელები მასში დებენ ქაღალდზე დაწერილ თავიანთ სურვილებს.

ნინოც ვარსკვლავის ხელმძღვანელებთან ერთად ეცნობა მთელი ჯგუფის სურვილებს და ამის შედეგად საინტერესოდ ატარებს მხატვრულ დილას, შეჯიბრებას სპორტულ ტანვარჯიშში, ოქტომბრელთა მიერ გახარებული ქოთნის ყვავილების გამოფენას, საყვარელი წიგნების გმირებთან შეხვედრას...

ნინო საბანაძეს არ გამორჩენია რაზმეულისა თუ სასკოლო ზეიმ-შეკრებებში ოქტომბრელთა მონაწილეობაც. იმ სტენდზე ორი ჯიბაკიც არის. პირველზე წარწერაა: „შინ და გარეთ". ჩამოწერილია დღეები: ორშაბათი, სამშაბათი, ოთხშაბათი, ხუთშაბათი, პარასკევი და შაბათი. მათი მიხედვით იდება ჯიბაკებში წითელი ალმები, რომლებსაც ვარსკვლავის სახელები აწერია — ალამი იმ დღის ჯიბაკში იდება, როცა ვარსკვლავი თავს გამოიჩენს.

წარმატება დამოკიდებულია ალმების რაოდენობაზე, რომელსაც ესა თუ ის ვარსკვლავი კვირის მანძილზე მოიპოვებს.

კვირის დასასრულს ნინო საბანაძე სტენდის ბოლო ჯიბაკზე — „შედეგი", ალამს ჩადებს გამარჯვებული ვარსკვლავის უჯრაში.

— ჩვენი ნინო სამართლიანი და კარგი „მასწავლებელია", — აქებდა მაია კეკელია ოქტომბრელთა ჯგუფის ხელმძღვანელს.

## ხელი წითელი, ნოტები, მათემატიკური ამოცანები

ნორჩ მათემატიკოსთა კლუბის ხელმძღვანელს ირმა გოგოლიძეს მთელი სკოლა იცნობს.

რარიგ გაიხარეს IIIა კლასელებმა, როცა შარშანაც მათთან ირმა ხელმძღვანელი მივიდა. იგი ამ ოქტომბრელებთან პირველი კლასიდან მეგობრობს. ამიტომ, როცა სასწავლო წელი დაიწყო, კლასის ხელმძღვანელმა ელენე შუბითიძემ რაზმეულის საბჭოს სთხოვა:

— პატარებს გულს ნუ დაგვწყვეტთ, ჩვენთან კვლავ ირმა გამოგზავნეთ.

ირმა სათუთად ინახავს ჯერ კიდევ პირველ, მეორე კლასში ჩატარებულ კონკურსებსა თუ საღამოებზე ოქტომბრელთა მიერ წარდგენილ ნამუშევრებს.

— გაივლის წლები და კვლავ გავიხსენებთ ჩვენს მეგობრობას, — ამბობს ირმა.

მან პატარები თავიდანვე მათემატიკით დააინტერესა. მასთან ინახება ჯერ კიდევ პირველ კლასში ჩატარებული კონკურსის მასალები — „ვინ უფრო სწრაფად". ეს არის პირველკლასელთა მიერ ათის ფარგლებში მოქმედებისას გაუბედავი ხელით დაწერილი ციფრებით აჭრელებული ფურცლები.

— მაშინ ლალი გრიგალაშვილმა და ნინო დუნდუამ იყოჩაღეს, უშეცდომოდ გამოიყვანეს მაგალითები. შემდეგ კი ირმამ ორივენი დაასაჩუქრა შინიდან მოტანილი ქართული ხალხური „ზღაპრების გუდით", — გაიხსენეს მისმა ოქტომბრელებმა. მას მოჰყვა ნახატების გამოფენა.

ირმამ ზაქროსი და კახას სახატავი რვეულები გადაფურცლა, სიამოვნებით გაიღიმა და თქვა: უფრო მზეს, ყვავილებს, მთებს ხატავენ ჩემი ოქტომბრელები.



გამარჯვებულზე უფრო ირმა გოგოლაძეა გახარებული.

შეიძლება ეს იმიტომ, რომ ამ გოგონასთან მეგობრობამ ბუნებას დაუახლოვა პატარები. ირმას ისინი ხშირად გაჰყავს რუსთავის პარკში, ქალაქის განაპირა მინდვრებში. ზაფხულის არდადეგებზე კი ყველას დავალება მისცა: სადაც იქნებით, იქაური ყვავილების ჰერბარიუმები და მწერების კოლექციები გააკეთეთო. თვითონვე ასწავლა დამზადების წესები. და აი, წაღვერიდან ჩამოტანილი სხვადასხვა მცენარეების ჰერბარიუმები და პეპლების კოლექცია ისე ლამაზად გაეფორმებინა ნინო დუნდუას, პიონერებსაც კი თვალი ზედ დარჩათ.

პატარებს ირმას საინტერესო თხრობა მოსწონთ. ერთხელ ვაჟა-ფშაველას „ხმელი წიფელი" წაუკითხა. პატარების თვალებში ცრემლი აკიაფდა — შეეცოდათ ხმელი წიფელი.

ირმამ, რაკი ოქტომბრელთა დაინტერესება შენიშნა, იქვე ურჩია — დაეხმარეთ ხმელ წიფელს, ხოლო თუ როგორ გააკეთებთ ამას, დაწერეთო.

ირმას ახსოვს, რა ინატრა მაშინ კახამ და დაწერა კიდეც: „მინდა მალე დიდი გავხდე, ბევრი წყალი წავიღო ტყეში, ხმელ წიფელს დავუსხა და ვაცოცხლო. მეტყევე გავხდები".

ირმამ ნინო დუნდუას გატაცებაც იცოდა — გოგონა მუსიკას წერდა.

— წარმოიდგინე: ტყეში ხარ, ხმელ წიფელს უყურებ... როგორ გადმოსცემდი შენს განცდას მუსიკით?

ერთი კვირის შემდეგ ნინომ ხმელ წიფელზე დაწერილი თავისი მუსიკა მოასმენინა ჯგუფის ოქტომბრელებს. მასთან ერთად ხარობდა ირმაც, რომელმაც თავისი ოქტომბრელების ნამუშევრებს, რომელსაც შინ ინახავს, ნინოს მუსიკის ნოტებიც მიუმატა — გაიზრდება და გავახსენებო.

ხმელი წიფელი მთელმა კლასმა დახატა...

ოქტომბრელთა ჯგუფის ხელმძღვანელი სულ მუდამ ახალ, საინტერესო საქმეებზე ფიქრობს.

ირმა გოგოლიძეს რაზმეულის საბჭო ოქტომბრელთა ჯგუფის საუკეთესო ხელმძღვანელად თვლის.

### „ცეროდენას" გასტროლები

ყველაფერი დაწყებითი კლასის მასწავლებელ ლიდა სინჯიკაშვილთან მეგობრობით დაიწყო. ამ სამი წლის წინათ რაზმეულის საბჭომ ლიდა მასწავლებელი უყოყმანოდ შეიყვანა ოქტომბრელებთან მუშაობის საბჭოში. მე-15 სკოლელებმა სწორედ მისი დახმარებით მიიღეს სიგელი ოქტომბრელთა რესპუბლიკურ კვირეულზე. მაშინ ქეთინო პერანიძემ გააკეთა მოხსენება ოქტომბრელთა ნორჩი მეომრების — „ცისკრელების" საქმიანობაზე. მის გვერდით ნორჩ მეომართა ფორმებში მხედრულად გაჭიმული პატარები იდგნენ. იმ დღიდან დაწყებული ლიდა მასწავლებელი ყოველნაირად ეხმარება პიონერებს ოქტომბრელებთან მუშაობაში.

ოქტომბრელებისათვის განკუთვნილი თეატრი „ცეროდენაც" მისი დახმარებით შექმნეს პიონერებმა.

ლიდა მასწავლებლის II$^{ბ}$ კლასს ქეთინო პერანიძის რაზმი უწევს შეფობას. მანანა ყავლაშვილია მათი ჯგუფის ხელმძღვანელი. ამ კლასის ოქტომბრელები არიან „ცეროდენას" მსახიობები.

მანანა ყავლაშვილი კარგად უძღვება მეხუთე და მეორე კლასელთა მეგობრობას, მათ ერთობლივ მუშაობას. ოქტომბრელებს ძალიან მოსწონთ პიონერებთან ერთად თეატრ „ცეროდენას" სპექტაკლებში მონაწილეობა.

განსაკუთრებით კი გასტროლები ხიბლავთ, როდესაც სპექტაკლებს რუსთავის მე-11, მე-10 და მე-18 საბავშვო ბაღებში უჩვენებენ. „ცეროდენა" მონაწილეობს აგრეთვე საქალაქო ზეიმებში, შეკრებებსა და დათვალიერებებში.

### ისინი მრავალნი არიან

რუსთავის მე-15 საშუალო სკოლაში პიონერთა საუკეთესო აქტივი მუშაობს. გულს ახარებს ოქტომბრელების, პიონერებისა და კომკავშირელების ურთიერკავშირი.

კომკავშირელები, რომლებმაც ადრე საინტერესოდ განვლეს პიონერული წლები, კვლავ ხალისით საქმიანობენ პიონერებსა და ოქტომბრელებთან.

სკოლაში ოქტომბრელთა 12 ჯგუფია. მათ საქმიანობას ოქტომბრელთა მუშაობის საბჭო ხელმძღვანელობს. მისი წევრები არიან მერვეკლასელები: ნინო საბანაძე, მანანა ყავლაშვილი, მარინე მეტრეველი, ქეთინო ქოჩიაშვილი და ლია გიორგობიანი.

თვეში ერთხელ საბჭო ოქტომბრელთა ჯგუფების საერთო შეკრებას ატარებს. ესაუბრებიან, ასწავლიან სხვადასხვა თამაშობებს, სიმღერებსა და ცეკვებს, უჩვენებენ დიაფილმებს, ატარებენ კონკურსებს. ჯგუფების ხელმძღვანელები თვალყურს ადევნებენ ოქტომბრელთა აკადემიურ წარმატებას და ცდილობენ თვითონაც სამაგალითონი იყვნენ პატარებისათვის.

საუკეთესო ოქტომბრელთა ჯგუფისათვის საბჭოს ვიმპელიც აქვს დაწესებული.

— ოქტომბრელთა ხელმძღვანელობა, პიონერული კანონების ერთ-ერთი მოთხოვნაა, ჩვენც ენერგიას არ ვიშურებთ მის პირნათლად შესასრულებლად — ერთხმად გვითხრეს ლიამ, ნინომ, ირმამ, მანანამ.

## ჩვენი უცხოელი თანატოლები

ეროვნული ბიბლიოთეკა




### გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ე. ტელმანის სახელობის პიონერული ორგანიზაცია

ერნსტ ტელმანის სახელობის პიონერული ორგანიზაციის დაბადების თარიღია 1948 წლის 13 დეკემბერი. ახლა იგი 1800 ათას ბავშვს აერთიანებს. პიონერებად ბავშვებს იღებენ 6-დან 14 წლამდე.

უმცროსკლასელებს (6-დან 10 წლამდე) უწოდებენ „ნორჩ პიონერებს", უფროს ბავშვებს (10-დან 14 წლამდე) კი „პიონერ-ტელმანელებს".

გერმანელ პიონერთა დევიზია: „ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობისათვის იყავ მზად!" პასუხია — „მზად ვარ!" ტელმანელ-პიონერების ფორმა ისეთივეა, როგორიც საბჭოთა პიონერებისა, ოღონდ ყელსახვევი აქვთ ლურჯი ფერის. ყოველი რაზმი ატარებს რომელიმე გმირი ანტიფაშისტის სახელს. მის ცხოვრებასა და მოღვაწეობას აუცილებლად უნდა იცნობდეს რაზმის თითოეული წევრი. პიონერები ქმნიან ინტერნაციონალური მეგობრობის მუზეუმს, აგროვებენ მაკულატურას, ჯართს, აშენებენ სასპორტო მოედნებს. გდრ-ს პიონერებს ვიეტნამის ფონდში 1,5 მილიონი მარკა აქვთ შეტანილი.

ე. ტელმანის სახელობის ორგანიზაცია დაჯილდოებულია ვერცხლის ორდენით „სამშობლოს წინაშე დამსახურებისათვის".



ღურმიშხან
გრიგოლაშვილი

# არჩევანი

მხატვარი
ჯემალ ლოლუა

მოთხრობა

გაკვეთილი კარგა ხნის დაწყებული იყო, კარის ღრიჭოში გიგლამ თავი რომ შემოყო. ჯერ ლადო მასწავლებელს გახედა, რომელიც დაფაზე მაგალითებს წერდა, მერე ტუჩზე თითი მიიდო—ჩუმადო! ნელა შემოაღო კარი, ფრთხილად შემოეყუდა, ფრთხილადვე მიხურა კარი და ფეხაკრეფით წამოვიდა მერხისაკენ. მერხი ჩემს უკან იდგა და ყოველთვის, გიგლას ყოველ განძრევაზე, დანჯღრეული ურემივით ჭრიალებდა, მაგრამ საოცარი ის იყო, რომ, როცა გიგლას ეს არ სურდა, ჩქამსაც არ გაიღებდა. ახლაც თითქოს ბუმბული დასცემოდეს მაღლიდან! კლასი შეჩვეული იყო გიგლას ასეთ ოინებს, მაგრამ აქა-იქ თავშეკავებული სიცილი მაინც გაისმა, მით უფრო, რომ კუსპარა თედომ კარგა ხმამაღლა შეაგება შემოსულს:

— ოჰ, ვინც მოქიდა, გაუმარჯოს!

— კულაკს გაუმარჯოს, კულაკს! — გამოსძახა რობიზონა-ყივჩალმაც.

არ ვიცი, ამ წამოძახილზე თუ იმ შეკავებულ სიცილზე, — ლადო მასწავლებელი ახლაღა შემობრუნდა და სათვალის ზემოდან გაოცებითა და წყენით გადმოხედა კლასს, მაგრამ ერთბაშად გაყუჩებულ და წერით გართულ კლასში საგანგაშო რაკი ვერაფერი შენიშნა, წელან გაწყვეტილ სიტყვას მიუბრუნდა:

— როგორც უკვე მოგახსენეთ, ყმაწვილებო, — „ყმაწვილებო“ მისი ყველაზე საყვარელი სიტყვა იყო, — ეს მაგალითები და ამოცანები საგანგებოდ თქვენთვის შევადგინე, სახელმძღვანელოში მათ ვერ ნახავთ. პასუხებს განგებ არ გეუბნებით, ვნახოთ ერთი...

— გვითხარით, რა, მასწ, — წამოდგა გიგლა.

აქა-იქ ისევ გაისმა შეკავებული სიცილი, ყველა გიგლას მისჩერებოდა. ის კი ისეთი იდგა, თითქოს გაკვეთილზე ჯდომისაგან გადაღლილა და ძილი მორევიაო.

ლადო მასწავლებელმა სათვალე მოიხსნა და გიგლას ღიმილით მიუგო:

— ისე, ჩემო გიგლა, შენ მაინც, ვიცი, თავს არ მიაკლავ ამათ ამოხსნას...

გიგლა აღარ შეპასუხებია, დაჯდა და ზურგიდან ცერა თითით მომაწვა, რითაც უსიტყვოდ მითხრა, — ხომ გაიგონე, რა თქვაო.

„ეეჰ, გიგლა, გიგლა, შე მართლა კულაკო, — გავიფიქრე, — ის დღე დაიქცეს, როცა ის მოტოციკლი გიყიდეს, სწორედ შენმა მოტოციკლმა დამღუპა გუშინ საღამოს!..“

და უკვე აღარავინაა ჩემს გარშემო, არც ლადო მასწავლებელი, არც კულაკი, არც არავინ, თვით მერიც კი... წინა მერხზე ისევ ირხევა დროდადრო მერის ქათქათა ბაფთა, მაგრამ მე მხოლოდ უფორმო თეთრ ლაქას ვხედავ ჩემს წინ, ვარ მხოლოდ მე და ირგვლივ — უცნაური, ფერადოვანი სიცარიელე, და მე თავდავიწყებით მივქრი ამ სიცარიელეში, მივქრი გიგას მოტოციკლზე შემომჯდარი, მივქრი ნაცნობ ორღობეში, მოტორის მონოტონური გუგუნით სმენადახშული, თვალი კი ყველაფერს ცხადად ხედავს: წინიდან მომავალ საბარგო მანქანასაც, წაბლისფერ ძროხასაც, ზანტად რომ მოაქნევს, მშვენიერი რქებით შემკულ, შავშუბლა თავს, და მის უკან წკეპლით მომავალ მერის ბებიასაც ვხედავ.... მაშ რა ეშმაკი შემიჯდა, რა მემართება, რომ სიჩქარეს დაკლების მაგიერ ვუმატებ. მანქანას კი მშვიდობით ავუარე გვერდი ვიწრო ორღობეში. მაგრამ მარუსა ძალოს ძროხას კინაღამ ფეხი მოვტეხე. ძროხა ჯერ დაფრთხა, შეზმუვლა კიდეც, მერე აითრია ფეხი და დაფეთებული გაუყვა ღობეს ძირ-ძირ. ერთიც ვთქვათ და, მარუსა ძალოსთვის დამეჯახებინა! მყისვე ვამუხრუჭებ მოტოციკლს, რომ მარუსა ძალოს ბოდიში მოვუხადო, მაგრამ თურმე სწორედ ესაა ჩემი ყველაზე დიდი სისულელე. წავსულიყავი, გავქცეულიყავი, გამეცა. როგორც მივერეკებოდი, რაზე შევატოვე თავი იმ გაალმასებულ დედაბერს? იქნებ ამცდენოდა ყოველივე იმის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსმენა, რამაც ასე ამიბნია თავგზა და საგონებელში ჩამაგდო? ბოდიშის მოხდას მერეც მოვასწრებდი, როცა გაუვლიდა ბრაზი და სიანჩხლე. მეორე დღეს მივსულიყავი, ძროხისათვის მოსაკითხად კაი ნარჩევი ბალახი მიმეტანა და მარუსა ძალოსათვისაც მობოდიშებით გული მომელბო. მერი ხომ ყველაფერს მშვიდობიანად მოაგვარებდა! ეს ყველაფერი მერე ვინანე, მერე ავწონ-დავწონე, თორემ იმ საღამოს ისე შტერულად, ისე წინდაუხედავად მოვიქეცი... და აკი მივიღე კიდეც!..

— აბა, იქნებ გელაშვილმა მაინც გვითხრას? — ლადო მასწავლებელი თავზე დამდგომოდა და ღიმილით მომჩერებოდა პასუხის მოლოდინში.

— რა, მასწავლებელო?.. კითხვა ვერ გავიგე... — წამოვდექი და გაოგნებული დავაჩერდი მერხზე ერთ წერტილს.

— რას გაიგებდი, — მიმტევებელი ღიმილით თქვა ლადო მასწავლებელმა, თან უფრო გამომცდელად და გაკვირვებით მომაჩერდა, — ათი წუთია გიყურებ და თვალს არ ახამხამებ... რაზე ფიქრობ, რა გემართება? — ერთხანს მიყურა და მერე თითქოს დაყვავებით მითხრა: — დაჯექი, დაჯექი.

დავჯექი და, ვითომც არაფერი, რვეულის ყდაზე რაღაცეების ჯღაბნას მოვყევი. დიდზე დიდი მადლობელი ვიყავი ლადო მასწავლებლისა, რომ ასე იოლად და ერთბაშად მომეშვა. კალმის უაზრო ტრიალში თურმე დამიხატავს ძროხის თავი — მაღალი რქებითა და შავი შუბლით, მსხვილი თვალებითა და გაბერილი დრუნჩით. და მე სწრაფად ვუახლოვდები ამ ზანტად მოქანავე თავს... ძროხა უცებ ფრთხება და გარდიგარდმო მეხიდება გზაზე... ქალის წამოძახილი, მაღლა შემართული ხელები, ჰაერში მოქანავე წკეპლა... მოტოციკლეტის წინა თვალი რაღაც რბილ მასას ეჯახება და მე, გვერდზე გადაქანებული, ძლივს ვასწრებ მოტორის ჩაქრობას და გადმოხტომას. მანქანის საჭე ჩაბღუჯული მაქვს და ყალყზე შემდგარი მოტოციკლეტის წინა თვალი ინერციით განაგრძობს ტრიალს. რა დამავიწყებს იმ ბრაზისაგან მოქცეულ სახეს, დაჭყეტილ თვალებს და გაფარჩხულ ხელებს, რომელთაც ენერგიულად დაიწყეს ჰაერში ქანაობა, რათა პატრონის პირიდან ამოფრქვეული იმ საზარელი წყევლა-კრულვისათვის მეტი წონა და ძალა მიეცათ. წყევლისა კი არა და ცემის ღირსიც რომ ვიყავი, ეს მეც მშვენივრად ვიცოდი. სხვა რაღა დამრჩენოდა, ვიდექი თავჩაღუნული და ვბუტბუტებდი; „ბოდიში, ბოდიში..." მორჩილად ვუცდიდი, როდის მორჩება-მეთქი და, როცა დასასრულს ველოდი, სწორედ მაშინ დაიწყო მთავარი: უცებ ისეთი რამ მითხრა, იმ წუთას ერთბაშად ისიც კი გავიფიქრე — ჭკუაზე შეიშალა ეს საწყალი მეთქი...

— შე უბედურო, შე ნაბიჭვარო, შე არგასაზრდელო, — ხელები ცხვირწინ ამითამაშა და უცებ ხმადაწევით, თითქოს რაღაც დიდ საიდუმლოს მანდობდა, ასეთი რამ ჩამძახა ყურში: — მაგისი რძით მაინც არ იყო გაზრდილი! რომ მოგიყვანეს, ექვსი თვის ღლაპი იყავი, ექვსი თვის! არმად შეგერგოს, რაც მაგის რძე გიხვრეპია, არმად! ეგ უბრალო ძროხა კი არა, დედაა შენი, — შენი გამზრდელი და დამპურებელი!

ყურში დიდხანს, დიდხანს მესმის ეს უაზრო სიტყვები... ის კი მიდის აჩქარებული ნაბიჯით, რომ ძროხას წამოეწიოს. მიდის და უკვე კარგა შორს მიქანაობს უფორმო შავ ლაქად, მიდის და მიიქნევს წკეპლას. მე ვდგავარ და გავყურებ ამ მოძრავ შავ ლაქას, ვიდრე მოსახვევს მოეფარებოდეს. ვდგავარ ზარდაცემული, გაოგნებული, გონებაარეული სახსრებში მოშვებული და განადგურებული. ყურში კი რეკავენ და რეკავენ ის საშინელი სიტყვები, ქაოსურად ირევიან და დაუსრულებლივ როკავენ ჩემს მდუღარე ტვინში, სანამ საბოლოოდ გამოიკვეთებიან და თავზარდამცემ აზრად ჩამოყალიბდებიან...

**დურმიშხან გრიგოლაშვილის მოთხრობამ „არჩევანი" „პიონერის" კონკურსზე მეორე პრემია დაიმსახურა.**



— ვიდრე ზარი დაირეკებოდეს, — კვლავ თავზე დამდგომია ლადო მასწავლებელი და ახლა მის დანაოჭებულ, გალეულ ნიკაპს შევცქერი, ჩემს ზემოთ რომ ქანაობს. — ერთხელ კიდევ მინდა შეგახსენოთ, რომ მარტო ვალდებულების აღება კი არა, შესრულებაა საქმე! თქვენ კი რა გამოგივიდათ? — „არც ერთი ოროსანი კლასში!" სკოლის კედლის გაზეთშიც გამოჭიმეთ რაზმის ვალდებულებანი, მთელი სკოლის გასაგონად განაცხადეთ — ამას ვიზამთ, იმას ვიზამთო. შედეგი? შედეგი კი კვლავ არ ჩანს, ყმაწვილებო! მართალია, კანტიკუნტად, მაგრამ ისევ იწერება ჟურნალში ორიანები. სასწავლო წელი კი თავლისა და ხელშუა გეპარებათ! — ლადო მასწავლებელმა კლასში მძიმედ, პროთეზის ოდნავ გასაგონი ჭრიალით გაიარ-გამოიარა და მერის წინ შეჩერდა, — რას იტყვი, ჩალათაშვილო, ეშველება ვითომ საქმეს?

მერი წამოდგა, თავი ჩაღუნა და გაწითლდა.

— მოგწონთ, ყმაწვილებო, ეს ამბავი? — ხელები გაშალა ლადო მასწავლებელმა. — რატომ უნდა წითლდებოდეს ზოგიერთი თქვენგანის გამო მერი ჩალათაშვილი? თვითონ თქვენც კარგად მოგეხსენებათ, მოწინავე და სანიმუშოა ყოველმხრივ რაზმის საბჭოს თავმჯდომარე, ბევრი კარგი საქმის თაოსანი. მადლობა ღმერთს, სხვებიც ხართ ქების ღირსნი, მაგრამ... ბედენაშვილის ორიანებს თქვენი ხუთიანები რას შველის! ვისზეა მიმაგრებული გიგლა ბედენაშვილი? — ისევ მერის მიუბრუნდა ლადო მასწავლებელი.

— გელაშვილზე, მასწავლებელო, — მიუგო მერიმ და საყვედურით სავსე თვალებით გამომხედა.

ლადო მასწავლებელი ჩემკენ წამოვიდა.

— რაო, გელაშვილო, როგორ მოგწონს ბედენაშვილის ორიანები?

„რას გადამეკიდნენ! — გავიფიქრე,—თვითონ თუ არ ენაღვლება თავისი ორიანები, მე რა ვუყო!"

— გელაშვილმა რა ქნას, მასწავლებელო, — შემეშველა გიგლა, — რაც შეუძლია, მეჩიჩინება, მიხსნის, მამეცადინებს, მაგრამ... — და გაჩუმდა.

— რა „მაგრამ"? — არ მოეშვა ლადო მასწავლებელი.

— არ ჩადის ამ მკვახე გოგრაში აღიარა კულაკმა. თავისი ხუმრობით კმაყოფილმა გამხიარულებულ კლასს ღიმილით გადახედა და საზეიმო ხმით დამარცვლა: — გპირდებით, ლადო მასწ... გპირდებით — გამოვასწორებ!

— ეჰ, ერთხელ და ორჯერ გითქვამს ეგა! — მოწყვეტით ჩააქნია ხელი ლადო მასწავლებელმა, — რას გამოასწორებ, ყმაწვილო, შენი მოტოციკლეტის პატრონი, შენცა სცდები და სხვებსაც აცდენ! რა ეშმაკად გიყიდა მამაშენმა!

...მარუსა ძალო უკვე მოსახვევს ეფარება. ერთბაშად ვფხიზლდები, ჩემს არსებას ახლა ერთადერთი დაუოკე-

ბელი სურვილი იპყრობს — სურვილი სიმართლის შეტყობისა. ახლავე, ახლავე უნდა შევიტყო ყველაფერი, ახლავე უნდა დავეწიო იმ შავად მოქანავე ლაქას და არ მოვეშვა, ვიდრე ბოლომდე არ შევიტყობ ჭეშმარიტებას! შესაძლოა, ის წკეპლა თავზეც დამამტვრიოს იმ ქალმა, მაგრამ აღარაფერს ვერიდები, რადგან ამ შიშთან შედარებით უსაზღვროდ უფრო დიდი და ძლიერია სიმართლის შეტყობის სურვილი, რომელიც ახლა მიმაქანებს წინ. ასე სწრაფად არასოდეს მიქროლებია გიგლას მოტოციკლი, მაგრამ ასე გრძელი და უსასრულო არასოდეს მომჩვენებია დრო და მანძილი. აი, გავცდი კიდეც მოსახვევს; აგერ, მარუსა ძალო და მის წინ ოდნავ კოჭლობით მიმავალი ძროხაც... მარუსა ძალო მოტოციკლის ხმაზე ორჯერ ზედიზედ იხედება უკან და აშკარად ვხედავ მის მოღრეცილ სახეზე აღბეჭდილ შიშსა თუ გაოცებას. ალბათ ჰგონია, რომ განზრახ მის შუაზე გასაგლეჯად მივაქროლებ მანქანას. ალბათ ამიტომაც უფრო ნაპირ-ნაპირ მიერეკება ძროხას და თვითონაც ღობისკენ მიიწევს. მე კი, რაც უფრო ვუახლოვდები, მით უფრო მეწევა უკან რაღაც იდუმალი ძალა. ვგრძნობ, ახლა უკვე როგორ მაკრთობს და მაფრთხობს ის, რისთვისაც ასე მოვისწრაფოდი. თანდათან მიპყრობს წეღანდელის საწინააღმდეგო გრძნობა — სიმართლის, ჭეშმარიტების შეტყობის შიში და, იმის მაგიერ, რომ მოტოციკლი გავაჩერო, კვლავ ანგარიშმიუცემლად ვუმატებ სიჩქარეს. და აი, მარუსა ძალოს და მის ძროხას უკვე გვერდითაც ჩავუქროლე. მანქანა კაკლის ქვეშ შეკრებილ ბიჭებთან მივაგდე და, ვიდრე მარუსა ძალო მოახლოვდებოდა, შინისაკენ გავიძურწე...

— ვისაც არ მოგიტანიათ, ამ ერთ კვირაში კეთილი ინებეთ და წარმოადგინეთ! — ამბობდა ლადო მასწავლებელი და მერხებს შორის მიმოდიოდა.

— რა წარმოადგინეთო? — ვკითხე გვერდით მჯდომ პაჭანას.

— არც შენ მოგიტანია? — გაოცდა პაჭანა.

— რა, ბიჭო?

— რა და, ომის ვეტერანებზე რომ დაგვავალეს...

— ჰო... —ვთქვი მე, — ხვალ-ზეგ მოვიტან, რა მეჩქარება!

ცხრა მაისს, გამარჯვების ოცი წლის თავზე, ჩვენს რაზმს საზეიმო შეხვედრა უნდა მოეწყო ომის ვეტერანებისათვის. ეს წინადადება მარტის ბოლოს მერიმ წამოაყენა რაზმის საბჭოს შეკრებაზე. ჩვენი თანაკლასელების ოჯახის წევრებს უნდა შევხვედროდით, მაგრამ სკოლის რაზმეულის საბჭოს ისე მოეწონა ეს ღონისძიება, რომ გადაწყდა მისი მთელი რაზმეულის მასშტაბით ჩატარება. შედგა სოფელში მცხოვრებ ომის ვეტერანთა გრძელი სია, განაწილდა როლები — ვინ ვისთან უნდა მისულიყო და დაეწერა ნარკვევი ომის ამა თუ იმ ვეტერანზე. რა თქმა უნდა, ეს საპატიო საქმე მხოლოდ „რჩეულებს“ გვანდეს, განსაკუთრებით კი—ლიტერატურული წრის წევრებს. ნარკვევები თავს იყრიდა რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარესთან. იგი ახარისხებდა მათ და იმ მებრძოლებზე, რომელთა საბრძოლო თავგადასავალი უფრო საინტერესო და მნიშვნელოვანი იყო, მოხსენება უნდა მოემზადებინა. ეს შეხვედრა შინმოუსვლელთა პარკში უნდა გამართულიყო, რომლის გაშენებაში ჩვენი სკოლის პიონერებმა აქტიური მონაწილეობა მივიღეთ. პარკი საზეიმო ვითარებაში გაიხსნებოდა ცხრა მაისს. ისიც გვითხრეს, რომ ამ ღონისძიებას სკოლის ხელნაწერი ჟურნალის „ნორჩი შემოქმედის“ სპეციალური ნომერი ეძღვნებოდა და საუკეთესო ნარკვევები გამოქვეყნდებოდა მის ფურცლებზე.

საწოლი აივანზე მედგა, დაწოლის წი ხშირად ფარდების გაწევა მავიწყდებოდა და დილაადრიან მზე სხივებს პირდაპირ თვალებში მაშუქებდა. კვირა ერთადერთი დღე იყო, როცა შემეძლო გვიანობამდე ლოგინში მენებივრა, მაგრამ მზეც რომ არა, ჩვეულებისამებრ, კვირაობითაც ადრე მეღვიძებოდა სკოლაში დაგვიანების აკვიატებული შიშით. ბევრჯერ დაფეთებული წამოვმხტარვარ კიდეც და მერეღა გამხსენებია, რომ დღეს „ჩემი დღეა!“ ჰოდა, მერე რაღა გაგაჭიმინებს დილის ძილს, ძალიანაც რომ ეცადო! სოფელმა უკვე კაი ხანია მოიფშვნიტა თვალები, გაიზმორა თავისი გოლიათური, ჯანღონით სავსე სხეულით და აგერ, მიაბოტებს ორღობეებში. მიაბოტებს ღიღინ-ღიღინით, მხიარული გადაძახილ-გადმოძახილით, ჯანსაღი, ხალისიანი ხმაურით. ეს ორღობეები კი, სოფელს რომ გასცდებიან, უამრავ წვრილ-წვრილ ბილიკებად იქცევიან და ჩაიკარგებიან ბაღ-ვენახებში, ჭალებსა თუ ტყეებში.

მოგეჩვენება, რომ მთელ სოფელში მხოლოდ შენღა ჩარჩი ლოგინში. რატომღაც გრცხვენია და უკვე მერამდენედ აპირებ წამოდგომას, მაგრამ თავსაც იოლად ვერ ერევი.

ასე იყო იმ კვირა დილითაც.

გაღვიძებით ადრე გამეღვიძა, არ ვიცი, — ქიტა პაპა ვენახში რომ მიდიოდა, მაშინ, თუ დედაჩემი და მამაჩემი ბაზარში წასასვლელად რომ ფუსფუსებდნენ, მაშინ. მგონი, უფრო იმ საშინელმა სიზმარმა გამაღვიძა. ჯერ იყო და შარა-შარა ვიფრინე — მერცხალივით ვფლობდი სხეულს და უზომო ნეტარებას განვიცდიდი. მერე საიდანღაც გიგლას მოტოციკლიც გაჩნდა და თავდავიწყებით მივქროდი შუა ორღობეში. ყველა გზას მიქცევდა, ყველა და ყველაფერი. თვით საბარგო მანქანაც კი მოკრძალებით განზე გადგა და სწორედ ამ დროს შუა გზაში გამეხირა წკეპლაშემართული მარუსა ძალო, რომელსაც უკან წაბლისფერი ძროხა მოჰყვებოდა. დამუხრუჭება ველარ მოვასწარი და მარუსა ძალოს ისეთი ძალით დავაჯახე მოტოციკლი კინაღამ შუაზე გავგლიჯე. მარუსა ძალომ ძროხასავით დაიზმუვლა და წკეპლამომარჯვებული გამომენთო. მივქრი და ვგრძნობ, როგორ მეწევა მარუსა ძალო. მოტორი კი უკვე ხროტინობს. მალე ბენზინი გამითავდება. ასეც მოხდა. გადმოვხტი მოტოციკლიდან, მინდა გავიქცე, მაგრამ ფეხები არ მემორჩილება, მეკვეთება. ვხედავ, როგორ მეწევა მარუსა ძალო, სულ ახლოს ჩამესმის მისი წყევლა-კრულვა და ჩემს წინ უცებ ჩნდება წაბლისფერი ძროხა, ხაოიანი ენით მილოკავს ოფლიან სახეს და საოცრად ნაზი, ქალური ხმით მეუბნება: „ჩქარა ჩქარა, შემაჯექი ზურგზე! მე შენ გადაგარჩენ... მე შენი წიქარა ვარ, შენი საყვარელი წიქარა!..“ ის იყო ძროხას ზურგზე მოვევლე და გავქუსლე, რომ მარუსა ძალოც მოვარდა. „მაგისი რძით მაინც არ იყო გაზრდილი, შე ნაბიჭვარო!“ ერთ ხანს ისევ ჩამესმის ყურში მისი წივილი. წიქარა კი მიქრის ქარივით, მიქრის პირდაპირ მწვერვალებზე შეფენილი ფერადი ღრუბლებისაკენ. „მე დედა ვარ შენი, შენი გამზრდელი და დამპურებელი!“ — მესმის მისი მზრუნველი ხმა და ქვეყნად აღარაფრის მეშინია...

სწორედ ამ ბორგვაში გამეღვიძა. ნაცემ-ნაბეგვივით მტეხდა სხეულის ყოველი კუნთი. განსაკუთრებით კი მკერდში მიკვნესოდა რაღაც, მარცხნივ, სადაც გულია.

თავზე დედაჩემი დამდგომოდა, შუბლზე ხელს მაჭერდა და იქვე მდგომ მამაჩემს ეუბნებოდა:

— გუშინღამაც ეგრე შფოთავდა მთელი ღამე. ვერ არის ბიჭი კარგად!... რაღაც ცუდს მიგრძნობს გული.



მამაჩემმა სიგარეტს მოუკიდა და სიცილით უთხრა:

— ნუ იცი ხოლმე გაზვიადება, ქალო! მაგის ასაკში ყველა ასეა, შეყვარებული იქნება! სხვა რა უნდა იყოს!

წეღან მხოლოდ წამით გავახილე თვალი და ჩემი გაღვიძება არც ერთს არ გაუგია. ვიწექი თვალდახუჭული და გაფაციცებით ვისმენდი მათ საუბარს.

— სიცხე ხომ არა აქვს? — ჰკითხა მამაჩემმა.

— არა, სიცხე არ უნდა ჰქონდეს, — მიუგო დედამ და ერთხელ კიდევ დამადო შუბლზე გრილი ხელისგული.

— ჰოდა, მოეშვი ახლა, მშვენივრად არის! წავიდეთ, გვაგვიანდება! — აჩქარდა მამა.

დედა ჩემს საწოლს მოშორდა. კიბეზე რომ ჩადიოდნენ, კვლავ მოისმა მისი შეწუხებული ხმა:

— რა ვიცი, რაღაც უცნაურად შეიცვალა თითქოს... არც გამოხედვა აქვს ძველებური, არც სიტყვა-პასუხი... — თუ არ მომეჩვენა, ტირილიც გაურია.

მამაჩემის პასუხი ვეღარ გავარკვიე. უეცრად მოწოლილმა ცრემლმა თვალის უპეები ამიწვა. ბალიშში ჩავემხე და უმწეოდ ავქვითინდი. მერე ისევ წამიღო ძილმა. ძილ-ღვიძლში ვგრძნობდი — ლოყაზე ბუზი დამაჯდა. დუნედ ავიქნიე ხელი და მოვიშორე. ახლა ცხვირზე ინება წამოსკუპება. მერე ამყვა ზევით. გაინავარდა შუბლზე, საფეთქელს დაუყვა და შიგ ყურში არ შეფორთხდა?! ეს კი მეტისმეტია-მეთქი, მთელი ძალით ვიტკიცე ყურზე ხელი და უცებ ვიღაცის მოგუდული ფხუკუნი ჩამესმა. გავაჭყიტე თვალი და რას ვხედავ: თავზე ჩვენი კულაკი არ დამდგომია?! ხელში მოკლე წკირი უჭირავს და ჩუმი, შეკავებული სიცილისაგან ჩასავსავებულს უარესად წამოჭარხლებია ისედაც მწითური ხმელ-ხმელი სახე.

— ოჰ, ამ დილაობაზე არ დაგეთარსე და თუნდა! — შევძახე სიცილით.

— რაღა დროს დილაა, ბიჭო! — მომიგო გიგლამ და საბანი ხელის ერთი გაკვრით გადამხადა. — ადე, ადე, გეყოფა ნებივრობა.

სხვა რა გზა იყო, წამოვდექი... ცოტა არ იყოს, გამიკვირდა კი მისი სტუმრობა. საერთოდ, იშვიათად იცოდა მოსვლა. ის უფრო მოზრდილ ბიჭებთან ძმაკაცობდა და ჩვენ, მასზე ორი-სამი წლით უმცროსებს, ზვიადად დაგვყურებდა ზემოდან, აქაოდა, მე თვით „ეშვიანის“ წრეში მიღებული კაცი ვარ, თქვენ ვინა ყრიხართო! ერთ რამეს კი მუდამ ვგრძნობდი: პირადად ჩემთან ურთიერთობას არ თაკილობდა, პირიქით, რაც ჩემი თანაკლასელი გახდა, თითქოს თვითონვე ცდილობდა ჩემთან სიახლოვეს, აქეთ მეტმასნებოდა. ეს გამორჩეული ყურადღება და განსაკუთრებული დამოკიდებულება ჩემდამი უფრო აშკარად ვიგრძენი მას შემდეგ, რაც გიგლა მოტოციკლის მფლობელი გახდა.

არ ვიქნებოდი გულწრფელი, თუ ვიტყოდი, რომ მე ჩემის მხრივ, ჭიან ტყემლადაც არ მიმაჩნდა მასთან მეგობრობა. პირიქით, ვამაყობდი კიდეც და ყოველნაირად ვცდილობდი გიგლას გულის მოგებას, რაც, კაცმა რომ თქვას, მხოლოდ და მხოლოდ მზამზარეული საშინაო დავალებებით მის სისტემატურ მომარაგებაში გამოიხატებოდა, თორემ გუშინ ლადო მასწავლებელთან აშკარად იცრუა...

გიგლა მესამედ ჩარჩენის შემდეგ აღმოჩნდა ჩვენს კლასში. ჯერ ფანჯარასთან იჯდა, რომელიც სკოლის ფართო ეზოს გადაჰყურებდა. იქიდან განსაკუთრებით კარგად მოჩანდა კალათბურთისა და ფრენბურთის მოედნები, სადაც თითქმის ყოველთვის გატაცებით თამაშობდნენ უფროსკლასელები. როცა მასწავლებლები დარწმუნდნენ, რომ გაკვეთილების მანძილზე გიგლა მთელი არსებით სკოლის ეზოში იყო, საერთოდ აუკრძალეს ფანჯარასთან ჯდომა. საბოლოოდ შემოსასვლელთან, უკანა მერხზე დაიმკვიდრა ადგილი ბიჭმა. მერხი კლასში ყველაზე მაღალი იყო და განიერიც, მაგრამ გიგლა მაინც ძლივს ეტეოდა. თითქმის ყველა საგანში ძლივსძლივობით მოგვყვებოდა, ბორძიკ-ბორძიკ მოჩანჩალებდა. სამაგიეროდ, ფიზკულტურის გაკვეთილზე წინ მიგვიძღოდა და ეს საკმარისი აღმოჩნდა, რომ ვიღაცას კვიმატად „ლიდერი“ შეერქმია. ყველამ მოიწონა ეს სახელი და, ვინ იცის, იქნებ საბოლოოდაც შერჩენოდა პატრონს, ერთ მშვენიერ დღეს რუსულის გაკვეთილზე მის ამ მართლაცდა საამაყო სახელს ახალი რომ არ დამატებოდა.

იმ დღეს რუსულში მამრობითი სქესის არსებითი სახელების ბრუნება გვქონდა გასამეორებლად. ელენე მასწავლებელმა სათვალის ზემოდან კარგა ხანს უცქირა კლასს და, ბოლოს, თითი მაინცდამაინც გიგლასკენ გაიშვირა. ლიდერი ძლივს გაიმართა მერხში. ჩაახველა, კი-

დევ ჩაახველა და, როგორც ველოდი, ზურგში თავისი ფრჩხილწაუჭრელი ვეება ცერი მატაკა. მე შეჩვეული ვიყავი მის ამ „პაროლებს“ და ჰაიჰარად დავიწყე წიგნში საჭირო მასალის ძებნა, რომ მერხის ქვეშ გადამეშალა და... დანარჩენი გიგლამ იცოდა! საოცარი იყო, როგორ ახერხებდა იმ სიმაღლეზე აყუდებული კაცი წინა მერხში გადაშლილი წიგნის წაკითხვას.

სანამ წიგნის ფურცვლით ვიყავი გართული, ელენე მასწავლებელმა არც აილო, არც დაილო, — არ ვიცი რის პასუხად, — გიგლას მუშტი მოუღერა და ეუბნება:

**Что это такое?**

— მუშტი, მასწ.— წამოიძახა ლიდერმა.

— რუსულად? — ჩაეკითხა მასწავლებელი.

გიგლამ, რა თქმა უნდა, ისევ ჩაახველა და ისევ მატაკა ზურგში ცერი.

კალამს ვწვდი და მერხზე გადაშლილი რვეულის კიდეზე ქართულად მივაწერე: „კულაკი“.

კულაკი! — რიხით თქვა გიგლამ.

— **Кулак!**—ღიმილით შეუსწორა ელენე მასწავლებელმა—**Какого рода?**

ისევ მივაწერე რვეულის კიდეზე: „მუჟსკ...“

— შენ მანდ დადე ეგ კალამი, თორემ!.. — თვალი შემასწრო ელენე მასწავლებელმა და თითი მუქარით დამიქნია, მერე ისევ გიგლას მიუბრუნდა:

— **Мужского рода**, არა? აბა, მიბრუნე!

— ვითომ უნდა ახლა მაგას ბრუნება? — დაეჭვდა ლიდერი.

— **Разговоры!**—გაისმა პასუხად.

მეტი რა გზა იყო.

— კულაკი... — თქვა გიგლამ და ჩაფიქრდა. ჩემი იმედი უკვე აღარ უნდა ჰქონოდა, რადგან სულაც არ ვაპირებდი მისი გულისათვის მეორე შენიშვნის მიღებას...

გიგლას კი, ვინ იცის, რა მოჩვენებები გაუჩინა სიტყვა „კულაკმა“. ეტყობა, სულაც დაავიწყდა ელენე მასწავლებლის მოღერილი მუშტი, ეტყობა, საერთოდ დაავიწყდა, ახლა რუსულის გაკვეთილი რომ იყო და ლექსივით მიაყარა:

— კულაკი... მაშასადამე, სახელობითი — კულაკი, მოთხრობითი — კულაკმა, მიცემითი — კულაკს... — და გაჩერდა, ახარხარებულ კლასს გაოგნებულმა გადახედა და თვითონაც უცებ ფხუკუნი აუტყდა.

ეგ იყო და ეგა, ჩვენი „ლიდერი“ იმ დღიდან „კულაკად“ იქცა.

— გამარჯობა, კულაკო!

— როგორა ხარ, კულაკო?

— გამოგჭიმეს კედლის გაზეთში, კულაკო?

გიგლას პირველ ხანებში თავისი ახალი ტიტულის გაგონებაზე რაღაცნაირი უცნაური ღიმილი აუთამაშდებოდა ხოლმე სახეზე. კაცმა არ იცოდა, სწყინდა თუ უხაროდა ეს სახელი. მერე და მერე კი, როცა მისი მეტსახელი კლასიდან მთელ სკოლას მოედო, გიგლა საბოლოოდ შეურიგდა ბედს და მეჩვენებოდა, რომ სხვებთან ერთად თვითონაც დაივიწყა თავისი საკუთარი სახელი. ის კი არა და, თითქოს მოსწონდა კიდეც ეს „კულაკობა“. ჯერ იყო და ყველა თავის სახელმძღვანელოსა და რვეულს დიდი, დაღრეცილი ასოებით წააწერა: „კულაკისა ვარ!“ ერთ მშვენიერ დღეს კი სოფლის შარაზე ახალთახალი სპორტული მოტოციკლით გამოჩნდა, რომლის საჯდომს დაბლა მიკრულ თუნუქის ოთხკუთხა ფირფიტაზე, როგორც იტყვიან, შავით თეთრზე, უფრო ზუსტად კი—თეთრით შავზე, გარკვევით ეწერა: „**Клк-17—65**“. ყველაფერი საოცრად დაემთხვა; ასოებზე რომ აღარა ვთქვათ რა, ამ ციფრებიდან პირველი ხომ მის ასაკს, მის წლოვანებას აღნიშნავდა, მეორე კი მიმდინარე წელს, იმ ღირსსახსოვარ თარიღს, როდესაც კულაკი მოტოციკლის მფლობელი გახდა.

შერქმეული სახელი, მეტ-ნაკლებად მორგებული, ვის არ გვერქვა, მაგრამ „კულაკი“ მაინც განსაკუთრებით ამშვენებდა გიგლას. ისე იფერებდა თვითონაც, როგორც საგულდაგულოდ მის ტანზე შეკერილ პიჯაკს, მაშინ როცა ბევრ ჩვენგანს შერქმეული სახელი ნათხოვარი ტანისამე-



ლივით გავდგა და სიამოვნებით გავიხდიდით კიდეც, ჩვენზე რომ ყოფილიყო დამოკიდებული.

მაინც მგონია, რომ მისი ნამდვილი კულაკობა სწორედ იმ მოტოციკლით დაიწყო. მაშინ ასეთი მოტოციკლები ჩვენს სოფელში უიშვიათესი რამ იყო და პირველივე საღამოს გიგლას მანქანის გარშემო, რაღა თქმა უნდა, მოზრდილი წრე შეიკრა. გიგლა კარგა ხანს არავის ანდობდა მანქანას, მხოლოდ უკან თუ შემოგვისვამდა რიგრიგობით, ისიც იშვიათად. მერე კი ერთბაშად მოლბა და შეიცვალა, გამოგვარჩია შედარებით მოზრდილი ბიჭები და გულმოდგინედ, მოთმინებით დაიწყო ჩვენი წვრთნა.

ვიდრე შევჯდებოდით, თავისი გრძელი მკლავებით საიმედოდ გვიკავებდა მანქანას, მერე კი კარგა მანძილზე სირბილით მიგვაცილებდა, ვიდრე გავიმართებოდით და სიჩქარეს ავიკრეფდით.

ბოლოს, ავად თუ კარგად, აკი ვისწავლეთ მოტოციკლის მართვა და უფრო და უფრო აგვეშალა კიდეც საღერღელი. გიგლასაც ჩვენს თვალში სულ სხვა ფასი დაედო.

თურმე ნუ იტყვით, გიგლაც, ამას უცდიდა. როცა დარწმუნდა, ახლა ბიჭები სიზმარშიაც კი ალბათ ჩემი მოტოციკლით დაქრიანო, მანქანა სასეირნოდ კი არა, ლამის დასანახადაც დაგვანატრა. საღამოობით ერთი კი გამოვარდებოდა შარაზე, გაიქროლ-გამოიქროლებდა და ყურს არ ათხოვებდა ხვეწნა-მუდარას—„შემსვი, შემსვიო!“, ისე შევარდებოდა თავიანთ ორღობეში. ათასში ერთხელ ჩემს მიმართ თუ მოიღებდა მოწყალებას და ორიოდე წუთით მათხოვებდა, თორემ სხვას ხელის დაკარების უფლებასაც აღარ აძლევდა. მართალია, სეირნობის ის ორიოდე წუთი ჟინს არა თუ მიკლავდა, არამედ უარესად მიშლიდა საღერღელს, მაგრამ სხვებთან შედარებით თავი მაინც ბედნიერად მიმაჩნდა და ვცდილობდი გიგლას თვალში კვლავაც „სასარგებლო და გამოსაყენებელ კაცად“ დავრჩენილიყავი.

მერე კი ყველაფერი ისე აეწყო, როგორც ეს კულაკს ჰქონდა, ალბათ, თავიდან ჩაფიქრებული. არ მახსოვს, პირველად რომელმა ჭკუის კოლოფმა მოიფიქრა მისი მოქრთამვა, მაგრამ ახლა გიგლას მოტოციკლით ძველებურად ყველას შეეძლო ექროლა, ოღონდ ერთი პირობით... თუმცა ამაზე ცოტა ქვემოთ გეტყვით...



მე მაინც განსაკუთრებულ პატივში ვყავდი კულაკს. ჩემთვის არავითარი რიგი არ არსებობდა. ამასთან, ის „ერთი პირობაც“ წინანდებურად სულ სხვა მოთხოვნილებას მიყენებდა. გიგლა საღამოობით მოუთმენლად ელოდა ჩემს გამოჩენას, რადგან იცოდა სახვალიო საშინაო დავალებების დაწერამდე ფეხს არ გამოვადგამდი გარეთ და, როცა გამოვჩნდებოდი ტვინნაჭყლეტი და გასავათებული, დავალებების რვეულებს საზეიმო ვითარებაში ვაბარებდი კულაკს, სამაგიეროდ კი მოტოციკლს ვიბარებდი. გიგლა დავალებების გადასაწერად გარბოდა და მე, როგორც „ნდობით აღჭურვილ პირს“, თავის მაგიერ მტოვებდა მანქანის ბატონ-პატრონად, ოღონდ წასვლის წინ მეტყოდა ხოლმე:

— დღეს პაჭანასა და ტუჩას არ შესვამ, იცოდე! მაგათზე ხუთ-ხუთი ჩურჩხელაა!

ან კიდევ:

— ჩიჩაყვა მოტოციკლს არ მიაკარო, სანამ შეპირებულ ოც ცალ კაკალს არ მოაცუნცულებს.

— კიპალაზე ათი ცალი გულაბი მსხალია, პაპამისის ბაღისა!

— ჭუკაზე და ყივჩალაზე თითო „პაჭკა“ სიგარეტია, ფილტრიანი!

ამას რომ ამბობდა, თან ვიღაცისაგან მორთმეულ ვაშლს, მსხალს თუ ჩურჩხელას შეექცეოდა ნება-ნება. მეტწილად კი თანამესუფრედ ერთი-ორი „დიდი ძმაკაცი“ ახლდა „ეშვიანის“ წრიდან.

გაწბილებული, იმედგადაწურული ბიჭები ერთმანეთს გადახედავდნენ, გასამხნევებლად თვალსაც ჩაუკრავდნენ ერთურთს და რომელიმე მათგანი გიგლასკენ თავის გადაქნევით იტყოდა:

— ეჰ, კულაკი არ არის?! რა უნდა ელაპარაკო!

— ეგა თქვი და! — კვერს დაუკრავდნენ სხვები.

მერე იწყებოდა ახალი შეპირებები, სახვალიო, საზეგაო აღთქმები, გულმხურვალე ფიცი. ხუთი ჩურჩხელა ათად იქცეოდა, ოცი კაკალი — ორმოცად...

კულაკსაც მადა ჭამაში მოსდიოდა.

— თქვენები სად არიან? — მკითხა კულაკმა, პირს რომ ვიბანდი.

— ბაზარში წავიდნენ.

— ყველანი? — გაოცდა გიგლა.

— პაპა ვენახშია.

— ბაზარში რის საყიდლად? — რატომღაც დაინტერესდა გიგლა.

— რა ვიცი! — უკვე ნერვებს მიშლიდა მისი უაზრო შეკითხვები.

— ფული იყოს, თორემ საყიდელს რა გამოლევს, არა? — გაიცინა.—მამაშენს კიდევ ფულის მეტი რა აქვს!

— ვითომ რაო, რომელი ბანკირი ნახე მამაჩემი?

— რა ვიცი, ლატარიაში ორი ათასი მოიგოო, მართალია?

—ეგ კია, მოიგო, — დავემოწმე.

— ვაჰ, — პირი დააღო კულაკმა, — ყისმათია, რა გინდა! სალაროში შეიტანდით ალბათ?

— აპირებს, ჯერ არ შეუტანია...—მივუგე და ქვემოთ, მარანში ჩავედი პურის ამოსატანად.

უკან რომ ამოვბრუნდი, გიგლა წიგნების კარადაში იქექებოდა. გამოიღებდა წიგნს, ჰაიჰარად გადაფურცლავდა და უკანვე შეტენიდა, გეგონებოდათ რაღაცას ეძებსო.

— მოდი, ვისაუზმოთ, მურაბიან არაყსაც გადაგაკვრევინებ!

— თუ გადაკვრაა, გადაკვრა იყოს, მურაბიანი შენთვის შეინახე! — გაიცინა კულაკმა და მაგიდას მიუჯდა.

— მე ვერა ვსვამ არაყს, — ვაღიარე დარცხვენით.

—მე მომიტანე!

კარადიდან არყის ბოთლი გამოვიღე.

ამ ბოთლს ყოველდილა, საუზმის წინ, თითო პაწია სირჩას აკლებდა მამა, იშვიათად — ორსაც. ისე მადიანად

იცოდა გადაკვრა, რამდენჯერ თვითონაც გადამდებია არყის დალევის სურვილი, მაგრამ ვერ იქნა და ვერ შევეგუე ამ უფერული სითხის აუტანელ, შემაზრზენ სუნსა და მწარე გემოს. მალე სამუდამოდაც გამიქრა მისდამი ინტერესი.

კულაკმა კი ისე გადახუხა, თითქოს აბი გადაყლაპა და წყალი დააყოლაო.

— დალიე, რა, — ახლა ჩემთვის აპირებდა დასხმას, მაგრამ ბოთლზე ხელი ვუტაცე, აგერ, მურაბიანს დავლევ, ესეც შენი ხათრით-მეთქი. არ მომეშვა, მაინც ნახევრად შემივსო ჭიქა. — ნახევარი მაინც დალიე, — მეხვეწებოდა და თანაც მარიგებდა: — მთავარია, პირთან რომ მიიტან, არ დასუნო, მაგრად ამოისუნთქე, უცებ გადაუშვი ჟანგიან ხახაში და მაშინვე ტკბილი დააყოლე, ან წყალი, სულ ერთია!

დიდი ამბით შევემზადე, მაგრამ ჭიქა პირთან მივიტანე თუ არა, მაინც ის მძაფრი სუნი მეცა ცხვირში, გაუბედავად შევაჩერდი ჭიქას.

— მიდი, მიდი, ნუ გეშინია! — სკამზე ხტოდა კულაკი. — ჰა, კაცი არა ხარ? აბა, ერთი, ორი, სამი...

ჭიქის დადგმა ვეღარ ვიკისრე.

და გამოთუთქულ ხახაში ცეცხლის ბურთივით მომაწვა რაღაც. კინაღამ გავიგუდე ხველებით. კულაკი სიცილით კვდებოდა ჩემი შემყურე.

ბოლოს, როცა სული მოვითქვი და საჭმელს მივეძალე, თავის ჩაქნევით მომიგო:

— ეჰ, ტყუილად კი არ შეგარქვი წიგნიღეჭია! შენ, ბიჭო, რძეს უნდა სვამდე ისევ, არაყი რა შენი საქმეა!

„რძეს უნდა სვამდეო! — დამცეცხლა უეცრად, — იცის, ნაღდად იცის, მერიკოანთ ძროხის რძით რომ ვარ გაზრდილი! ხედავ, სად ჩამირტყა?!"

და უცებ ძალიან მომინდა, მეთქვა რაღაც ისეთი, რომ ახლავე დავრწმუნებულიყავი, იცოდა თუ არა კულაკმა რამე „იმის შესახებ".

რატომღაც მყისვე წუხანდელი სიზმარი დამიდგა თვალწინ.

— მაგ რძეზე გამახსენდა, კულაკო, — დავიწყე შეფარული ღელვით, — წუხელ წიქარა მესიზმრა, ბიჭო. წარმოგიდგენია?!

— ვინა, ბიჭო? — თვალები დასხა კულაკმა.

— წიქარა, ხომ გახსოვს ზღაპარი წიქარაზე...

— კი, მახსოვს... მერე?

— ჰოდა, რაღაც უცნაური სიზმარი ვნახე. შენს მოტოციკლეტზე ვიჯექი და სადღაც მივქროდი, უკან კი წკეპლამომარჯვებული მარუსა ძალო მომდევდა წყევლითა და მუქარით...

— ვინა, ვინა?..

— აგერ, ჩვენი მერის ბებია...

— ვაჰ, რას ამბობ! მერე, მერე? — და ვიდრე რამეს ვეტყოდი, თავი გადააქნია და ტუჩების წკლაპუნით დააყოლა: — აუჰ, რა კაი რამეა ეგ მერი, ჰა? რა გოგოა, ბიჭო?! — თან თვალი ჩამიპაჭუნა.

იმ წუთას საოცარი ზიზღი და სიძულვილი ვიგრძენი მის მიმართ. ერთი სული მქონდა ამელო ეს შოთი და მეთხლიშა თავში, მაგრამ ვითომ არც გამეგოს ნათქვამი, ისე განვაგრძე შეწყვეტილი სიტყვა. არაფერი დამიკლია, არც მომიმატებია, ვყვებოდი და დაჟინებით მივჩერებოდი კულაკს. „თან დროდადრო თავს მოაბრუნებს და ქალის ხმით მეუბნება: „ნუ გეშინია, მე შენ გადაგარჩენ! მე დედა ვარ შენი!"

და უცებ გავჩუმდი. მომეჩვენა, რომ ამ სიტყვებს არავითარი ეფექტი არ მოუხდენია კულაკზე, მან ჯიბისკენ წაიღო ხელი, სიგარეტის კოლოფი ამოაჩოჩა და ჩაიცინა.

— ჰმ, რას არ ნახავს კაცი სიზმარში! — თქვა და სიგარეტი გამომიწოდა: — მოწიე!

— როდის იყო, რომ ვეწეოდი, ბიჭო!

— ერთ დროს არც მე ვეწეოდი, როდესმე ხომ უნდა მოწიო! — მშვიდად მომიჭრა კულაკმა.

— არ არის აუცილებელი ყველა ეწეოდეს! — ვთქვი მე. — მამაჩემმა რომ გამიგოს, ბარემ რაღა!

კულაკი გამოცოცხლდა მამაჩემის ხსენებაზე.

— ჰო, მართლა, რაო, მამაშენმა... როგორა აქვს შაქროს საქმეო, არაფერი უთქვამს?

შაქრო ძია, გიგლას მამა, სოფლის უნივერმაღში ნოქრად მუშაობდა, რაც თავი მახსოვდა. გუშინწინ მაღაზიაში აღწერა დაიწყო. რევიზიას მამაჩემი და ერთი მისი თანამშრომელი ქალი ატარებდნენ (მამა რაიონში მუშაობდა რევიზორ-ბუღალტრად). წუხელის ყური მოვკარ, მამაჩემმა ახსენა შაქრო ძია, მაგრამ განსაკუთრებული ყურადღება არ მიმიქცევია მისი სიტყვებისათვის. უკვე ძილბურანში ვიყავი, დედაჩემს რომ ეუბნებოდა: „ეჰ, არ ვიცი, როგორ იქნება შაქროსა და სოლიკოს საქმე, არ ვიცი!" „დანაკლისი აქვთ?" — ჰკითხა დედამ. მამამ ჩაიცინა: „დანაკლისი-დანაკლისად, მაგრამ საწყობი უფაქტურო საქონლით აქვთ გამოტენილი და თვითონაც მოგეხსენება, ყველაფერს დიდი ფასწამატებით ჰყიდიან". იქნებ კიდევ ილაპარაკეს, არ ვიცი, მალე ძილმა წამართვა თავი.

— რა უნდა ეთქვა მაინც? — მშვიდად ვკითხე კულაკს.

— რა ვიცი, ისე... ხომ არაფერი უთქვამს-მეთქი...— დაიბნა კულაკი, კიდევ აპირებდა რაღაცის თქმას, მაგრამ შეყოყმანდა და მხოლოდ ესღა მკითხა:

— მართლა, როდის აპირებ მამაჩემზე იმის დაწერას?

— დღეს შინ არის?

— კი, მაღაზია ხომ დალუქულია...

— ჰოდა, დღეს მოვალ ბარემ.

— იცი, რა საინტერესო ამბებს მოგიყვება? — დამპირდა კულაკი. — მამაჩემმა თქვა, თუ კარგად დაწერს, „კომუნისტში" დავაბეჭდვინებ მიშიკოსო. ჩემი ბიძაშვილი ხომ რედაქციაში მუშაობს...

— წამო, ბარემ ეხლავე წავიდეთ, ვენახში მინდოდა ჩასვლა, მაგრამ...

გიგლაანი ჩვენგან ათიოდე წუთის სავალზე ცხოვრობდნენ. ჩვენი აივნიდანაც კარგად მოჩანდა ცემენტის მაღალ გალავანში ჩასმული მდიდრული კარმიდამო.

შაქრო ძიას ბევრი თავპატიჟი არ დაუდევია. გიგლას წინასწარ შეემზადებინა და აეხსნა ყველაფერი, ამიტომ ბევრი ახსნა-განმარტება არც მე დამჭირვებია. აივანზე მაგიდას შემოვუსხედით და, როცა რვეული და ფანქარი მოვიმარჯვე, შაქრო ძიამ ასე დაიწყო:

— ეჰ, რა გითხრათ, შვილებო... არც კი ვიცი, რით დავიწყო. რაც მე ომში წვალება მინახავს, იოლად ვერ იტყვის კაცი! დასწყევლოს ღმერთმა! აბა, რომელი ერთი ბრძოლის შესახებ გიამბოთ... მოსკოვთან ბრძოლაში დავკარგე ხელი.

— თანამიმდევრულად, მამი, — შეაწყვეტინა კულაკმა და მე მომიბრუნდა: — ხომ სწორეა, სოსო, ომში გაწვევით დაიწყოს და მიჰყვეს...

— თქვენ როგორც გენებოთ, შაქრო ძია, — ვთქვი მე, — ოღონდ მთავარი და მნიშვნელოვანი არ გამოგრჩეთ. მერე თვითონ დავალაგებ როგორმე.

— ჟურნალისტი გინდა გამოხვიდე, ხომ? — ცაციათი თმები მომისრისა შაქრო ძიამ.

ფაფუკი, კოტიტა თითები ჰქონდა. გიგლასავით მაღალი, ოღონდ კარგა ჩამსხვილებულ-ჩასუქებული კაცი იყო. კეფიდან წამოზრდილ და მელოტ შუბლზე შექუჩე-



ბულ თმის ბულულს ნიავი უწეწავდა. სქელ ულვაშებში უხვად მორეოდა ჭაღარა. ლაპარაკის დროს ვერცხლის კბილებს აჩენდა და თხელი ტუჩები უცნაურად ეღრიცებოდა, ბგერების უმეტესობას ტუჩის კუთხეებში წარმოსთქვამდა რაღაცნაირი წასისინებით, თითქოს წინასწარ ასველებს თითოეულ ბგერასო.

— ეს ყველაფერში მაგარია! — შემაქო კულაკმა, — მათემატიკებში ხომ...

— მაშ არადა შენა გვგანებია! — მიუგდო შაქრო ძიამ.

— ეჰ, იმდენი ანგარიში კი ვიცი, რომ მუშტ რს ფული არ გადავაყოლო და! ერთ რამე სავაჭრო ტექნ. კუმს კი როგორმე დავამთავრებ, მეტი არც მინდა! — თქვა გიგლამ.

— მაგისი ტოტი მაინც თუ გამოიჩინე, კიდევ რა გიჭირს! — ამოიხვნეშა შაქრო ძიამ. — კაი ანგარიში რომ იცი, იმისი წყალობითაა აგერ ჩვენს მაღაზიაში საქმე საათივით აწყობილი! — და უცებ აიმღვრა, აშკარად გაბრაზდა: — მაშინ მივქარე, შენ რომ პირველად დახლს იქით შეგიშვი, დამღუპე კაცი! — ცოტა ხანს დადუმდა, ჩაფიქრდა და, თითქოს უცებ გავახსენდი, გაბზარული ხმით შემომჩივლა: — არადა, ეს ოხერი, ხანდახან საქმეა ისეთი... სულ მაღაზიაში ხომ ვერ იდგები! დედამისსაც ხშირად არ სცალია, ხან ავადმყოფობს, ხან... რა ვიცი... ამ ბედოვლათს ვენდე რამდენჯერმე და...

მე უხერხულად ვიშმუშნებოდი და რვეულის ყდაზე რაღაცეებს ვჯღაბნიდი ინსტიქტურად. აბა, რა უნდა მეთქვა? ვიცდიდი, როდის დაუბრუნდებოდა შაქრო ძია დაწყებულ და უადგილოდ გაწყვეტილ სათქმელს.

— ჰო, ყველაფერი ჩემი ბრალი იყოს, კი, ბატონო!— თქვა კულაკმა.

— თორემ ტყუილია! — შეუბღვირა მამამისმა.

— არა უშავს, მამი, სოსოს მამა ყველაფერს მოაგვარებს, უცხო ხომ არ არის! — თქვა უცებ გიგლამ.

მე შემაკრთო მამაჩემის ხსენებამ და წამით შევავლე თვალი მამა-შვილს. ორივე დაჟინებით მომჩერებოდა, თითქოს ჩემგან ელოდნენ რაიმე საშველს.

— ესე იგი, მოსკოვთან იბრძოდით, არა, შაქრო ძია?.. — ეს ისე მშვიდად და კარგად გამომივიდა, თვითონვე მომეწონა.

— ჰო, მართლა, თან საქმე! — გაეცინა კულაკს.

შაქრო ძიამ ღრმად ამოიხვნეშა.

— ვიბრძოდი, ვიბრძოდი... ადვილია სათქმელად! ეს ხელი ხომ ხელად დავკარგე, — და სამთითწაჭრილ მარჯვენაზე დაიხედა. — ახლა სხვა ჭრილობებს არ იკითხავ? ხუთგან ვარ დაჭრილი... აი, აქ, აქაც... — შაქრო ძიამ ხუთჯერ დაიდო ხელი სხეულის სხვადასხვა ადგილზე, მერე ხელი ჩაიქნია და სიგარეტს მოუკიდა.

— „ნეტავ გიგლა თუ ეწევა მამის თვალდათვალ?“ — გავიფიქრე, მაგრამ გიგლა არ აპირებდა სიგარეტის ამოღებას.

— ახლა ზოგიერთს რომ ჰკითხო, — განაგრძო შაქრო ძიამ, — ყველაფერი იოლად ეჩვენება. დიდი ამბავი, თუ იომეო, — გეტყვიან. გაზეთებში, იცოცხლე, — „არავინ და არაფერი არ არის დავიწყებული!“... მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგება, ყველაფერიც დავიწყებულია, ყველაც და ყველაფერიც!

— მაგას რაზე ამბობთ, შაქრო ძია?! — ჩავურთე გაკვირვებულმა.

— ქალაქში ომის ინვალიდებისათვის კიდევ არის რაღაც შეღავათები, — თქვა შაქრო ძიამ, — სოფლელი კაცისათვის კი... ეჰ!

— ამ სახლის მასალა სულ შეღავათიან ფასებში არ გამოიტანე, როგორც ომის ინვალიდმა? — შეახსენა კულაკმა.

— რა წვალების ფასად! — წამოიძახა შაქრო ძიამ. — ეგ, შვილო, წვრილმანებია. აბა, ვენახი რომ ჩამომართვეს, მე ვენახი წამერთმეოდა? ნორმაზე მეტი გაქვსო! ვისა სცხელა შენთვის, ომის ინვალიდი ხარ თუ რაღაცა! სხვებთან რატომ უნდა გამათანაბრო, შვილო და ძმაო, სისხლი დამიღვრია, ჩემი მიწა-წყალი მკერდით დამიცავს. მაშ, რომელ ნორმაზე მელაპარაკები? მეცა და აგერ, გაღლეტილ ამირანასაც თანაბრად უნდა გვქონდეს ადგილები? მაშ ეს საქმეა?

შაქრო ძიამ მაგრად მოქაჩა სიგარეტი და რატომღაც მარჯვენა სახელო დაიკაპიწა.

— მანქანის საქმე მაინც თუ მოგვარდა!.. — თქვა კულაკმა.

— მანქანა უფეხო ინვალიდებს ეკუთვნითო! ცოტა ვწერე? ცოტა ვეცადე? ვისა სცხელა შენთვის! — ხელი ჩააქნია შაქრო ძიამ. — დალოცვილო, ეს როგორ, რატომ, იმისი ფეხი ვითომ რითა სჯობია ჩემს ხელსა!

„ეჰ, ესენი აღარ მოათავებენ! — მთლად წამიხდა ხასიათი ამათ მიკიბულ-მოკიბულ ლაპარაკში. — რომელი ის მე მნახეს, რომ ჩივიან!“

— რომელ წელს, გაგიწვიეს, შაქრო ძია? — გადავწყვიტე, კითხვებით აღარ მოვშვებოდი, ვიდრე თხრობის ხასიათზე არ დადგებოდა.

მაგრამ შაქრო ძიას აღარც უცდია საითმე გადახვევა. ჩაჯდა ეშელონში და გაუყვა ომის ფათერაკიან გზებს.

მე ყურადღებად ვიქეცი, იშვიათად თუ ჩავურთავდი კითხვას რაღაცის დასაზუსტებლად და დროდადრო რაიმეს ჩავინიშნავდი ჩემთვის.

გაგრძელება შემდეგ ნომერში.

# „იყალთოელი ბიჭები" ტაშისკარში

ფოტორეპორტაჟი
ზორა
გაბელიასი.



სცენა სპექტაკლიდან. (მარცხნიდან მარჯვნივ) „სნაიპერი" — ლევან ბუაძე, ბოგია — გია თევზაძე, ლადო — ჯამბულ ქვრივიშვილი, სანდრო — ავთო რობაქიძე.

## მაყურებელთა დარბაზში

სულ რაღაც სამიოდე წლის ისტორია აქვს თბილისის განათლების განყოფილების ბავშვთა მხატვრული აღზრდის სახლის მოსწავლეთა საქალაქო თეატრს, მაგრამ მან თავისი სპექტაკლებით—ო. ტაბაკოვისა და ი. უსტინოვის „ფიფქა და შვიდი ჭუჭა", ს. მიხალკოვის „ოპერაცია „ძვირფასი ბიჭუნა", ლ. მრელაშვილის „იყალთოელი ბიჭები" — უკვე დაიმსახურა ნორჩ მაყურებელთა მოწონება.

თბილისის სკოლების მოსწავლეთაგან შემდგარი თეატრის კოლექტივი, ახალგაზრდა რეჟისორის გოგი თოდაძის ხელმძღვანელობით, სასწავლო წლის მანძილზე დაუცხრომლად მუშაობს: ქმნის სპექტაკლებს, აწყობს დისპუტებს, ექსკურსიებს ქალაქგარეთ, ხვდება ხელოვნების მოღვაწეებს, ესწრება დედაქალაქის თეატრების ახალ წარმოდგენებს, კინოფილმებს... დადგება თუ არა ზაფხულის არდადეგები, თეატრი ტაშისკარის სკოლა-ინტერნატს მიაშურებს ხოლმე.

აქ მოთავსებულ ფოტოებზე აღბეჭდილია თეატრის ერთი დღე ტაშისკარის სკოლა-ინტერნატში. მიდის სპექტაკლი „იყალთოელი ბიჭები".





ტაშისკარში გამგზავრების წინ.



მარინე მამასახლისი სკოლა-ინტერნატის დირექტორს გადასცემს ნორჩ ხელოვანთა საჩუქრებს.



ყველაზე ნორჩი მსახიობი თამარ გონგაძე. მადა მგზავრობაშიც მოდის.

სანამ სპექტაკლი დაიწყებოდა, ნორჩ მაყურებლებს ცნობისმოყვარეობა არ ასვენებთ.





სპექტაკლის დაწყებამდე სტუმარმასპინძელი კალათბურთის მოედანზე სცდის ძალას.

# «მზეყანარი»

**თამაზ ბიბილური**

პირველად ეს სიტყვა გიორგი ლეონიძის „ნატვრის ხეში“ ამოვიკითხე, მინამდე არ გამეგონა. გიორგი ლეონიძე ხომ დიდი მოყვარული იყო „მუხლადი, ბედაური, მაძღარი“ სიტყვისა. ამბობდა: ეს ჩემი სიტყვა გაზაფხულის დილიდან არი გამონაწური, იმ წყაროებიდან გამონაჟური, რომელთა თავზე მდგარ ნიგვზნართა ხეივანში გულყვითელა „ბიჭო-გოგიას“ მომძახოდაო. სიტყვები იმ ლურჯთვალა იებში მიპოვნია, ჩვენს მიდამოებში რომ ვკრეფდი, იმ ყაყაჩოგარეულ ჭეჭილებში, მზით ამოვსებულ თავთავებში, შეთქვირებულ ყანებში რომ დგანან სხივმოსილი სიტკბოებითა და იდუმალებითო.

იქვე იგონებს პოეტი: დედაჩემი ყოველ გაზაფხულზე წაგვიყვანდა ხოლმე ყანის დასახედადო.

„ვიდექით, ვუმზერდით მოღალანე ყანას და თვალს ვერ ვაშორებდით.

მომხიბლავი იყო თავანკარა, დათავთავებული, მზით ამოვსებული მაძღარი ყანა, ცხრაფრად რომ ლივლივებს ნიავის შექროლებაზე. „მზეკაბანი“ ჰქვია ყანაზე მზიანი ნიავის გადაცურება-გადალივლივებას. მზის ათასფერი კაბა ფრიალებდა, ბრიალებდა სავსე მინდორზე!

მოწიწებით ვიდექით ჩუმად გარინდებულნი, ადამიანისა და ბუნების — შრომისა და შემოქმედების ამ საოცნებო ზღვის წინაშე, შევყურებდით, ვხარობდით, ამგვა ვგრძნობდით და გულში კაცობის ნათელი დგებოდა!

მახსოვს, საახალწლო თონეში ჩემთვისა და ჩემი ძმებისათვის ნაზუქთან ერთად ცხვებოდა: ბასილა, პურის გუთანი, ბარები, წალდები, ცულები, ჩიგოები! მაგრამ ყველაზე მეტად კი პურის ხმლები! გოგოებიც არა რჩებოდნენ უპატიოდ; მათთვისაც აცხობდნენ: პურის ჯარას, თითისტარს, პურის ძეძუს, ქათმის კლანჭს.

ყოველივე ეს ბავშვობიდანვე შთაგვაგონებდა შრომის სიყვარულს.

თუმც ჩემთვის დედას კალამი არ გამოუცხვია, მაგრამ ასე მგონია, პურის კალამი მიჭირავს ხელთ და იმ ქართული პურის მადლითა და სიმართლით ქაღალდზე გადამაქვს ის, რაც დამავალა დედამ და ჩემმა მშობელმა ხალხმა“.

აქ ნათლად და პოეტურადაა ნათქვამი პურის მადლზე, პურის სიდიადეზე, პურის მომყვანის შრომაზე. აბა ისევ ჩავუფიქრდეთ: ყანაზე მზიანი ნიავის გადალივლივებას „მზეკაბანი“ ჰქვიაო. ამ სიტყვის თავდაპირველ მთქმელს ყანა და ყანის ლივლივი თვით დიდ მზესთან დაუკავშირებია. ყანა შრომისა და შემოქმედების საოცნებო ზღვაა და მის შემხედვარეს გულში კაცობის ნათელი ჩაუდგებაო, ანუ ყანის მოყვანა მხოლოდ კაცურ შრომას შეუძლიაო. პურის კალამი მიჭირავს ხელთო, ანუ პური მარტო „ჭამადი“ კი არ გახლავთ, შემოქმედებით შრომასაც შთაგვაგონებს, რაკიღა პურს თავისი მადლი გააჩნია და თავისი სიმართლეო.

„დედამ პური მოიტანა“.

„ბიჭი პურის მოსატანად გაგზავნეს“.

„პური სახვალიოდ შევინახეთ“.

„დღეს პურის ცხობა გვაქვს“.

„ოსტატს პური ვაჭამეთ“.

„სტუმარს პურ-მარილით შევხვდით“.

ამ სიტყვებში არის რაღაც სხვა, უფრო დიდი შინაარსი, ვიდრე მის ყოველდღიურობაში მოჩანს. ძალზე ჩვეულებრივი ამბავია: დედამ პური მოიტანაო. მაგრამ წუთით წარმოვიდგინოთ: აბა დედამ არ მოიტანოს პური, აბა ვერ იშოვოს პური, აბა საძებარი გახდეს პური... თქვენ ეს ამბავი გაშოროთ, მაგრამ კაცობრიობას მთელი თავისი ისტორიის მანძილზე მრავლად ახსოვს უპურო და უმოსავლო წლები, უმოსავლოდ და უპუროდ დარჩენილი სოფლები და ქალაქები, ერთი გოჯი პურის ზღაპრული ფასი, გირვანქა პურისათვის დაღვრილი ოფლი და დანთხეული სისხლი, სამეფოთა და სამთავროთა ქიშპობა და შუღლი.

მეთოთხმეტე საუკუნის დასაწყისში, ჟამთააღმწერლის სიტყვით, მეფე დემეტრე მეორე-თავდადებულის შვილს დავით მეექვსეს, რომელმაც „თავისი თავის გადარჩენას მრავალი უდანაშაულო ხალხის სიცოცხლე ანაცვალა და ქვეყანა მონღოლების გასანადგურებლად აქცია“, აღმოსავლეთ საქართველო იქამდე მიუყვანია, რომ „არა იყო მათ ჟამთა შინა თესვა და არცა შენება ყოვლადვე“. როგორც დიდი ქართველი ისტორიკოსი ივანე ჯავახიშვილი განმარტავს, „ამის ბუნებრივ შედეგად 1301 წ. საშინელი სიმშილობა მოჰყოლია და თურმე „იქმნა პურისა მოკლება“ იმდენად, რომ „ყოვლადვე არა იპოვებოდა სასყიდლად დიდითა ფასითაც კი“. კიდევ კარგიო, განაგრძობს მეისტორიე, საქართველოს ბედელი — მესხეთი ამ საშინელი აოხრებისაგან ხუთი წლის განმავლობაში არ დაზიანებულა და ამის გამო იქ, სამცხეში „იპოვებოდა პური სასყიდლად“. ამან ოდნავ მაინც შეუმსუბუქა ხალხს თავს დატყდარი უბედურება და ამიტომაც „უმრავლესი ერი ქართლისა წარვიდა სამცხესო“.

პურის ფასი კარგად მოეხსენებათ თქვენს პაპებს და მამებს, იმათ, ვინც გამოსცადა ომის წლების სიმძიმე. ფაშისტთაგან ალყაშემორტყმულ ლენინგრადში მაშინ პური მისხალ-მისხალ ნაწილდებოდა. ჩვენთან, საქართველოშიც, სადაც მტერი ვერ შემოიჭრა, მაგრამ ომის სუსხი კი მძლავრად გვაგრძნობინა, პური დიდი სიმცირითა და მთელი გაჭირვების გათვალისწინებით რიგდებოდა.

პურისადმი მოკრძალებულ პატივისცემას მხოლოდ ჟამთა სიავე როდი უღვივებდა ხალხს. როცა იტყვიან „პური არსობისაო“, გულისხმობენ მის შეუცვლელ როლს ადამიანის ცხოვრებაში. პურს ისევე უმთავრესად და უპირველესად წარმოაჩენენ, როგორც ჰაერსა და წყალს, როგორც მზის სითბოსა და მიწის მადლისაგან ნაბოძებ სიკეთეს. მაგრამ თუ მზეს მართლაც შეუძლია სითბოს ბოძება, მიწას კი „მადლისა“, პურს ადამიანი თავისი მოუღლელი შრომით, წლიდან წლამდე გაწეული ჯაფით მოიწევს ხოლმე დედამიწაზე და ამ მოწეულ ნაშრომსა და ნაჯაფს „ჭირნახულს“ უწოდებს.

ამ სიტყვასაც დავუფიქრდეთ: „ჭირნახული“... ანუ ოფლის ღვრით, მცდელობით, ბრძოლით მოპოვებული რამ, „ჭირნახული“, ანუ იგი, რაც დაკავშირებულია ჭირთან. ჭირი კი ძველთაგანვე ნიშნავს „მწუხარებას“, „სალმობას“, „ტკივილს“, „გულმას“, „გარჯას“, „ვნებას“, „გაჭირვებას“...

გავიხსენოთ ქართული ხალხური სიმღერები — „ოდოია“, „ხელხვავი“, „გუთნური“, „კალოსპირული“ და სხვანი. ამგვარ სიმღერებს „შრომის სიმღერებს“ უწოდებენ და ისინი

მრავლად შემოინახა ხალხმა. ეს მართლაც და შრომაში — მკაში, გუთანში, კალოში დაბადებული სიმღერები სადიდებელია ხვნისა თუ თესვისა, მკისა თუ გალეწვისა. ნამგლიანი კაცი ან მოღლილი გუთნისდედა მკისა თუ ხვნის დროს სასიმღეროდ ძნელად მოიცლის. მაგრამ ამ სიმღერებში დიდებულადაა გამოხატული შრომის დრამატიზმიც და სიდიადეც, სიძნელეც და სიხარულიც. ეს ადამიანის გონებით გააზრებული და გულით განცდილი სიმღერებია. შრომამ შექმნა ეს სიმღერები და შრომის სადიდებელ ჰიმნებად მოვიდა იგი ჩვენამდე.

პურის მომყვანი კაცი, ანუ იგი, ვინც ხნავს, თესავს, ფარცხავს, მარგლავს, მკის, ლეწავს, ანიავებს, ბეღელში აბინავებს, და ბოლოს დაფქვავს და გამოაცხობს, ჩვენში მუდამ განსაკუთრებულად ფასდებოდა და პატივისცემით იმოსებოდა; მით უმეტეს, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ იგივე პურის მომყვანი ამას მარტო საკუთარი თავისა და ოჯახისათვის კი არ აკეთებს, არამედ ქვეყნისათვისაც ილწვის. პურის მომყვანის ბარაქას მოელის მწყემსი თუ მევენახე, მეჩაიე თუ მეხილე, მეფოლადე თუ ჯარისკაცი, მეტყევე თუ სიტყვასთან შეჭიდებული კაცი, ან სახელგანთქმული სწავლული.

იფიქრებთ, ამას ხომ ყველა კეთილშობილი ხელობის კაცზე ვიტყვითო, და მართალიც იქნებით. მაგრამ იმთავითვე ხომ შევთანხმდით, რომ პური — ეს ქვეყნის „არსობის" ნაწილია, ერთ-ერთი უმთავრესი და უპირველესი. და თუ ასეა, უკვე დამაჯერებლად ვირწმუნებთ პურისადმი გულმხურვალე პატივისცემას, პურის ირგვლივ შექმნილ და საუკუნოობით ჩამოყალიბებულ წესსა და ადათს, რომელთაგან ბევრზე ბევრს დღესაც არ დაუკარგავს აზრი და მნიშვნელობა.

აი, ზოგიერთი მათგანი:

ხალხი ამბობს: პურმა თქვა — „ხარმა მხნა, მუშამ დამთესა, უფალმა მომიყვანაო"... ანუ პურის მოყვანა მარტო მიწისა კი არა, ზეცის საქმეცაა, მზემ უნდა გადმოხედოს და ცამ ნამი მაპკუროსო.

კარგი გუთნისდედა სოფელში ერთი პირველკაცთაგანი იყოო.

კარგი პურისმცხობელი დედაკაცი მთელ კუთხეში გაითქვამდა სახელსო.

კარგი პური მარტო სურნელოვანი კი არ იყო, თვალადაც საამოო.

ლავაში მთვარესავით უნდა ყოფილიყო გაბადრული, შოთი კი კოხტა ხმალივით ამოწვდილი.



პური თუ მიწაზე დაგივარდებოდა, უნდა აგეღო, გეკოცნა და შეგენახა.

პური თუ დაგიძველდებოდა, ან უნდა გაგეფიცხებინა, ან შეჭამადში დაგელბო და იმდაგვარად დაგეპურებინა ოჯახი.

პურს თუ გესესხებოდნენ, უარის თქმა სირცხვილად ითვლებოდა.

პურის ცხობისას თონესთან უცხოს რომ ჩაევლო, ცხელი შოთი უნდა შეგეთავაზებინა.

პური რომ გლახაკს ვინმეს ეთხოვა, ისე უნდა მოქცეულიყავი, როგორც ოთარაანთ ქვრივმა იცოდა, — შინ შესულიყავი, დარჩეული შოთები გამოგეტანა და გლახაკის გამკითხავად გამოსულიყავი.

დაბოლოს პური ჭეჭილით იწყება. ჭეჭილს მომავალ თაობას, ბავშვებს ადარებენ, ისევე უნდა ზრუნვა, ალერსი და ფიქრი, როგორც ბავშვსაო. აბა, სხვას რას რგებია ესოდენ სათუთი პატივი, ბავშვებთან, ქვეყნის მომავალთან შედარება და შეთანაბრება.

აი, ალალანებული ყანა, დამძიმებული თავთავები, უსაზღვრო, ოქროსფერი ველი. მოდის კომბაინი და მოაპობს „ტალღებს", როგორც ზღვას მოაპობს ხოლმე დიდი გემი. ეს პურის ზღვაა და ყანის ტალღები. გემი კომბაინია. ის მკის, ლეწავს და არჩევს ხორბალს. მანამდე კი, ვიდრე მკის დრო მოვიდოდა, მოხნეს, დათესეს, გამარგლეს... ველზე გუგუნებდნენ ტრაქტორები. დღე და ღამე მოსვენება არ იყო. ტრაქტორსაც, კომბაინსაც და სალეწსაც ადამიანე·

ბი მართავდნენ. მაინც ადამიანი იყო მთელი მოსავლის მომყვანი და მესვეური. რომ ადამიანი არა, ეს „ჭკვიანი“ მანქანებიც კი ვერაფერს გახდებოდნენ. მანქანა, ცხადია, სხვაგვარ შრომას მოითხოვს, მაგრამ პურის მოწევა დღემდე მაინც ძნელ საქმედ ითვლება.

სწორედ ამ ძნელ საქმესაა შეჭიდებული პურის მომყვანი კაცი.

სწორედ ამ სიძნელის გამო გვიზიდავს ჩვენც ეს კეთილშობილური „ხელობა“.

აბა, ახლა წარმოიდგინეთ, რა იქნებოდა მაშინ, როცა არც მანქანა იყო, არც ტრაქტორი და არც კომბაინი. წაიკითხეთ მაშინდელი „პურის მოთხრობა“. ეს ძალზე ძნელი, მაგრამ ლამაზი მოთხრობაა. რაც მთავარია და დღესაც დასაფასებელი, მასში ჩვენ გვხიბლავს შრომის ყადრი, პურისადმი თაყვანისცემამდე მისული ერთგულება, შრომაში შერწყმული სილამაზე, პოეტურობამდე ამაღლებული ფორმა ამ „მოთხრობისა“.

ჩვენი მონაყოლი შეიძლება მხოლოდ უბრალო შინაარსი გამოდგეს, ამ „მოთხრობისა“. მოთხრობებს არ მყვებიან. მოთხრობებს გულით განიცდიან.

წარმოიდგინეთ შემოდგომა. მოსავალი უკვე ბეღლებში დაბინავდა. სოფელში მოილხინეს. ჭირნახული ურიგო არ იყო და განწყობილებაც ჩინებულია. მაგრამ ხვალეზეც ხომ გვინდა ზრუნვა? მეზობლებმა ერთმანეთი შეიპირეს და „მამითადი“ შეიკრა. ხვნა იწყება. „მამითადი“ კი იმას ნიშნავს, რომ ათიოდე კაცი თავისი ხარ-კამეჩით და გუთნეულით დღეს ერთ ოჯახს მოუხნავს მიწას, ხვალე მეორეს, და ასე, ვიდრე მთელი სოფლის სახნავ-სათესი არ „გადაბრუნდება“. ხვნაში „ღამეღგომით“ წავიდოდნენ, რაც იმას ნიშნავს, რომ გუთნისდედები და მეხრეები ღამესაც მინდორში გაატარებდნენ, რათა რიჟრაჟიდანვე, ცისკრის ვარსკვლავი რომ ამობრწყინდებოდა საქმის თადარიგს შესდგომოდნენ.

გუთანში შეებმებოდა „რქა-კუდით შემკობილი“ ხარ-კამეჩი და გაჰყვებოდნენ სვრელს. მერე „ჭოროველას სთქვამდნენ ტკბილსაო“, დარწმუნებულნი იმაში, რომ „ეს ჩვენი მარჯვე გუთანი ველს მაღლა უზამს ძირსაო, ფარცხით ისე ჩამოვფარცხავთ, როგორც წისქვილი ფქვილსაო, შიგ რო დავთესავთ თეთრ პურსა, ყანას მოგვიყვანს ხშირსაო“...

დღე ვახშმით დასრულდებოდა, ცივ ქოხში, ანდა სულაც უქოხოდ, სადმე, მუხისქვეშ; ცეცხლაპირას, ბაასითა და ისევ გუთნისდედური იუმორით:

„აჩეჩამ უთხრა გუთანსა:
პატარა პური მიტეხე!
— მაშინ სად იყავ, აჩეჩავ,
როცა ყამირი გავტეხე,
მოვეკიდე ხის ძირებსა,
ზარბაზანივით დავჭეხე,
შენ რატომ არა მშველოდი,
ხეს რომ ფესვები ავტეხე?“

ასე გაკიცხავდნენ ვიღაც აჩეჩას, ალბათ ვინმე ზარმაცსა, და ძილისგუდას, ნაცარქექიასავით ტრაბახას, ცუღლუტსა და სხვისი ხელის შემყურეს.

ხვნას მორჩებოდნენ. ცოტაც და თოვლი წამოვიდოდა. იმ თოვლსაც უმღეროდა გლეხი კაცი. „ვიცი, რომ ზამთარს თოვლიანს თან მოსდევს მოსავალიო“. ამ „მოსავალში“ მაინც უფრო ყანის მოსავალი იგულისხმება, რადგან თოვლიანი ზამთარი სხვაზე მეტად ყანას უყვარს. ახლად თავწამორგული ჯეჯილი თოვლის ქვეშ უფრო კარგად იზამთრებს. თოვლი „თბილ საბნად“ ეფინება და მერე, როცა „ხეში წყალი ჩადგება“, როცა ზამთრის ძილისაგან გამოფხიზლებული ველი თოვლის საბანს გადაიხდის, გათამამებული ხასხასა ჯეჯილი მიიხედ-მოიხედავს: გარშემო უკვე გაზაფხულია.

ჯეჯილი ჭირვეულობს, არ უყვარს „ავი მეზობლები“.

ავი მეზობლები ვინ არიან? — ათასგვარი სარეველა ბალახები. მაშინ ისევ გლეხკაცი მოვა და „მეზობლებს“ დატუქსავს, ჯეჯილს წააქეზებს, გაათამამებს, ეტყვის, იზარდე, დაპურდი და ყანა გახდიო. მარტო აქა-იქ, ყაყაჩოები დარჩებიან ჯეჯილის მეზობლად და მწვანედ აღაღანებულ ველზე წითლად აენთებიან. აქა-იქ მიმობნეული წითელი ყაყაჩოები ყანას ამშვენებენ.

ჯეჯილი უფრო გათამამდება და ფხას გამოიღებს.

მალე დათავთავდება კიდეც.

ეს ის დროა, ან ის თვე, ხალხმა ძველად თიბათვე რომ უწოდა, ჩვენს დროში კი ივნისს ვეძახით. ივნისი თიბვის თვეა, მაგრამ არა მკისა. მკამდე ჯერ კიდევ შორია. ივნისში ჯეჯილს, აწ უკვე ყანად წოდებულს, მუხლი უნდა გაუმაგრდეს, სიმხნევე შეემატოს, დავაჟკაცდეს და ოქროს ფერი მოიკიდოს. ოქროს ფერს ყანა ზაფხულის მწველი მზისაგან იღებს. მზე უმაგრებს მუხლსაც და იმ პატარა ხორბლის მარცვლებსაც მზე უზრდის, თავთავში ჩუმად რომ მინაბულან.

გავა „თიბათვე“ და მოჰყვება „მკათათვე“. რა თქმა უნდა, თვითონ სიტყვამაც მიგახვედრათ, რომ მკის დრო დაწყებულა და თვესაც ეს პატივსაცემი სახელი ყანის გამო შერქმევია. ყანა მართლაც უკვე საჩვენოდაა შემოსული, მარცვლები უკვე წამოზრდილან და თავთავში აღარ ეტევიან. ამ დროს საშველად გვიხმობს ყანა და იწყება მკა.

მკაშიც მამითადს უხმობდნენ. შეიყრებოდნენ მომკელები და მეძნეურები, აირჩევდნენ მესვეურს, აალაპლაპებდნენ ნამგლებს და გაჰყვებოდნენ სამკალს. მომკილ ყანას ძნებად შკრავდნენ, დღის ბოლოს კი საძ-



ნე ურმები კალოსკენ მიჰრიალებდ-
ნენ. აი, სწორედ მაშინ იწყებოდა
თქვენი ტოლების ზეიმი. მომკელებს
ქალები და თქვენი ტოლები, ანუ რო-
გორც ძველად იტყოდნენ ხოლმე,
გოგო-ბიჭები მიჰყვებოდნენ, რა არის
და არც ერთი თავთავი არ დავკარგო-
თო. ამას „თავთის კრეფა“ ერქვა.
ფაცი-ფუცში, შეძახილებში, მკაში
და ძნის შეკვრაში, რა თქმა უნდა,
ბევრი თავთავი იფანტებოდა. რო-
გორც ამბობდნენ ხოლმე, „თავთა-
ვი ბლომად ცვიოდა“, და აბა ჩაცვე-
ნილ თავთავს ქარსა და წვიმას ხომ
არ გაატანდნენ. თქვენი ტოლი გო-
გო-ბიჭები აგროვებდნენ, კონებად
ჰკრავდნენ და ძნებს უმატებდნენ.
მცირე ნაწილს კი, მაგრამ იმდენს,
რომ იმათ ყოფნოდათ, ფრინველთ
უტოვებდნენ, როგორც ყანის, ვენა-
ხის და კაცის მეგობრებს.

. ბალღების ზეიმი მეთქი, გითხარით,
მაგრამ მართლა ზეიმი კალოზე იმარ-
თებოდა. აბა კალო იყო, რაც იყო.
კალო იყო თქვენი ტოლების მთელი
წლის ოცნება და მოლოდინი. წინა
დღეს რომ ეტყოდნენ — ხვალ კალო-
ზე მივდივართო, ის ღამე არა და
აღარ გაილეოდა. ბალღებს ძილი არ
ეკარებოდათ, როდის გათენდებაო.
გათენებისას თავზე დასძახებდნენ:
ადექით, თქვე ძილის გუდებო, აკი
კალოზე წასვლა გინდოდათ, საცაა
მზეც ამოვა, რაღა დროს მუშა კაცის
ძილიაო. ბალღებსაც ეს უნდოდათ და
თვალების ფშვნეტით წამოცვივდე-
ბოდნენ.

კევრი უკვე გაეწყოთ. დაიხუნძლე-
ბოდა კევრი წვრილფეხობით და
ხან ნაპირ-ნაპირ უვლიდნენ კალოს,
ხან შუაზე გადაჰრიდნენ. უცებ ხა-
რები აჩქარდებოდნენ და ბალღები
ნამჯაში გადაკოტრიალდებოდნენ, მე-
რე ისევ წამოეწეოდნენ კევრსა და
ისევ ზედ მოიკეცავდნენ. ამ სიცილ-
ხარხარში გადიოდა დღე, ნამჯა კევ-
რის კაჟის „კბილებისაგან“ ბზედ იქ-
ცეოდა, შინდის სიმსხო _ ხორბლის
მარცვლები თავთავებიდან გარეთ გა-
მოცვივდებოდნენ, მკათათვის ცხელი
მზე დაფშვნიდა თავთავებს და საღა-
მოს, როცა მზე ჩავიდოდა, განიავე-
ბის გასანიავებლად მთებიდან წამო-
სულ ზემო ნიავს ელოდნენ.

„განიავება“ რა არისო? ამასაც
გეტყვით: დადგებოდნენ ჩვენი მამა-
პაპანი კალოზე, ცაში აჰყრიდნენ გა-
ნალეწს, ნიავი ხორბალს ცალკე „გა-
დაარჩევდა“, ბზეს ცალკე და „განი-
ავება“ ამას ერქვა. მერე? ხორბლის
გარჩევა, ტომრებში ჩაყრა და წისქ-
ვილი...

წისქვილიც ძალიერ უყვარდათ
თქვენს ტოლებს.

იქ, დაფქვის მოლოდინში, ცეცხ-
ლისპირს, წყლის ჩუხჩუხში, სარეკე-
ლას კაკუნში და ქვების ბუბუნში ნა-
ჯაფი ხალხი ერთმანეთს უამბობდა
გაგონილსა და ნანახს. საუბრობდნენ
ამინდზე, მოსავალზე, ავზე და კარ-
გზე. ადღეგრძელებდნენ წისქვილს,
მეწისქვილეს, პურის მომყვანს, რომე-
ლიც მუდამ ადამიანებზე, ადამიანის
კეთილდღეობაზე ფიქრობს. ჰყვე-
ბოდნენ გრძელ, ჯადოსნურ ზღაპ-
რებს ეშმაკ მელიაზე, ავ დედინაც-
ვალზე, ულამაზეს დედოფალზე და
მამაც ჭაბუკზე, რომელმაც დედოფა-
ლი ქაჯების ტყვეობიდან იხსნა.

ბოლოს კოპწიად მოწნულ თიხის
თონეში ცხვებოდა პური.

პურისცხობაც ოჯახის ზეიმი იყო.
იმის დასტურად კი, რომ პური მარ-
ტო „სათავისოდ“ კი არა, „სახხვისო-
დაც“ ითვლებოდა, ჩვენს წინაპრებს
ჰქონიათ მშვენიერი ჩვეულება: პირ-
ველი ლავაში, თონეში დაბრაწული
პირველი შოთი ეკუთვნოდა ყველაზე
უფრო კეთილ კარის მეზობელს. „მე-
ზობელს ცხელი შოთი გადააწოდე-
თო“ — იტყოდა პურისმცხობელი
დიასახლისი და მერელა იწყებდა სა-
კუთარი ოჯახისათვის შოთების ჩაკ-
ვრას...

ნახეთ, რამოდენა საქმე უკეთებია
პურის მომყვან კაცს. რამდენი უწ-
ვალნია და უფიქრია ადამიანებზე.
ვისაც ერთხელ მაინც განუცდია
სურნელება ახლადმოხნული მიწისა,
თვალისმომტაცი ელვარება „მზეკა-
ბანისა“, მიქეფარე რიტმი მკისა და
კალოობისა, ვისთვისაც გზად გავლი-
სას უცხო ოჯახიდან ერთხელ მაინც
გადმოუწვდიათ სურნელოვანი, თბი-
ლი ქართული შოთი, იგი მუდამ დი-
დებას მიუძღვნის პურს და პურის
მომყვანს.

„დედამ პური მოიტანა“.

„ბიჭი პურის მოსატანად გაგზავ-
ნეს“...

დიახ, ეს ძალზე ყოველდღიური
და უბრალო სიტყვებია. ჩვეულებ-
რივსა და უბრალოს მიღმა დიდი
საქმის დანახვა სიბრძნის დასტურია.
ჩვენც მოგვცემოდეს ეს სიბრძნე.

ისევ გიორგი ლეონიძის სიტყვას
უნდა მოვუხმო შემწედ და მშველე-
ლად. აკი თავადვე თქვა, „ასე მგო-
ნია პურის კალამი მიჭირავს ხელთ
და იმ ქართული პურის მადლითა და
სიმართლით ქაღალდზე გადამაქვს ის,
რაც დამავალა დედამ და ჩემმა მშო-
ბელმა ხალხმაო“. ერთი დიდებული
მოთხრობა დაწერა თავისი „პურის
კალმით“ მწერალმა. იმ მოთხრობას
„მოხუცი გუთნისდედის სიკვდილი“
ჰქვია.

არავისზე ნაწყენი, არავის ნამდუ-
რავი არა ყოფილაო გუთნისდედა ნი-
ნია.

ოთხმოც წელიწადს მიაღწია თურ-
მე და ჵრაფერი არ ასტკივებია.

ბოლოს, აღმეებიდან შემონაქროლ-
მა სიკვდილმა ნინიას სალამი მის-
ცაო.

კარის მეზობლებმა, მეხრეებმა,
მისი გუთნისდედობით გაწვრთნი-
ლებმა ინახულეს, გულისგადასაყო-
ლებლად ამბებიც უამბეს, მაგრამ ჯა-
ნი უსუსტდებოდა, სული კი არა
კვდებოდა.

— ალალმართალი, გულგაწმენდი-
ლი მივდივარ წუთისოფლიდან, არა-
ვის არას ვემართლებოდი, არავისი
საყვედური არ მიმდევს... პურის მომ-
ყვანი ვიყავი ამ ქვეყნად. ბევრი მინ-
დორი გადამიშავებია და ახლა სად
უნდა წავიდე, სად გავნიავდეო?

წამოიწია და მუდარით ითხოვა:

—, მინდორს გადამახედეთო!

ორივე შვილი მხარში შეუდგა და
მოწიწებით აივანზე გაიყვანეს.

აფერებულ ყანებზე დაუდგრომე-
ლი ნიავი შლიდა, აფენდა და აქანა-
ვებდა მზეკაბანს.

თავთავი ჩუმად შრიალებდა.

ნინიამ ზეგარდიდან დახედა სავსე
მინდორს. ხარბად თვალი შემოატარა,
გულცქერით შეისაყვარლა ამრეშე-
ბული ყანები, ამოხეთქილი ბურღა-
ლი ბალახი... '

ტკბილმა მოგონებამ გული გულში
გაუყარა და გაიღიმა...

ოცი წლისამ აიღო გუთანი ხელ-
ში. მაშ, სამოცი წელი სჭერია! უხ-
ნავს, ხალხი დაუპურებია...

ამგვარად დაგვემშვიდობა მოხუცი
გუთნისდედა.

მოხუცი გუთნისდედის ამგვარი ამა-
ყი სიკვდილით მთავრდება ეს „პუ-
რის კალმით“ დაწერილი „პურის
მოთხრობა“.



მხატვარი ედ. ამბოკაძე.

# რა ღირს სახელმძღვანელო?

როცა ჟურნალ „იუნი ტეხნიკის“ რედაქციამ მთხოვა მეამბნა, რა ღირს სასკოლო სახელმძღვანელო, ძალაუნებურად დავინტერესდი იმით, თუ რა იცით თქვენ, ბავშვებო, ეკონომიკის პრობლემათა შესახებ.

მეც რომ მოზარდი ვიყავი და ლენინგრადის პიონერთა სასახლის ტექნიკურ წრეში ჩემს პირველ ყველგანმავალ ტანკს ვაკეთებდი, მე და ჩემი ტოლები ეკონომიკის საკითხებში სუსტად ვერკვეოდით. იმ დროს მთელი ჩვენი ფიქრები თავს დასტრიალებდა ესპანეთს, სადაც სისხლისაგან დაცლილი, მაგრამ მაინც გაუტეხელი რესპუბლიკა უთანასწორო ბრძოლას ეწეოდა მსოფლიო ფაშიზმის ფალანგებთან; გმირულ პაპანინის ოთხეულთან ერთად „დრეიფზე ვიდექით“ პირველ პოლარულ სადგურ „ჩრდილოეთ პოლუსზე“; აღტაცებულნი ვბაძავდით მამაც ჩელუსკინელებს; სუნთქვაშეკრულნი ვადევნებდით თვალს ჩკალოვის, ბელიაკოვის, ბაიდუკოვის გრანდიოზულ გადაფრენებს; „ვიბრძოდით“ ხასანის ტბასთან...

ხოლო ჩემი საყვარელი კეთილი ბიძა პავლე, რომელმაც გულღიად შემიკედლა ობოლი ბიჭუნა, რომელიღაც სატრანსპორტო ბაზის თვალსაჩინო ეკონომისტი, თავისი ჩითის სამკლავეებით, ციფრებით აჭრელებული ბლანკებით და მაგიდის მარჯვენა მხარეს ერთი და იგივე საანგარიშოთი, არაფრისმაქნისად მიმაჩნდა ბრძოლების, გმირობების, რევოლუციების მოელვარე ფონზე.

თუმცა ისიც უნდა ვთქვა, რომ იმ წლებშივე გაიელვა მ. ილინის შესანიშნავმა წიგნმა „მოთხრობები დიად გეგმაზე“, რომელიც ერთი ამოსუნთქვით წავიკითხე და ნათელი წარმოდგენა შემექმნა კაპიტალისტური წარმოების ეკონომიური კრიზისების მექანიზმზე, წვრილ წარმოებასთან შედარებით მსხვილი წარმოების უპირატესობაზე.

მაგრამ დღეს? რა იცის დღეს მოსწავლემ ეკონომიკის პრობლემების თაობაზე? რა წიგნები მოეპოვება მათ გასაცნობად? გამომცემლობის საცნობარო ბიბლიოთეკიდან ჯერ გრძელი სია მომიტანეს, შემდეგ კი — მეტად საინტერესო წიგნების მთელი გროვაც. აღმოჩნდა, რომ 1972-1973 წლებში ჩვენს ქვეყანაში ბავშვებისათვის გამოიცა 15 დასახელების წიგნი, რომლებშიც ასე თუ ისე გაშუქებულია ეკონომიკის საკითხები. მათ შორის არის შესანიშნავი წიგნები: ევგენი პერმიაკის „ჩვენი ცხოვრების ანბანი“, ვ. სტოროჟენკოს „მთავარი ამოცანა“ მეცხრე ხუთწლედზე დაწერილი მოთხრობების ციკლიდან, მ. პრილეჟაევას „ოცდამეთხე ყრილობაზე“.

ამგვარად გავიგე, თურმე საშუალება გაქვთ გაერკვეთ ეკონომიური კატეგორიების საფუძვლებში; იცით რა არის ფასი, თვითღირებულება, მოგება, დანახარჯები პროდუქციის ერთეულზე; ნათლად გაქვთ წარმოდგენილი, რომ ჩვენი მრეწველობა წარმოების საშუალებებთან ერთად სახალხო მოხმარების საქონელსაც აწარმოებს; რომ ყოველგვარი პროდუქცია (იქნება ეს მანქანა, ქსოვილი, სათამაშო, წიგნი თუ სხვა რამ) უახლესი ტექნიკით შეიარაღებული ასობით და ათასობით ადამიანის კოლექტიური, მიზანდასახული შრომის შედეგია. ისიც იცით, რომ ნორმალურ წარმოებად ისეთი წარმოება ითვლება, რომელიც მოგებას იძლევა; და რომ, პროდუქციის წარმოებაზე გაწეული ხარჯები ნაკლები უნდა იყოს იმ თანხაზე, რომელიც ამ პროდუქციის გაყიდვით (რეალიზაციით) მიიღება. ამ წიგნების საშუალებით დავასკვენი, რომ თქვენ, ბავშვებო, სულ სხვაგვარად გესმით სახელწოდებები: „ეკონომისტი“, „ბუღალტერი“, ვიდრე მე და ჩემს თანატოლებს გვესმოდა ოდესღაც. მაშასადამე, ჩემს წინაშე დასმულ საკითხებზე შემიძლია თითქმის პროფესიულად გესაუბროთ, როგორც თანასწორი თანასწორთ.

მაშ ასე, რა ღირს სახელმძღვანელო?

ამ კითხვას რომ წაიკითხავთ, შესაძლოა სრულიად სამართლიანად შემეპასუხოთ: „აბა ეს რა საკითხავია, გადაატრიალეთ რომელიც გნებავთ სახელმძღვანელო და გარეკანის ბოლო გვერდზე ამოიკითხავთ: ფასი ამდენი და ამდენი კაპიკი.

მაგრამ ჩვენ შევთანხმდით იმაზე, რომ საკითხს ეკონომიური თვალსაზრისით განვიხილავთ, შევეცდებით გამოვიკვლიოთ, რისგან შედგება ეს თანხა, ამასთანავე ისიც ვნახოთ, შეესაბამება თუ არა იგი სახელმძღვანელოზე გაწეული ხარჯების ნამდვილ ოდენობას.

უპირველეს ყოვლისა შევიხედოთ სასკოლო სახელმძღვანელოების შემქმნელ ლაბორატორიაში — ჩვენს სასწავლო-პედაგოგიურ გამომცემლობაში.

სასკოლო სახელმძღვანელოს სათავესთან ავტორი, ან ავტორთა ჯგუ-







ფი დგას. იგი ქმნის სახელმძღვანელოს ხელნაწერის სახით და შემდეგ გამომცემლობაში მოაქვს.

გამომცემლობაში ხელნაწერზე მუშაობას იწყებს დიდი და საინტერესო კოლექტივი. ესენი არიან: წიგნის რედაქტორი, სამხატვრო რედაქტორი, მხატვარი, ტექნიკური რედაქტორი, კორექტორი, საწარმოო და ქაღალდის განყოფილებათა ინჟინრები, ეკონომისტ-მგეგმავები. ისინი ხელნაწერს ამზადებენ წარმოებისათვის.

აი ხელნაწერი მზადაა. მას სტამბაში აგზავნიან, აწყობენ, აკაბადონებენ და იღებენ პირველ ანაბეჭდს, რომელიც შემდგომი მუშაობისათვის (კორექტურისათვის) არის გახკუთვნილი.

ანაბეჭდი გამომცემლობაში მოაქვთ. აქ მას ავტორი და რედაქტორი კითხულობენ, ასწორებენ, ტექნიკური და სამხატვრო რედაქტორები ამაკეტებენ, კორექტორები კითხულობენ; აქვე აკეთებენ კალკულაციას (იგებენ წიგნის მოცულობას, ერთ ფურცელში საბეჭდი ნიშნების რაოდენობას, ფინანსურ ხარჯებს), განსაზღვრავენ. იმ მასალების ხარისხსა და რაოდენობას, რაც წიგნის დამზადებას დასჭირდება.

ანაბეჭდს ყურადღებით კითხულობენ რედაქციის გამგე, მთავარი რედაქტორი, ზოგჯერ კი განათლების სამინისტროს მუშაკებიც და შესწორება-ჩამატებებით სტამბაში გზავნიან ჩასასწორებლად. ამის მერე სტამბა ახალ საკორექტურო ანაბეჭდს ამზადებს, რომელსაც შესაჯერებელ ანაბეჭდს ვეძახით, და გამომცემლობას უგზავნის.

ახალ ანაბეჭდს კვლავ ათობით კაცი კითხულობს და მხოლოდ მას შემდეგ, როცა დარწმუნდებიან, ყველაფერი რიგზე არისო, ხელს აწერენ დასაბეჭდად.

ამასობაში, გამომცემლობის შეკვეთით, ქაღალდის კომბინატიდან სტამბაში ეზიდებიან ქაღალდს, მუყაოს, საწარმოდან კი — საამკინძაო მასალებს, ტექნიკურ ქსოვილს ან ქაღალდის ლიდერინს. ბევრი რამ არის საჭირო, რათა დიდმა თანამედროვე სტამბამ ნორმალურად იმუშაოს.

დასაბეჭდად ხელმოწერილი ანაბეჭდის მიღებისთანავე სტამბას ანაწყობი საამწყობო საამქროდან საბეჭდ საამქროში გადააქვს. იწყება ბეჭდვა. როცა ყველა ფურცელი დაიბეჭდება, სპეციალურ უბანზე ამზადებენ სახელმძღვანელოს სასინჯ ეგზემპლარებს — სასიგნალოებს.

სასიგნალოები სპეციალური ფოსტით მოდის გამომცემლობაში. მათ ისევ კითხულობენ რედაქტორი, კორექტორი, ყურადღებით ათვალიერებენ სამხატვრო რედაქტორი და მთავარი რედაქტორი: ხომ არაა შეცდომები, კარგად არის თუ არა შესრულებული ილუსტრაციები, როგორია ბეჭდვის ხარისხი. როცა დარწმუნდებიან, რომ ყველაფერი სწორია და ხარისხიანი, ხელს აწერენ გავრცელებაზე.

დაბეჭდილი ფურცლები მაშინვე საამკინძაო საამქროში გადააქვთ, სადაც მათ კეცავენ, ფორმატის მიხედვით ჭრიან, კინძავენ და წნეხში ათავსებენ. და, აჰა, სახელმძღვანელო მზად არის!

მაგრამ იგი ჯერ კიდევ სტამბაში აწყვია, თქვენი სკოლიდან ზოგჯერ ათასობით კილომეტრის დაშორებით. მაშასადამე, მუშაობა არ დამთავრებულა და არც ყველა ხარჯია გაწეული. გამზადებულ სახელმძღვანელოს პოლიგრაფიული საწარმოდან გზავნიან წიგნის სავაჭრო ბაზაში, საიდანაც სპეციალური კონტეინერით მთელ ქვეყანაში დაგზავნიან.

ესეც ასე. ახლა კი ვცადოთ გავიგოთ, რა ნაწილებისაგან შედგება სახელმძღვანელოს გამოცემისათვის გაწეული ხარჯები. აი ისინიც:

პირველ რიგში — ავტორთა და გამომცემლობის მუშაკთა შრომის ანაზღაურება, აგრეთვე გამომცემლობის ყველა ხარჯი (ხელნაწერის გადაბეჭდვა მემანქანეთა ბიუროში, ღირებულება ქაღალდისა, რომელზედაც გადაიბეჭდა ხელნაწერი);

ქაღალდისა და საამკინძაო მასალების ღირებულება, სტამბაში მათი მიტანისათვის გაწეული ხარჯის ჩათვლით (რკინიგზის ან საწყლოსნო ტარიფი, დატვირთვა-გადმოტვირთვის ღირებულება და ა. შ.). ამას მოკლედ ვუწოდოთ **მასალათა ხარჯები;**

ბეჭდვის სამუშაოთა ღირებულება — ყველაფერი, რაც დაკავშირებულია აწყობასთან, ბეჭდვასთან, სახელმძღვანელოს დამზადებასთან, 10-16 ეგზემპლარად შეკრული წიგნების შეფუთვის ჩათვლით. მოკლედ — **სასტამბო ხარჯები.**

ყველაფერი ეს შეადგენს სახელმძღვანელოს თვითღირებულებას, ესე იგი მის დამზადებაზე გაწეული ყველა ხარჯის ჯამს.

მაგრამ თითოეული სახელმძღვანელო ხომ უნდა მიუვიდეს თვით ყველაზე დაშორებულ სკოლასაც კი, თანაც დროზე, რათა 1 სექტემბერს 50 მილიონ საბჭოთა მოსწავლეს, ყველას, მერხზე ედოს იგი. მთელ ამ ხარჯებს (ბაზებში შენახვა, სატრანსპორტო ხარჯები, ხელფასები) ვუწოდოთ **სარეალიზაციო ხარჯები.**

აი, მოხვედით სკოლაში და სხვა სახელმძღვანელოთა შორის შეიძინეთ ლამაზი, ფერადი წიგნი, რომლის გარეკანის პირველ გვერდზე დიდი ასოებით წერია: „ბოტანიკა“, ბოლო გვერდის ზედა მარცხენა კუთხეში კი დაბეჭდილია: „ფასი 40 კაპ“.

ამჯერად უკვე იცით, რომ ამ სახელმძღვანელოში, ისევე, როგორც თქვენს მიერ ნაყიდ თითოეულ სახელმძღვანელოში დაბანდებულია:

1) საგამომცემლო ხარჯები;
2) მასალათა ხარჯები;
3) სასტამბო ხარჯები;
4) სარეალიზაციო ხარჯები.

ვნახოთ, როგორ გამოიყურება ეს ამ სახელმძღვანელოსთან შეფარდებით, ვთქვათ, 1972 წელს, როცა გამომცემლობა „პროსვეშჩენიემ“ გამოსცა და სასწავლო წლის დასაწყი-







სისათვის სკოლებს დაუგზავნა „ბოტანიკა“ — 1 მილიონ 800 ათასი ეგზემპლარი.

ეს თვალსაჩინოდ ჩანს შემდეგ ცხრილში:

| ხარჯების სახეები | ხარჯების თანხა | |
|---|---|---|
| | ტირაჟზე | სახელმძღვანელოზე |
| საგამომცემლო ხარჯები | 7100 | 0,4 |
| მასალათა ხარჯები | 353400 | 19,6 |
| სასტამბო ხარჯები | 422100 | 23,4 |
| სარეალიზაციო ხარჯები | 180000 | 10,0 |
| | 962600 | 53,4 |

ამრიგად, ერთი სახელმძღვანელო „ბოტანიკა“ V-VI კლასებისათვის გამომცემლობას 53,4 კაპიკი უჯდება, გამომცემლობა კი მას 40 კაპიკად ყიდის. 1972 წელს გამომცემლობამ 1 მილიონ 800 ათასი ეგზემპლარის წარმოებაზე 962 600 მანეთი დახარჯა, ამოიგო კი მხოლოდ 720 ათასი მანეთი.

ეს როგორ? ამონაგებზე 242 600 მანეთით მეტი დახარჯეს? არავითარი მოგება, მხოლოდ ზარალი? რაშია საქმე? შეცდომა ხომ არ არის აქ?

არა, ბავშვებო! აქ შეცდომა არაა. უბრალოდ, ჩვენს ქვეყანაში სიტყვით კი არა, საქმით ზრუნავენ, რათა ყველა მოზარდმა აუცილებლად ისწავლოს. აი, ამიტომ არის ჩვენი სახელმძღვანელოები ყველაზე იაფი მსოფლიოში. ამჟამად ჩვენთან სასკოლო სახელმძღვანელოებისათვის დადგენილია ყველაზე დაბალი ნომინალი (ერთი საგამომცემლო თაბახის გასაყიდი ფასი) ყველა სხვა წიგნთან შედარებით.

სახელმძღვანელო მხატვრულ ლიტერატურაზე სამჯერ იაფია.

სასკოლო სახელმძღვანელოს, განსაკუთრებით დაწყებითი კლასების ფერადი სახელმძღვანელოს, ერთ საგამომცემლო თაბახზე კი დანახარჯები გაცილებით მეტია ჩვეულებრივი რომანის ერთ საგამომცემლო თაბახზე დანახარჯებთან შედარებით. I-IV კლასების ბევრი სახელმძღვანელო ხომ ოთხ ფერში იბეჭდება ძვირფას ოფსეტურ ქაღალდზე! ჩვენმა საგეგმო განყოფილებამ გამოიანგარიშა, რომ მესამე კლასის სამი სახელმძღვანელოს შავ-თეთრიდან ფერად ოფსეტურ ბეჭდვაზე გადასვლისა და 1974 წელს ამ სახელმძღვანელოთა 11 600 ათასი ეგზემპლარის დამზადების შედეგად გამომცემლობა 2 მილიონ 115 ათას მანეთს იზარალებს!

შეიძლება რომელიმე თქვენგანმა იფიქროს: რატომ უნდა გაიყიდოს სახელმძღვანელოები ასე იაფად, რატომ უნდა იზარალოს სახელმწიფომ? მივუმატოთ ყოველ სახელმძღვანელოს ფასს რამდენიმე კაპიკი და ყველაფერი რიგზე იქნება!

გამოგიტყდებით, ერთხელ მეც ასე ვიფიქრე. ეს იყო 1971 წლის გაზაფხულზე. იმ ხანებში გამომცემლობამ გადაწყვიტა ფერად ოფსეტურ ბეჭდვაზე გადაეტანა ზოგადი ბიოლოგიის ძალზე საინტერესო, მაღალმეცნიერული, მაგრამ რთული სახელმძღვანელო. ეს სახელმძღვანელო ჩვეულებრივ სტამბურ ქაღალდზე იყო დაბეჭდილი შავ-თეთრით, ბოლოში ჩაკრული ჰქონდა ფერადი სქემები და ელექტრონული მიკროსკოპის საშუალებით გაკეთებული უნიკალური ფოტოსურათები. მაგრამ ამ ჩაკრული ფურცლებით სარგებლობა არცთუ ადვილი იყო — წამდაუწუმ უნდა მოგეძებნა საჭირო ფერადი სქემა, ურომლისოდაც ძალიან ძნელი იყო ტექსტის შინაარსის გაგება. სახელმძღვანელოს ოთხ ფერში დაბეჭდვა კი ყოველივე ამას თავიდან აგვაცილებდა. მაგრამ როცა გაიანგარიშეს, რა დაჯდებოდა მისი გამოცემა, აღმოჩნდა, რომ ერთი ეგზემპლარის შავ-თეთრით დაბეჭდვაზე თუ 50 კაპიკი იხარჯებოდა, ფერადად დაბეჭდვაზე 62,6 კაპიკი დაიხარჯებოდა. გასაყიდი ფასი კი ნომინალით 58 კაპიკი იყო!

შავ-თეთრით უბრალო სტამბურ ქაღალდზე დაბეჭდილი სახელმძღვანელოები 468 ათას მანეთ მოგებას იძლეოდა.

თუ იმავე ფასს შევუნარჩუნებდით, ფერადი ოფსეტური სახელმძღვანელოები 112 ათასი მანეთის ზარალს მოგვცემდა.

„არ შეიძლება ამის დაშვება, — ვიფიქრე მაშინ, — სახელმძღვანელო ხომ გაცილებით უკეთესი გახდა. იგი რამდენიმე წელს გაძლებს. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ მისი ფასიც გადიდდეს. დაე ნუ იქნება მოგება, მაგრამ ნურც ვიზარალებთ“. ჰოდა, ავდექი და თხოვნით მივმართე ყველაზე მაღალ ინსტანციას — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ფასების სახელმწიფო კომიტეტს, რომელსაც ეხებოდა ამ საკითხის გადაწყვეტა. მიმიღეს, ყურადღებით მომისმინეს, გაანგარიშებანი გამომართვეს.

და აი, 1971 წლის 30 აპრილს მიმიწვიეს ფასების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ვლადიმერ ქსენოფონტის ძე სიტნინთან.

გამოგიტყდებით, ერთგვარად აღელვებული გავემართე ფასების კომიტეტისაკენ და აღელვებულივე შევედი კაბინეტში, სადაც უკვე იჯდა რამდენიმე. ამხანაგი, რომელთაც ვლადიმერ ქსენოფონტის ძე ესაუბრებოდა XXIV ყრილობის ეს-ესაა დამთავრებული სხდომის შესახებ, ლაპარაკობდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაზე, რომლითაც გამოვიდა სკკპ ცკ გენერალური მდივანი ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი.

ამხანაგებმა ერთხელ კიდევ ყურადღებით მომისმინეს, წარდგენილი ანგარიშები გულმოდგინედ შეამოწმეს.

— და მაინც, — მითხრა ვლადიმერ ქსენოფონტის ძემ, — სახელმძღვანელოს ვერ გავაძვირებთ. მოგიწევთ, პატივცემულო ამხანაგო დირექტორო, კოლეგებთან ერთად







თქვენს მეურნეობაში გამოძებნოთ რაიმე წყარო ამ ზარალის დასაფარავად. მოიფიქრეთ, რომელი ლიტერატურის ხარჯზე უნდა გააკეთოთ ეს.

— მაგრამ სახელმძღვანელო ხომ სხვა ხარისხისა გამოვა, — არ ვუთმობდი მე, — წინანდელზე გაცილებით უკეთესი. განა სამართლიანი არ იქნება ფასიც რომ მოვუმატოთ?

— გარეგნულად სამართლიანი ჩანს, მაგრამ პარტიამ ოცდამეოთხე ყრილობაზე წამოაყენა ისტორიული ამოცანა: გადავაქციოთ ახალი ხუთწლედი ხალხის მატერიალური და კულტურული დონის მნიშვნელოვანი ამაღლების ხუთწლედად. ასე ამბობდა დღეს თავის მოხსენებაში ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ, — კომიტეტის თავმჯდომარემ ბლოკნოტი გადაშალა, საჭირო ჩანაწერი მოძებნა და წაიკითხა: — „სახალხო მოხმარების საგნებით ბაზრის უზრუნველყოფის დიდი და რთული ამოცანა უნდა წყდებოდეს სახელმწიფო საცალო ფასების სტაბილური დონის, ხოლო საჭირო ეკონომიური წანამძღვრების შექმნის კვალობაზე — ცალკეული სახეობის საქონლის ფასების შემცირების პირობებში“.

მას შემდეგ გამომცემლობა „პროსვეშჩენიე“ ჩვენი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისათვის ბევრ ფერად სახელმძღვანელოს უშვებს. გამომცემლობის კოლექტივი კი სულ ახალ-ახალ რეზერვებს პოულობს პროდუქციის თვითღირებულების შესამცირებლად, წარმოების შემოსავლის გასადიდებლად.

ალბათ, ყოველი თქვენგანი იკითხავს: ჩვენ თუ შეგვიძლია რაიმე წვლილი შევიტანოთ ამ საქმეში.

შეგიძლიათ, ბავშვებო, ნამდვილად შეგიძლიათ. სიცოცხლე უნდა გაუხანგრძლივოთ სახელმძღვანელოს. გაუფრთხილდეთ მას. გადაეცით იგი ამხანაგს, რომელიც ახალ სასწავლო წელს თქვენს ადგილს დაიკავებს. უნდა მიაღწიოთ იმას, რომ სახელმძღვანელო მოსწავლეთა ორ-სამ თაობას მოემსახუროს და მაშინ შევძლებთ ყოველწლიურად შევამციროთ წამგებიანი სახელმძღვანელოების წარმოება, ხოლო ქაღალდის რეზერვი და პოლიგრაფიული სიმძლავრე გამოვიყენოთ მომგებიანი წიგნების გამოსაცემად. ყოველი წამგებიანი სახელმძღვანელო კი ყოველ მომდევნო წელს თავისი მუშაობით სახელმწიფოს მოგებას მისცემს და შემდგომ სულ უფრო იაფი გახდება.

დ. ზუევი,

გამომცემლობა „პროსვეშჩენიეს“ დირექტორი.

ჟურნალიდან „იუნი ტეხნიკ“.

# ზამთრის ერთი დღე

გივი ალხაზიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დილა

ჩამოძენძილი თოვლით
ხე მიყრდნობია ხეს,
ზეციურ სითეთრეში
სძინავს გარინდულ ტყეს.
რა ნათელია ზეცა,
გამჭვირვალეა დღე,
გაყუჩებულა ტყე,
თეთრი არყების ტყე.
მზერა ჰორიზონტს ერთვის,
ეძებს შორეულ გზებს.

გაუკვალავი თოვლი
და ანთებული მზე.
გზასთან პაწია სახლი
სიზმარში ხილულს ჰგავს;
მიდის მარხილი წყნარად,
ვუსმენთ ეჟვნების ხმას.
ჩამოძენძილი თოვლით
ხე მიყრდნობია ხეს,
თეთრი არყების ტყე,
თეთრი არყების ტყე.

## შუადღე

სუსხიანმა ნიავმა
აუწითლა ყურები,
ყინვას არ შეუშინდა,
მიქრის თხილამურებით.
უკან დარჩა ორღობე,
ზევით აჰყვა მაღალ მთას,
მერე წუთით შეყოვნდა
სამასწლოვან კაკალთან.

შემობრუნდა დაღლილი
და ხეობას დახედა:
— ბიჭოს, ჩვენი სოფელი
რა კარგად ჩანს აქედან!
დათოვლილი მინდვრები,
დათოვლილი ბაღები,
ფრიალებენ სახლებზე
კვამლის ბაირაღები.

## ღამე

დათოვლილი ფერდობები
მთვარის შუქზე ბრწყინავს,
საოცარი სიწყნარეა,
როცა სოფელს სძინავს.
ყინვის ეტლით დაბრძანდება
ყინულეთის მეფე,
ხან მამალი დაიყივლებს,
ხან ძაღლები ყეფენ.
მაგრამ მაინც სიწყნარეა,
თოვლს ვერ მალავს ბინდი;
მოჩანს, ცისკენ ლურჯი კვამლი
რა მსუბუქად მიდის.
ზის ბებია ბუხრის პირას,
პაპა კარებს კეტავს
და ბებია ზღაპარს ჰყვება,
— არ დამთავრდეს ნეტავ.
გარეთ თოვლი... მთვარის შუქზე
თოვლი ისევ ბრწყინავს,
საოცარი სიწყნარეა,
ახლა სოფელს სძინავს.





# დიდი თევზი

გიორგი პაპუაშვილი

მოთხრობა

მხატვარი რევაზ ცუცქირიძე.

მეწისქვილე მიწურ გომზე შემდგარიყო და ხელს გვიქნევდა.

სახრე გავახურეთ და სახედრებს ნაბიჯი ავაჩქარებინეთ.

— ჩქარა მოჰხადეთ საფქვავი, წისქვილი უნდა გადავახვევო.

სახედრებს საფქვავი ჩამოვხსენით და ნაკრაულები წისქვილში შევზიდეთ.

ბეჭებგანიერმა, ხრილით შეგანგლულ წვერულვაშიანმა ბერიკაცმა სამკოდიანი საცალო ციმციმ გამოიტანა და ცხენის ურემზე დააგდო. მერე შიგნით შემობრუნდა და საფქვილე საგველით მოგავა.

მეწისქვილემ ხვიმირის კრიჭას მოუმატა და ქვამ ხმა გაკმინდა. ამასობაში ზაზამ კასრს თავი აუბა ხორბლით და ხვიმირაში ჩაუძახა.

— ეს ქვაც მალე ჩამოვა, შენც მოემზადე, ბალღო, — მითხრა მეწისქვილემ.

ზაზამ ხორბლის ჩაყრა რომ მოათავა, კასრი ჩემთან მოარბენინა. ერთი ნაკრაულა მეორეზე შეასკუპა და ხორბალს ხივილი გაალებინა კასრში.

ბერიკაცმა მეორე ტომარა გატენა, მხარზე შეიგდო და გარეთ გააცუწცუხა. კვლავ შემობრუნდა, მეწისქვილეს დაემშვიდობა, კუთხეში მიგდებული ტყაპუჭი მკლავზე გადაიდო, ბეღელთან მიყუდებულ ჯოხს ხელი წამოავლო და წისქვილიდან გავიდა.

ცოტა ხნის შემდეგ ჩვენც გარეთ გამოვედით. ცხენის ურემი უკვე ფურცლების ზემოთ მიხრიგინებდა. უკან ჯოხსდაბჯენილი ბერიკაცი მიჰყვებოდა. მეწისქვილე ეზოში დაგდებულ გაცვეთილ დოლაბზე ჩამოჯდა და თავისთან დაგვიძახა:

— ახლა თუ არავინ მოვიდა, ბედი გქონიათ. წისქვილს გადავახვევ და თევზს დავიჭერთ.

— თევზს? — გაგვიხარდა ორივეს.

— იცის ხოლმე. წყალს რომ გადავაგდებთ, თითო-ოროლა თევზი ჩამორჩება და შლამში ფართხალებს. მარიამობის თვეა და ახლა თევზი გემრიელია. ენკენისთვეში უფრო კარგია, თქვენ რომ სექტემბერს ეძახით. ღვინობისთვე, გიორგობა, ქრისტეშობა... იანვარი... — ამ ლაპარაკში მეწისქვილეს ჩამოეძინა...

— რომელ თვეშიც „რ" ურევია, თევზიც იმ თვეშია კარგი. — თქვა ზაზამ და მანიშნა, არ გააღვიძოო.

კარგა ხანს თვლემდა მეწისქვილე. ჩვენ უკვე ფქვილის ამოღებაც დავიწყეთ. ნაკრაულებიც მოვაყელყელავეთ. ზარმა რომ ჩამორეკა, მაშინღა გაეღვიძა. მთქნარებით შემოვიდა წისქვილში და კრიჭაში მოუმატა ქვას.

—შენ ახლა წადი, — მიუბრუნდა ზაზას, — ფქვილს ეს ბალღი ამოიღებს. ბერღარების თავზე გადაიარე და სახევებელში ცოტა წყალი გადაუშვი. მერე დაბრუნდი და, როცა დაგიძახებ, ბერღარა ჩაკეტე. გაიგე?

— გავიგე. — სიხარულით უპასუხა ზაზამ და წისქვილიდან გავარდა.

— შენ რა პირი დაგიღია, დროზე ამოიღე ფქვილი!

— თევზები როდისღა დავიჭიროთ? — გავბედე სათქმელი.

მეწისქვილემ ულვაშებში ჩაიცინა:

— ჯერ ფქვილი ამოიღე და თევზაობასაც მოვასწრებთ. სანამ წყალი არ დაიწრიტება, თევზებთან ვერაფერს გახდებით.

ფქვილი ფაციფუცით ამოვიღე. ამასობაში ორჯერ დაიყვირა მეწისქვილემ „ეჰეიო", და ზაზამაც ორივე ქვა გააჩუმა.

— აბა, ახლა აქ წამომყევი!

წისქვილიდან გავვარდი და ბერღარების თავზე ავირბინე. არხი ისევ სავსე იყო და ლიფსიტაც კი არსად ჩანდა. ვერც ზაზა შევნიშნე სადმე.

— არხი სავსეა, ძია ვანო, და თევზი როგორ უნდა დავიჭიროთ?!

— მიდი, სახევებელი ბოლომდე გახსენი!

თავპირისმტვრევით გავიქეცი. ზაზას მაისური გაეხადა და მორკალულ ჯოხზე ამაგრებდა.

— მაგრე თევზს ვერ დაიჭერ. აბა, წამოდი, ძია ვანო რას აპირებს?!

სახევებელი ბოლომდე გავხსენი და ისევ ბერღარებისკენ დავეშვი. ზაზაც კვალდაკვალ ამედევნა.

— მოდი ახლა და ბერღარებიც გავხსნათ, რომ წყალი დაიწრიტოს. — გვითხრა მეწისქვილემ.

ბერღარებიც გავხსენით და წყალი სუსტი შხუილით დაეცა ბორბლებს. ეს შხუილი თანდათან მისუსტდა... ამასობაში ვიღაცამ დაიძახა, „თევზიო". გავიხედეთ და ორი დიდი ბიჭი დავინახეთ. არც ერთს არ ვიცნობდით. ეტყობოდათ, ჩვენებურები არ იყვნენ.

ახლა ვისაც გინდათ შეეკითხოთ, სათითაოდ ჩამოგითვლიან თევზის სახელებს: ეს ქორჭილაო, ეს ნაფოტაო, ეს ქაშაყიო, ეს სალამურაო, ეს ორაგულიო, ეს ლოქოო, ეს ესაო და ეს ისაო. ჩვენ კი მხოლოდ ასეთი თევზებს ვიცოდით: დიდი, პატარა, მომსხო, მომცრო, ძალიან დიდი და მეტი არაფერი. სულ პატარებს ჭიჭყინებსა და ლიფსიტებს ვეძახდით.

რამდენიმე თევზიღა ჩარჩენილიყო არხის ფსკერზე, ისიც მხოლოდ საშუალოები და მომცროები. მარტო ერთი მოზრდილი თევზი დავინახეთ ზემოთ დიდი არ ეთქმოდა. შლამში სხმარტალებდა. გაიქნევდა კუდსა და გაჩერდებოდა, გაიქნევდა და გაჩერდებოდა. მე და ზაზა იქით გავიქეცით, მაგრამ უცხო ბიჭებმა დაგვასწრეს. პირში ჩალაგამოვლებულებმა შევხედეთ ერთმანეთს. ამა-

სობაში მეწისქვილის ძახილი მოგვესმა. წელანდელივით გომზე შემდგარიყო და ხელს გვიქნევდა. დაჭერილი თევზები ზაზას მაისურში ჩავყარეთ და თავქვე დავეშვით.

— ჩქარა გაიქეცით, წისქვილქვეშ დიდი თევზია! — გვიჩურჩულა მეწისქვილემ.

წისქვილს წინიდან შემოვურბინეთ და ქვეშ შევძვერით.

უცებ რაღაცამ გაიდგაფუნა და დავინახე, რომ დიდი კი არა, თითქმის ჩემოდენა თევზი წისქვილის ბორბლებთან ჩარჩენილ გუბეში ფართხალებდა. ჩემს სიცოცხლეში არ მენახა ამოდენა თევზი, არც ნახატებში შემხვედრია სადმე. მთლად ჩემოდენა არ იქნებოდა, მაგრამ სხვენზე რომ პაპაჩემის ძველი ხმალი ეგდო, იმსიგრძე ნამდვილად იქნებოდა. ცოტა უფრო მსხვილი და მუცლიანი.

— გაბმულხარ, ჩიტო, მახეში, გაჩერდი, ნუღარ ფრთხიალებ! — დასძახა ზაზამ და ზემოდან დაახტა. თევზმა ხელის შეხება იუკადრისა, ერთი გაფართხალდა და წისქვილის ბოძს მიახეთქა ზაზა. შევატყვე, რომ დარეტიანდა და, ცოტა არ იყოს, შეშინდა კიდეც.

— აჰა, შვილო, საძეკი დაარტყი, საძეკი! — საიდანღაც საძეკი მოათრია მეწისქვილემ.

ზაზამ საძეკი გამოართვა. ერთხანს აქეთ-იქით აწყდებოდა. მერე, როგორც იყო, ხერხიან ადგილზე მოიმწყვდია და წელში დაუშვა. თევზი შეფართხალდა და გულაღმა ამოტრიალდა. ზაზამ საძეკი მაშინვე უკან გადმოაგდო, დასწვდა თევზსა და გულზე აიხუტა. გინდა დაიჯერეთ და გინდა ნუ დაიჯერებთ, თითქმის თავით ფეხამდე სწვდებოდა თევზი. ნაპირზე ვაი-ვაგლახითა და ხვნეშით ამოათრია და ის იყო მიწაზე დაგდებას უპირებდა, რომ...

— სასწორზე დადე, სასწორზე! — ურჩია მეწისქვილემ.

ყველანი წისქვილში შევედით. ზაზამ ხელები მოადუნა და თევზი სხმარტალით დაეცა სასწორზე. გაცურდა და კინაღამ გადავარდა კიდეც. მეწისქვილემ მკვირცხლად წამოურბინა სასწორს, ენიდან საწონები ააცალა, მრგვალ რკინას თითი წაჰკრა-წამოჰკრა და — ხუთი კილო და სამასი გრამიაო.

— კაცი დავბერდი და ამოდენა თევზი არ დამიჭერია.

უსაზღვრო იყო ჩვენი აღტაცება. მერე უცბად ორივენი ჩამოვღონდით და ერთმანეთს ვანიშნებდით, რომ თევზი მეწისქვილისათვის მიგვეცა.

— არა, შვილებო, თქვენ წაიღეთ. — მიგვიხვდა მეწისქვილე. — მე ხუთიოდე მურწა დამიტოვეთ და ისიც მეყოფა.

ხუთი კი არა, ათზე მეტი დავუტოვეთ. ჩვენ კი საფქვავს მივცვივდით, ავკიდეთ სახედრებს, დიდ თევზს ლაყუჩებში მსხვილი ძაფი გავუყარეთ, დავაკარით კეხზე და ფხაჭაგლეჯით მოვუსვით სოფლისაკენ.

წისქვილს რომ კარგა მანძილზე გავცილდით და ცოტა ავივაკეთ, ის უცხო ბიჭები დავინახეთ. გაგვიკვირდა: ჩვენ ისევ არხში გვეგულებოდნენ და ისინი კი უჩინმაჩინებივით ამოგვესვეტნენ.

— დააყენეთ სახედრები! — გვიბრძანა ერთმა და მეორეც მაშინვე წამოეშველა:

— სახედრები გააჩერეთ, თორემ ეს თუ გაბრაზდა, მეტიც აღარ გინდათ. ერთი გაგიჟდება და თავბედს გაწყევლინებთ.

— რა გინდათ, რას გვერჩით? — შეჰბედა ზაზამ.

— ჰაა, თორემ ამ ქამარს ხომ კარგადა ხედავ, წელზე რომ მუქთად მარტყია?! ერთს ვანიშნებ, დატრიალდება და ჩლიქებში დაგიწყებთ ცემას. მე კი არ დავეხმარები, უჩემოდ დატრიალდება. თანაც ხომ ხედავთ, რამსიბრტყეა და როგორი ბალთა აქვს?

— რად უნდა გვცემოთ? — ვკითხეთ ორივემ.

— თუ მაგ დიდ თევზს არ ჩამაბარებთ... ვუთხრა, დატრიალდეს?



ქამარი მართლაც ბრტყელი იყო და

მსხვილბალთიანი. იქვე, მართალია, ქვები ეყარა და ხორკლიანი ჯოხიც ეგდო, მაგრამ ქვებმა თავის გატეხა იცის და თავის გატეხამ კი სისხლის დადენა. ვინ იცის, რა მოხდება?! ჯანდაჯან მივცვივდეთ და, ვერაფერს გავაწყობთ. შეიძლება ხერხი ვიხმაროთ და წავაქციოთ კიდეც, მაგრამ ღონივრები ჩანან და უთუოდ გადმოგვიბრუნდებიან. მერე უკვე ზემოდან დაგვასხდებიან და გამკითხავი არავინ იქნება. მაშ, როგორ მოვიქცეთ?

— ნახევარი თქვენ და ნახევარი — ჩვენ. — ამოღერღა ზაზამ და სახრე მორჩილად დაიტყაპუნა ტალახიან შარვალზე.

— ახლა ეგ მაციცქნინე... მომერიდე წინიდან! — ჯერ მე გამკრა ჯლიგვი, მერე ზაზას აუარა გვერდი იმ ბიჭმა, რომელმაც გაგიჟება იცოდა, სახედართან მივიდა, ძაფს დანა დაუსვა და ერთ წუთში ისევ წინ გადაგვიარა თევზიანად. — აი, ასეთი სუფთა საქმე მჩვევია და რა ჩემი ბრალია?! — ცოტათი რომ დაწინაურდა, ღიმილით გადმოგვხედა და მოწყალება მოიღო: — თუნდა ჭიჭყინებს მოგცემთ?!

ღრმად ამოიოხრა ზაზამ უარის ნიშნად. მეც გულში დამცეცხლა. სხვა გზა რომ აღარ იყო, სახრე წავგლიჯე ზაზას და სახედარს დავუშინე.

ბიჭებმა ღიღინით განაგრძეს გზა. ცოტა ხანში დაწინაურდნენ კიდეც.

— მოდი, დევიას ვაცემინოთ! — თქვა ზაზამ და სახე გაუნათდა.

მეველეს ერქვა დევია. ძალიან დიდი და ღონიერი ბიჭი იყო. დევიასაც სწორედ იმიტომ ეძახდნენ, თორემ ნათლობის სახელი მასაც გააჩნდა. ამბობდნენ, ოთხმოცდაათ კილოგრამს იწონისო. თითო ისეთი მკლავი ჰქონდა, ორ ხელს ვერ შემოაწვდენდი. გზის იქით ვენახი ჰქონდათ და მინდვრის შემოვლას რომ მორჩებოდა, იმ ვენახში ისვენებდა. ახლაც ცხენი დავინახეთ ვენახის თავში და ამიტომ გაგვახსენდა დევია.

— ვაცემინოთ!

ბიჭების ცემის გარდა სხვა არაფერი იცოდა დევიამ და უარს რად გვეტყოდა?

სახედრებს თავი მივანებე, გავიქეცი და — ,,დევიაუ'', დავიღრიალე.

— რა გაღრიალებს, შე ვირისთავო?! — გამომეხმაურა თხრილზე წამოსკუპებული დევია. — როდის აქეთ არის, რაც შენი დევია გავხდი?!

ვიფიქრე, ძიას დავუძახებ-მეთქი, მაგრამ შემეშინდა, ახლა ამაზე არ ამწყვრებოდა და იმავე კილოზე განვაგრძე:

—აგერ, დაინახე, რამოდენა თევზია!

— მე და შენ რა გვექენქება იმ თევზიდან?

— ის თევზი ჩვენია. ახლა წაგვართვეს.

— მართლა?! — წამოხტა დევია. — ახლა გაყურებინებთ სეირს!

გული ყელში მომებჯინა სიხარულისაგან.

— აბა, შენ იცი და შენმა ბიჭობამ!

— მაშ, მაგათ თქვენს თავს დავაჩაგვრინებ?! — დაიროხროხა დევიამ და თხრილზე გადმობლარჯუნდა: — დააგდეთ თევზი, თქვე პაცანებო!

ბიჭებმა ქურდულად შეათვალიერეს დევიას ვეება თვალ-ტანი და ხირი წაუხდათ.

— ამ თევზთან რა ხელი გაქვთ, ჩვენ



დავიჭირეთ... დაყოყმანდა უფროსი ბიჭი და თევზი უკანიდან მოიფარა.

— ვიცი, ვინც დაიჭირა, თქვე ყაჩაღებო თქვენა!.. — დევიას ტუჩები აუთამაშდა, შემდეგ პირი დააღო რაღაცის სათქმელად, მაგრამ არაფერი თქვა. ალბათ დაეზარა. თუ ამით ის აგრძნობინათ, ძალიან გაბრაზებული ვარ და, თუ წინააღმდეგობას გამიწევთ, გაგგიჟდები და ეგ არისო? მერე მეორედ გაატოკა პირი რაღაცის სათქმელად, მერე მესამედ და მუქარით ამოიროხროხა:

— თქვენ თუ გვერდები გექავებათ, მე კიდევ ერთი კვირაა, ბალღებისათვის აღარ მიცემია. — სილა გაშალა დევიამ.

უფროსმა ბიჭმა კეფა უნდილად მოიფხანა და თევზი დევიას გაუწოდა. დევიამ რამდენჯერმე ასწი-დასწია, თითქოს ხელითა სწონისო და კმაყოფილმა ჩაახველა:

— აწყინოს დევიას!

გაშვერილი ხელი ჰაერში გამიშეშდა.

— ჩვენ აღარ გვაძლევ? — ამოვღერღე თითქმის სლუკუნით.

— თქვენ ბალღები ხართ და ამოდენა თევზი რად გინდათ. თითო მტევან ყურძენს მოგიწყვეტთ და იმაში გამიბარეთ. თუ არადა იმასაც დაკარგავთ.

მე და ზაზამ უმწეოდ შევხედეთ ერთმანეთს. უცნობმა ბიჭებმა ნიშნისმოგებით გაიღიმეს და განზე გაიწიეს.

— მოგვეცი. — შეევედრა ზაზა, ჩვენებს ვაჩვენებთ და მერე წაიღე.

— თქვენებს არა, ტოროლა... თუ ყურძენზე იტყვით, მკვახეაო, ატამს გამოგიტანთ. არადა მომწყდით თავიდან, თორემ მოვიდა სილა!

— ნახევარი მაინც მოგვეცი, — ვთხოვე წუწუნით.

— კი, კაცო, წაიღეთ. აჰა, ერთი ნახევარი შენა და მეორე კიდევ — შენა! — ჯერ ერთი ქუთუთო ჩამოიჩაჩა თითით, მერე მეორე.

თვალი ქალაქელი ბიჭებისკენ გავაპარე და შევნიშნე, რომ მაქეზებდნენ: მიდი, მიდიო. იქვე ქვები ეყარა, მაგრამ ქვებმა თავის გატეხა იცის და თავის გატეხამ კი სისხლის დადენა. ხელში სახრე მეჭირა და ის უფრო რბილი იყო. ახლა ზაზა შევათვალიერე. ფეხის წვერით მიწასა ჩიჩქნიდა და დაბოღმილი იყურებოდა აქეთ-იქით.

— მოგვეცი! — შევყვირე ხმამაღლა და ვიგრძენი, რომ ბრაზისაგან ავკანკალდი.

— აჰა, წაიღე! — გამომიშვირა მარცხენა ფეხი.

აბა თუ წაიღეო, მოვიქნიე სახრე და ვზუზლე გამოშვერილ ფეხში.

— ვუიო! — დაიღრიალა დევიამ და უკან გადახტა.

— დასახმარებლად დაგიძახე და შენ თვითონ გვართმევ?! — ვზუზლე და ვზუზლე ფეხებში.

— ახლა კი ცოცხალი ვეღარ გადამირჩები! — დაიძახა დევიამ და ის იყო თავზე უნდა დამფრენოდა, რომ ისევ ,,ვუიო'' და ახლა სხვა მხარეზე გადახტა. გავიხედე და დავინახე — უცნობ ბიჭს ქამარი შემოეხსნა და ზურგიდან უჟაპუნებდა. ამასობაში ზაზასაც ქვისთვის წამოევლო ხელი და ფეხის წვერებზე შემდგარიყო.

— დააგდე თევზი, თორემ თავს გაგიხეთქავ!

ძაღლებში მოქცეული მგელივით შეტრიალდა დევია. გასაძრომს დაუწყო ძებნა, მაგრამ ყველა მხარეზე რომ ბიჭების

განრისხებულ თვალებს წააწყდა, ნირი წაუხდა:

— გეხუმრეთ, თქვე მაიმუნებო! ასე როგორ უნდა გამიმეტოთ!

— დააგდე თევზი! — კბილები გააკრაჭუნა ზაზამ და ერთი ნაბიჯით უკან დაიწია — თუ გადმომიხტა, მარჯვედ ვესროლოო.

— აჰა, წაიღეთ, თქვე მაიმუნებო, თუკი ხუმრობა არ იცით.

— დააგდე და ჩვენ თვითონ ავიღებთ. — უთხრა ზაზამ და უცნობმა ბიჭებმაც დასტური მისცეს: დადე და თვითონ აიღებენო.

დევიამ ხან ერთს შეგვავლო თვალი, ხან — მეორეს, მერე უცნობი ბიჭებიც შეათვალიერა და სინანულით გაიქნია თავი. თევზი უხალისოდ დაუშვა მწვანიანზე და კოჭლობით წავიდა ვენახისკენ.

— წაიღებთ და ისევ ეგ პაცანები წაგართმევენ, თქვე საცოდავებო, — გადმოგვძახა, თხრილზე რომ გადადიოდა. — ავი ძაღლი არც თვითონ შეჭამს და არც სხვას შეაჭმევსო.

— თითსაც ვერავინ დაადებს. — ყელის ძარღვები დაიჭიმა ზაზამ და თევზს ხელი წაავლო. წაიღო და ისევ კეხზე დააკრა სახედარს. — ჩემს მეტი ჭირი აღარ უნდა, ვინც ახლოს მიეკარება!

კარგა მანძილზე ვიარეთ უბრად. ბოლოს ისევ უცნობებმა ამოიღეს ხმა:

— სად სწავლობთ?

— აქ, ჩვენს სოფელში.

— ჩვენ კი თბილისელები ვართ, მე ოთარი მქვია, ამას — რეზო. ვიცნობდეთ ერთმანეთს. თუ წერილებს გამოგვიგზავნით, ჩვენც გიპასუხებთ.

წერილისთვის არავის გვცხელოდა, მაგრამ იმ წუთში ჭკუაში დაგვიჯდა.

— გამოგიგზავნით. მისამართი დაგვიწერეთ და უეჭველად გამოგიგზავნით. მე ზაზა მქვია, ამას — გიორგი.

– ყოჩაღები ყოფილხართ, მაგრამ ჩვენ ისე ადვილად რად დაგვანებეთ თევზი? — თქვა ოთარმა.

— შეგატყვეთ, რომ სტუმრები იყავით და იმიტომ აღარ წაგეჩხუბეთ.

— კარგი ბიჭები ხართ. ჭიდაობა იცით?

— ისე რა. გინდა ვიჭიდავოთ? — ვუთხარი.

— არა, ისე გკითხეთ.

მატარებლის გაჩერებას რომ მივუახლოვდით, ბიჭები გამოგვემშვიდობნენ, კარგად იყავითო.

— როგორ, უკვე მიდიხართ?

— ჰო, მატარებელს მივყვებით.

— გვინდოდა ერთად მოგვეხარშა თევზი, თქვენ კი მიდიხართ?! — ეწყინა ზაზას.

— არა უშავს, ბიჭებო, თქვენ მოხარშეთ. — გაიღიმა ოთარმა.

— მაშინ გაგაცილებთ.

მატარებლის მოსვლას დაველოდეთ. ათ წუთსაც არ გაუვლია, რომ ჯერ თელეთის გორის ძირთან მოაკივლა ელმავალმა, მერე ვერხვიანის ვენახებთან ბატის ჭუკებივით გამოიყვანა ვაგონები.

— კარგად იყავით! — შესახტომად მოემზადნენ ბიჭები.

კეთილი გზა ვუსურვეთ ორივემ. ზაზამ დიდი თევზი უხალისოდ შეატრიალა ხელში...

მატარებელი ჩამოდგა. ბიჭები კიბეზე ავიდნენ და ხელი დაგვიქნიეს. ისეთ გუნებაზე დავდექი, თითქოს ახლობლები მშორდებოდნენ, მე კი აქ მათ წილ თევზს ვიტოვებდი. ჩემდაუნებურად ჯღიკვი გავკარი ზაზას. ზაზა მაშინვე მიმიხვდა. ერთბაშად გამოცოცხლდა და ვაგონის კიბესთან მივარდა:

— წაიღეთ, ბიჭებო! დედას გეფიცებით, ძალიან გვეწყინება თუ არ წაიღებთ.

ბიჭებმა კეთილად გაიღიმეს და უარის ნიშნად ხელი დაიქნიეს.

—მიეცი, მიეცი, ზაზა! — წავაქეზე და მეც კიბესთან მივიჭერი:

— თუ ხათრი გაქვთ, წაიღეთ, თორემ წერილს აღარ მოგწერთ!

ჯერ ოთარს ეხვეწა ზაზა, მაგრამ რაკი იმასთან ვერაფერი გააწყო, რეზოს შეაჩეჩა:

— შეირგეთ!

— გმადლობთ, გმადლობთ! — გადმოგვძახეს ბიჭებმა და მატარებელიც დაიძრა. დავინახე, რეზო დაბნეული ატრიალებდა ხელში თევზს...

— წერილის გამოგზავნა არ დაგავიწყდეთ! — შეგვახსენა ოთარმა.

— არა, არა!

არც დაგვიწყებია. რამდენჯერმე მე და ზაზამ თავი თავს მივაყუდეთ და წერა დავიწყეთ, მაგრამ ისე არ გამოდიოდა, როგორც გვინდოდა... მერე ზაზამ მითხრა, წერილის წერა გოგოს საქმეა. ჯარში რომ წავალ, მაშინაც არავის მივწერო. ის იყო და ის, წერილის დაწერა აღარ გვიცდია.

---



თუ თბობატარეა ძალიან გახურდა, თუ მისი რეგულირება არ მოხერხდა, დეკორატიული სქელი ქსოვილი გადააფარე და ოთახი გ ა გ რ ი ლ დ ე ბ ა. დროდადრო ქსოვილი შეიძლება დანამო.

თუ დიდი ზომის ფოტოსურათის გასამჟღავნებლად არა გაქვს მოზრდილი ჭურჭელი, საყიდლად ნუ გაიქცევი, აიღე ოთხი ლატანი, ჩარჩოდ შეჰკარი, შიგ პოლიეთილენის ნაჭერი ჩააფინე, ირგვლივ ჭიკარტებით დაამაგრე და ჯამი მზად იქნება.



ფიცარში ხრახნის გვერდულად ჩახრახნა გაგიჭირდება. ადექი, ხრახნს ირგვლივ პლასტელინი შემოაწებე და ისე ჩახრახნე.



წებოიან ბოთლს საცობი, ან ქილას ხუფი ზედ რომ არ მიახმეს, მას წინდაწინ ვაზელინი უნდა წაუსვა.

ავტომობილის ან ველოსიპედის გაცვეთილი საბურავი შეგიძლია ასე გამოიყენო.



დააკვირდი ამ ნახატს და მიხვდები, თუ როგორ უნდა დაამაგრო გაზის მარეგულირებელი სახელური.



ასეთი „ნისკარტიანი“ სათითური უფრო კარგი მოსახმარია და თანაც, ლამბის მოსაცილებლადაც უებარი საშუალება





# მხედრიონი

„ნარდი ბედია, ჭადრაკი—ჭკუა,
ბანქო ცუდია, განჯაფა ტყუა“.
ხალხური.

**ბავშვებო, ჩვენს ჟურნალში გაიხსნა ახალი განყოფილება — „ნორჩ მოჭადრაკეთა კლუბი „მხედრიონი“, რომელსაც ხელმძღვანელობს შოთა ინწკირველი.**

ამ განყოფილებაში ჭადრაკის თეორიის შესწავლასთან ერთად მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმობა თქვენს შემოქმედებას. გამოგვიგზავნეთ თქვენს მიერ შეჯიბრებაში ნათამაშევი საუკეთესო პარტია ან დაგოლოება, თქვენივე კომენტარებით, აუცილებლად აღნიშნეთ შეჯიბრება, მოწინააღმდეგე და თარილი.

განყოფილებას ვიწყებთ საქართველოს 1973 წ. ჭაბუკთა შორის ჩემპიონის — 13 წლის ზურაბ აზმაიფარაშვილის პარტიით, რომელსაც მიენიჭა გაზეთ „საბჭოთა აჭარის“ სპეციალური პრიზი ჩემპიონატის ულამაზესი პარტიისათვის.

## პარტია № 1

**უფიმცევის დაცვა**

**ბათუმი, 1973 წ.**

**თეთრები: ზ. გურჭულაძე**
**(ოსტატობის კანდიდატი. თბილისი)**
**შავები: ზ. აზმაიფარაშვილი**
**(I-თანრიგოსანი. თბილისი)**

1. e4 g6 2. d4 კg7 3. მc3 d6 4. კc4 მf6 5. f3 c6 6. კb3 ლc7. 7. კe3 მb—d7 8. ლd2 a6 9. a4.

თეთრების მიერ არჩეული სისტემის იდეაა გრძელი როქის შემდეგ პაიკებით შეუტიონ მოწინააღმდეგის მეფის ფრთას. თეთრების უკანასკნელი სვლა პროფილაქტიკურია. იგი ხელს უშლის შავების გააქტიურებას ლაზიერის ფრთაზე, მაგრამ სადავოდ ხდის გრძელი როქის შესაძლებლობას.

9. ... 0—0 10. მg—e2 e5 11. g4.

მეტად საეჭვო სვლაა, რადგან მდგომარეობა ცენტრში გაურკვეველია, ჭადრაკის სტრატეგია კი გვასწავლის: ფლანგზე შეტევის დაწყებამდე საჭიროა ცენტრის ჩაკეტვა ან მოწინააღმდეგისათვის ცენტრში გარღვევის შესაძლებლობის მოსპობა. ამასთან ერთად გრძელი როქიც სადავოა. სჯობდა მოკლე როქი.

11. ... ეe8 12. h4 ed 13. მ:d4 მe5 14. მფf2(?).

ეს უკვე ცეცხლთან თამაშია, მაგრამ ნათქვამია: „ვინც „ა“ თქვა მან „ბ“-ც უნდა თქვასო“. ერთი შეხედვით თეთრების იერიში თითქოს მრისხანე ხასიათს ღებულობს. სინამდვილეში კი შავებს გააჩნიათ მეტად საინტერესო კონტრთამაში, რომელსაც ზ. აზმაიფარაშვილი დიდი ენერგიითა და გამომგონებლობით ატარებს.

14. ... c5 15. მd—e2 c4 16. კa2.



16. ... კ:g4!!

ამ ეფექტურ დარტყმასთან დაკავშირებულია შეწირვათა მთელი ფეიერვერკი, რაც თეთრი გვირგვინოსანის დატყვევებით მთავრდება.

17. fg მe:g4+ 18. მფf3 მ:e4! 19. მ:e4 ე:e4! 20. მფ:e4 ლc6+ 21. მფf4 კe5+! თეთრები დანებდნენ. ეს პარტია ფლანგზე მოუმზადებელ შეტევაზე (რაც მაღალკვალიფიციურ მოჭადრაკეების პრაქტიკაშიც არ წარმოადგენს იშვიათობას) ენერგიული კონტრშეტევით პასუხის კარგი მაგალითია, იგი საქართველოს ნორჩი ჩემპიონის ბრწყინვალე შემოქმედებითი გამარჯვებაა!

ახლა მოგვყავს პარტია, რომელიც გათამაშდა თბილისის განათლების განყოფილების საჭადრაკო სკოლისა და ლატვიის მოსწავლეთა ნაკრები გუნდების ამხანაგური შეხვედრის დროს.

## პარტია № 2

**თეთრები: ზ. სტურუა**
**(I-თანრიგოსანი, თბილისი)**
**შავები: ა. ლანკა**
**(I-თანრიგოსანი, რიგა)**



## უხალებო ჟირაფი

დელის ზოოპარკის სიამაყეა თეთრი ვეფხვი. ბარსელონის სამხეცეში კი დამთვალიერებელთა განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს თეთრი გორილა. ამას წინათ ტოკიოს ზოოპარკში დაიბადა თეთრი ჟირაფი, რომელსაც სხეულზე ერთ ხალსაც ვერ უპოვით. იაპონელმა ზოოლოგებმა განაცხადეს, რომ დღემდე მეცნიერებისათვის ცნობილი არ იყო თეთრი ჟირაფი.

## სანატორიუმი ზღვის ფსკერზე

ბულგარეთის შავი ზღვისპირა კურორტები საქვეყნოდაა ცნობილი: რბილი ჰავა, „ოქროს“ ქვიშა, თბილი წყალი, კომფორტული სანატორიუმები... ზოგიერთი მათგანი ზედ წყალთანაა აგებული. რა იქნება სანატორიუმი თვითონ წყალში, ზღვის ფსკერზე აშენდეს? — იფიქრეს ბულგარელმა კურორტოლოგებმა. იქაური ექიმების აზრით, უჩვეულო გარემომ — წყნარმა და ზომიერად განათებულმა — კეთილად უნდა იმოქმედოს დამსვენებლის ფსიქიკაზე. ქალაქის ორომტრიალისაგან დაღლილი ადამიანი ზღვასთან უშუალო კონტაქტის შედეგად გაცილებით უკეთ დაისვენებს, ვიდრე ჩვეულებრივ სანატორიუმში. მაგრამ ისმის კითხვა: წყალქვეშ ხანგრძლივად მყოფი კაცი ზღვის ტყვედ ხომ არ იგრძნობს თავს? არქიტექტორებმა ეს გარემოებაც გაითვალისწინეს. დამსვენებლებს ზღვის სიღრმეში დახვდებათ მაქსიმალური სიმყუდროვე და კომფორტი — ოთახების ჩვეულებრივი მოხაზულობა, ფართო ილუმინატორები, შესანიშნავი ავეჯი, წყნარი მუსიკა, თბილი ჰაერი. იქ ნამდვილი ბუხრებიც იქნება, უხმაურო ვენტილატორებიც და, რასაკვირველია, კინო, ტელეხედვა, ბიბლიოთეკები.

ზღვის სიღრმეში ყოფნით გამოწვეული ერთგვარი შიში მალე გაუქრება დამსვენებელს.

## მოულოდნელი აღმოჩენა

ამას წინათ ერთმა სევილიელმა ხელოსანმა ბაზარში იყიდა სურათი, რომელზეც გამოსახული იყო მთის ტბის პირას მდგარი ირმები. ხელოსანმა სურათი რესტავრატორს მიუტანა გახუნებული საღებავების გასაახლებლად. რაოდენ განცვიფრდა რესტავრატორი, როცა ნახატზე მუშაობისას მის თვალწინ ტბა გაქრა, ტბის ადგილას კი კაცის ფეხები გამოჩნდა.

რესტავრატორმა რაღაც იაზრა და ნახატის

1. e4 c5.

ამ სვლით იწყება სიცილიური დაცვა.

2. მf3 მc6 3. d4 cd 4. მ:d4 g6.

შავები ირჩევენ ე. წ. „დრაკონის ვარიანტს“. ეს სახელი იმიტომ შეარქვეს, რომ შავ პაიკთა განლაგება მოგვაგონებს ზღაპრულ დრაკონს. თამაშობენ აგრეთვე 4. ... მf6, რათა გამოიწვიონ 5. მc3.

5. c4 კg7 6. კe3 მf6 7. მc3 მg4 8. ლ:g4 მ:d4 9. ლd1 მe6 10. ლd2. დღეისათვის აქ თამაშობენ აგრეთვე 10. ეc1 ან 10. კe2.

10. ... ლa5 11. კd3 კ:c3 (?).

„შეცდომაა, რომლის შემდეგ შავების პოზიცია უარესდება. სჯობდა 11. ... 0—0“ (ტექსტი ბრჭყალებში ზ. სტურუას ეკუთვნის). სადავო პრობლემატური გაგრძელებაა. ამ გაგრძელებას გააჩნია, როგორც უარყოფითი, ისე დადებითი მხარე:

1. შავები ცვლიან მეფის ფრთის დამცველ კუს, რის შედეგად სუსტდება შავი უჯრები; 2. ამავე დროს თეთრების შავმინდროვანი კუ უკონკურენტოდ რჩება და შეიძლება (ასეც მოხდა) გაბატონდეს მთელ დაფაზე. 3. თავის მხრივ შავები ასუსტებენ თეთრების პაიკებს ლაზიერის ფრთაზე, რაც მათ კონტრთამაშის იმედს აძლევს.

12. bc b6 13. 0—0 კa6 14. f4 ეc8 15. f5 მc5 16. კd4 f6 17. e5.

საჭადრაკო თეორიის ერთ-ერთი კანონის თანახმად, უკეთ განვითარებულმა მხარემ ხაზები უნდა გახსნას, რაც ამ შემთხვევაში მით უმეტეს განპირობებულია მეფეზე პირდაპირი შეტევით.

17. ... მ:d3 18. ef! e5 19. fe de 20. f7+ მფe7 21. კf6 + მფ:f7 22. ლ:d3 მფg8 23. ლd7! ლc5+ 24. კd4! შავები დანებდნენ.

ნორჩმა მოჭადრაკემ ენერგიულად ჩაატარა პარტია.

ამ პარტიაში კარგადაა ილუსტრირებული: 1. შავი უჯრების სისუსტეთა გამოყენება; 2. განვითარებაში უპირატესობა; 3. ხაზების გახსნა და ცენტრში დარჩენილ მეფეზე პირდაპირი შეტევა.

ამას წინათ სოხუმში დამთავრდა სპორტსაზოგადოება „სპარტაკის“ საქართველოს პირველობა ვაჟებში, სადაც წარმატებით ითამაშა 14 წლის გია გრძელიშვილმა (თბილისი). მან შეასრულა ოსტატობის კანდიდატობის ნორმა. ახლა გთავაზობთ მის მიერ გასულ წელს თბილისის ვაჟთა პირველობის ნახევარ ფინალში ოსტატობის კანდიდატ ვ. პეტუხოვთან ნათამაშევი პარტიის დაბოლოებას, რომელშიც მან ოსტატურად გამოიყენა თავისი პოზიციის უპირატესობა.



თეთრი ფიგურები მაქსიმალურად არიან მობილიზებული. სარგებლობენ რა შავი ფიგურების ოდნავი შეყოვნებით განვითარებაში, თეთრები ფიგურის მოხდენილი შეწირვით აღწევენ გადამწყვეტ მატერიალურ უპირატესობას.

17. კ:d5! ed 18. მ:d5 ლa7.

(თუ 18. ... ლc5, მაშინ 19. ლ:c5 მ:c5 20. მf6+ gf 21. ე:d8+ მფg7 22. ef+ და 23. ეe—e8 ან 20. ... მფf8 21. ე:d8+ მფe7 22. ეe8×)

19. ლ: a7 20. მe7+ მფf8 21. მc6 ეc7 22. მ:d8 მc5 23. ეd6 კd7 24. ეe—d1 მფe7 25. მ:f7! მფ:f7 26. b4! შავები დანებდნენ (თუ 26. ... კმ4, მაშინ 27. f3 მb7 28. fg და იგებენ).

## ამოცანა № 1

### „ლიფტით ასვლა“



**შამათი 6 სვლაში**

ახლა კი გთავაზობთ სახალისო ამოცანას, რომელსაც ეწოდება „ლიფტით ასვლა“. შეეცადეთ, თქვენც ისარგებლოთ ამ „ლიფტით“, რომელიც, დარწმუნებული ვართ, სიამოვნებასა და სიხარულს მოგანიჭებთ. „სართულების“ (სვლების) რაოდენობამ არ შეგაშინოთ. ვინც სწორ ამოხსნას გამოგზავნის მათ გვარებს გამოვაქვეყნებთ.

პატრონს შესთავაზა, სურათი მომყიდეო. პატრონმა, თუმცა არ იცოდა რაში იყო საქმე, უარი უთხრა, მაგრამ დიდმა თანხამ — სამმა მილიონმა პესეტმა ბოლოს მაინც აცდუნა. რესტავრატორმა სურათი შინ წაიღო. მისი გუმანი გამართლდა: ეს იყო დიდი ფერმწერის ელ გრეკოს ნახატის — წმინდა სებასტიანის ქვედა ნაწილი. ზედა ნაწილი,



რომელიც მადრიდის მუზეუმში ინახება, თავისი დაუმთავრებელი კომპოზიციით დაუკმაყოფილებლობის გრძნობას იწვევდა ხელოვნებათმცოდნეებში. სპეციალისტები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ წმინდანს თავდაპირველად ჰქონდა ფეხები, მაგრამ სურათის ერთ-ერთ ადრინდელ მფლობელს ისინი მოუჭრია სათანადო სიდიდის ჩარჩოს უქონლობის გამო.

## ქარვის

## უძველესი ტყვე

რა სახის მწერს არ პოულობენ ქარვაში—ჭიანჭველას თუ ხოჭოს, კუტკალიას თუ ობობას... მეცნიერები ქარვას ტყუილად როდი უწოდებენ ბუნების მიერ დამზადებულ შესანიშნავ თვალსაჩინო ხელსაწყოს.

ამას წინათ ლიბანში იპოვეს 140 მილიონი წლის ქარვის ნატეხი. მასში მეცნიერებმა აღმოაჩინეს პაწაწინა კოღო, რომლის სიგრძე სულ რაღაც მილიმეტრნახევარია. იგი ჩვენს დრომდე დაუზიანებლად შემონახული ყველაზე ძველი მწერია. სწავლულებს საშუალება მიეცათ გამოიკვლიონ უძველესი ხანის ჯუნგლების ბინადარი მწერის „აღნაგობა“.

## 3500 წლის თოჯინა

იტალიელი არქეოლოგები ტირენის ზღვაში მდებარე ერთ-ერთ კუნძულზე წააწყდნენ ჩვენს წელთაღრიცხვამდე 1500 წლის წინანდელ სამარხს.

თიხის ქოთნების ნამსხვრევებში იდო საუცხოოდ შემონახული სათამაშო — კერამიკული თოჯინა. ჩანს, რომ იგი საბერძნეთში გაუკეთებიათ ეტრუსკული ოჯახის შეკვეთით. თოჯინა ძალზე გამძლე საღებავებით არის შეფერადებული: ტუჩები წითელი აქვს, ნაწნავები — შავი, კაბა — ვარდისფერი, ქუდი — ცისფერი.

# იუმორი

## გონიერება

— ჩემო საყვარელო ბიჭუნა, მინდა რაიმე საჩუქრით გაგახარო, მაგრამ წინასწარ შენს მასწავლებელს უნდა ვკითხო, როგორ სწავლობ. — უთხრა ოტოს სტუმრად მისულმა დეიდა ამალიამ.

— თუ მართლა ჩემი გახარება გინდა, სჯობს არა ჰკითხო, — მიუგო ოტომ.

## კონცერტზე

მამამ პატარა ჰანსი პირველად წაიყვანა კონცერტზე. ბიჭუნა ხან დირიჟორს შეჰყურებდა, ხან მომღერალ ქალს და, ბოლოს იკითხა:

— მამიკო, რატომ ემუქრება ხოლმე ჯოხით ის კაცი იმ ქალს?

— კი არ ემუქრება, დირიჟორობს, — აუხსნა მამამ.

— მაშ ქალი ისე ხმამაღლა რატომ უყვირის? — უთხრა ფიქრიანად ბავშვმა.

## ცხადია

— ერვინ, შენ ახლა რომელ კლასში ხარ?

— მესამეში.

— თქვენგან ყველაზე ძლიერი ვინ არის?

— მასწავლებელი.

## ქიმიის გაკვეთილზე

მასწავლებელი: რა ემართება ოქროს, როდესაც ჰაერზე დებენ?

მოსწავლე: იპარავენ.

## მიზეზი

— რატომ არ დალიე წამალი, კარლ? — ჰკითხა ავადმყოფ ბიჭუნას შინ დაბრუნებულმა დედამ.

— ბოთლზე აწერია: „მუდამ მჭიდროდ თავდაცობილი უნდა იყოს".

## აღზრდა

მამამ შოკოლადი მოიტანა, ბავშვები შემოიკრიბა და ჰკითხა:

— აბა, ამ კვირას ყველაზე ყოჩაღად ვინ მოიქცა და ყველაფერი შეასრულა, რაც კი დედამ სთხოვა?

— შენ, მამიკო! — გაისმა გუნდად ბავშვების ხმა.

## სტუმრობა

— სად დაიკარგე, ბიჭო, შენს ძებნაში სული ამოგვხდა! — უსაყვედურა დედამ გუსტავს, რომელიც სიამოვნებისა და კმაყოფილებისაგან სახეგაბადრული დაბრუნდა შინ.

— მაიერებს ვეწვიე.

— ნუ მოაბეზრებ თავს. მათ ახლა სტუმრები ჰყავთ და შენთვის არა სცალიათ.

— რას ამბობ, დედიკო! დამინახეს თუ არა, ერთხმად მომაძახეს: შენლა გვაკლდიო.

გერმანულიდან თარგმნა
შ. ამირანაშვილმა.

## საძიებელი

შამფრიანი ს. — მომილოცნია ახალი წელი (ლექსი) . . . 1
ვინოგრადსკაია ს. — ერთხელ შალიაპინის კონცერტზე (მოგონება) . . . 2
ფაილოძე ნ. — იცნობდეთ: ლია, ნინო, ირმა, მანანა... (ნარკვევი) . . . 4
გრიგოლაშვილი დ. — არჩევანი (მოთხრობა) . . . 8
გაბელია ზ. — „იყალთოელი ბიჭები" ტაშისკარში (ფოტორეპორტაჟი) . . . 16
ბიბილური თ. — „მზეკაბანი" (წერილი) . . . 18
ზუევი დ. — რა ღირს სახელმძღვანელო? (წერილი) . . . 22
ალხაზიშვილი გ. — ზამთრის ერთი დღე (ლექსები) . . . 25
პაპუაშვილი გ. — დიდი თევზი (მოთხრობა) . . . 26
გამოგადგება . . . 29
მხედრიონი . . . 30
ჯადოსნური სარკე . . . 30
იუმორი . . . 32
ცხრაკლიტული . . . გარეკ. 3

გარეკანის მხატვრობა ედუარდ ამბოკაძისა

ჟურნალს თან ერთვის უფასო დამატება — 1974 წლის ტაბელ-კალენდარი.

მთავარი რედაქტორი ბაბულია შელია.
სარედაქციო კოლეგია: შოთა დევდარიანი, სერგო კლდიაშვილი, მურმან ლებანიძე, ზურაბ ლეჟავა (პ/მგ. მდივანი), მარი ჯანი, გიორგი ქლიბაძე, ნოდარ შამანაძე, ზურაბ ჭუმბურიძე, გაიოზ ფოცხიშვილი (მხატვარი-რედაქტორი).

ჩვენი მისამართი:
თბილისი, ლენინის ქ. № 14.
ტელეფონები:
რედაქტორის—93-97-05
93-31-81
პ/მგ. მდივნის
93-97-03 93-53-05
განყოფილებების—93-97-02
93-97-01

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი ლენინის ქ. № 14.
«ПИОНЕРИ», на грузинском языке. Издательство ЦК КП Грузии
Типография изд-ва ЦК КП Грузии. Тбилиси, ул. Ленина № 14.
გადაეცა ასაწყობად 16/XI-73 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 27/XII-73 წ. ქაღალდის ფორმატი 60×90¹/₈. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 4. საღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 4,19.
შეკვ. № 3678. ტირ. 137.000. უე 01603.

ფასი 20 კაპიკი

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.
თბილისში მცხოვრებ ავტორებს პასუხი წერილობით არ ეცნობებათ.




მუსიკა ოთარ დიხამინჯიასი.

ტექსტი ანდრო თევზაძისა.

მშვიდობით, მშვიდობით,
დღეებო ძველო,
მობრძანდი, მობრძანდი,
ახალო წელო.

ლამაზო, გულუხვო,
დარბაისელო,
მეც მინდა სამშობლო
რომ ვასახელო.

მშვიდობით, მშვიდობით,
დღეებო ძველო,
მობრძანდი, მობრძანდი,
ახალო წელო.





## გამოცანები

1

სანამ გაუშლელია,
ქოლგა ზურგზე ჰკიდია,
როდესაც გაიშლება,
კაცი მისი ტვირთია.

2

ხეს ატარებს თავით,
დადის,
დარბის,
ბღავის...
ხე არ ისხამს ნაყოფს,
ფოთოლსა და ყვავილს.

3

ცოცხალი ყურძენს
გვიჭამდა,
მკვდარმა დაიწყო ღვინის
სმა,
თუ პირში სტვირს არ
ჩაუდებ,
ისე არ ისმის იმის ხმა.

4

ცხრილის რკალზე —
ცხვარის ფაშვი
გავახურე,
ტაში, ტაში!

5

რომ უადგილოდ არ
დასცდეს
სიტყვა მწარე და მწველი,
დილეგში წევს და
დარაჯობს
ოცდათორმეტი მცველი.

გ. წერეთელი.

## პასუხი 1973 წლის № 12-ში მოთავსებულ „ცხრაკლიტულზე“

### კროსვორდი

შვეულად: 1. პერანგი; 2. რკინა; 3. იხვი; 4. აპკი; 5. არმია; 8. ირემი; 9. ამერიკა; 10. ინდოეთი; 11. ანოდი; 15. ტყიბული; 16. პაემანი; 17. აქტიური; 14. გეომეტრია; 19. ისტორია; 23. რუსთავი; 24. იმერეთი; 26. ისარი; 28. ტვინი; 31. ნიახური; 32. ალტაი; 35. ამური; 36. ბარი; 37. პიკი.

თარაზულად: 2. რიონი; 4. ასთმა; 6. ირანი; 7. ადლი; 9. ამანგელდი; 11. „აიდა“; 12. ეკერი; 13. ბადრო; 15. ტივი; 16. პრესა; 18. იოდი; 20. არეომეტრი; 21. ბამბა; 22. ტუნგო; 23. რეაქტიული; 25. იორი; 27. ირისი; 28. ტულა; 29. ატამი; 30. წნეხი; 32. არყი; 33. ინსტიტუტი; 34. ირმა; 38. მახრა; 39. ისინი; 40. ილეთი.

### რომელია?



შარადა

ალამი.



ИНДЕКС 76157